

ლიტერატურული გაზეთი



№17 (273) 18 სექტემბერი - 1 ოქტომბერი 2020

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

პროზა

ბექა ქურხული
ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დიმიტრი ნიკლაური
მოთხრობის დასასრული

ნინო დიღმელაშვილი
დებიუტი

პროზა * პოეზია * ესსე * რეცენზია * თარგმანი

პოეზია

ვანო ჩხიკვაძე

შალვა საბაშვილი

ესსე

თემურ გაბუნია
ჯორჯ ორუელზე

რეცენზია

სოფო წულაია
ლექსო ქურხულზე

თარგმანი

ჰერმან ჰესე
თარგმნა ანა კორძაია-სამადაშვილმა

ლალი ციპი მიხაელი
თარგმნა მანანა დუმბაძემ

ახალმეცხველება

ორ საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიოში მიმდინარეობს რევოლუციური მოვლენები, რომლებმაც არა მხოლოდ ძველი მსოფლიო შეცვალა, არამედ საზოგადოების ცნობიერება, ფსიქიკა და ქცევაც. ბუნებრივია, ეს ყველაფერი მეტყველებავს აისახა, რადგან ის ცოცხალი ორგანიზმია და სარკესავით ირეკლავს ადამიანში მომხდარ ცვლილებებს. სასაუბრო ენა გამუდმებით იცვლება. ძველი სიტყვების ნაწილი ქრება ან მნიშვნელობას იცვლის. პარალელურად იქმნება ახალი, ამაში გასაოცარი არაფერია. თუმცა მსოფლიო რევოლუციების ეპოქაში ეს პროცესი საეჭვოდ დაჩქარდა, თითქოს ვიღაცამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სიძველეებს, ტრადიციებსა და ენასაც (სიახლეების დანერგვით). ზოგიერთი ახალი კომპოზიტი ხანდახან ღიმილსაც იწვევს თავისი უაზრობით, მაგრამ მაინც მკვიდრდება ტელეთერში გამუდმებული გამოყენების გამო. ბუნებრივია, ისმის კითხვა, ვიღაც შეგნებულად ხომ არ გვიცვლის ძველმეცხველებს ახლით, გვიმახინჯებს ხალხური სიმღერების ტექსტებსა და ისტორიას?

აღნიშნულ საკითხის გაანალიზებისას შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანს „1984“, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი newspeak-ზე (ახალმეცხველებაზე) გადასვლის პროცესს, პოლიციური რეჟიმის მიერ ჩატარებული სასტიკი რეპრესიებისა და იდეოლოგიური წნეხის ფონზე რომ მიმდინარეობს. ეს მოვლენები თითქოს ცალსახად საბჭოთა რეჟიმის მიერ 1937 წელს ჩატარებულ რეპრესიებს გვაგონებს, თუმცა ცნობილი ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი და ფილოსოფოსი ერის ფრომი ასე მარტივად არ განიხილავს საკითხს. „1984“-ის ამერიკული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ის აღნიშნავს: „ვინც რომანში მხოლოდ სტალინიზმის მორიგ კრიტიკას ხედავს, ხელიდან გასხლტომია ორუელისეული ანალიტიკური ხედვის უმთავრესი ძაფი, რადგან მწერალი დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზეც საუბრობს, რომლებიც იქ უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე რუსეთსა და ჩინეთში“.

ფრომის აზრით, ორუელი ცდილობს, უპასუხოს უმთავრეს შეკითხვას: რა არის ჭეშმარიტება და რეალობა და როგორ იცვლიან ისინი სახეს რეპრესიული რეჟიმის ხელში. ჭეშმარიტება ოკეანიაში ისაა, რასაც პარტია მიიჩნევს ჭეშმარიტად, ჭეშმარიტების კონტროლი კი ავტომატურად მასების კონტროლსაც ნიშნავს. ქვეყანაში მმართველი პარტიის მიერ ნახალისებულაა ბრძოლა ნარსულთან, ამ პროცესში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს newspeak-ზე გადასვლა. ანალიტიკური „ტვინები“ შეგნებულად ებრძვიან ძველ სიტყვებსა და მათ მნიშვნელობებს. ზოგიერთს კი, საერთოდ, გაქრობისთვის სწირავენ. მაგალითად, ცდილობენ, ხმარებიდან ამოიღონ სიტყვა „მეგობარი“ და ის „ამხანაგოთი“ ჩაანაცვლონ. მიზანი მარტივია, არცაა საჭირო მეგობარი გყავდეს, გქონდეს პირადი ცხოვრება, რადგან ყველაფერი პარტიას უნდა შესწირო. საბჭოეთში, ისევე როგორც ოკეანიაში, ძველი ლექსები და სიმღერებიც მახინჯდებოდა. იქმნებოდა უამრავი აბრევიატურა. აი, ნიმუშებიც „ოქროს ფონდიდან“ — შინსახკომი, კომპარტია, სოცრეალიზმი, სახლიტგამი. იგონებდნენ ახალ სახელებსაც — ლესტამბერი (ლენინი, სტალინი, ბერიას შემოკლებული ვარიანტი); მელიორი (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია).

თუმცა საბჭოთა კავშირი არ იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა სიძველეებსა და ტრადიციებთან. მსგავსი რამ ხდებოდა დასავლეთშიც, ოღონდ უფრო დელიკატურად, რაც ენის სხეულზეც აისახა. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა და ახალი კომპოზიტი:

ცისარტყელა ბიბლიურად ღმერთისა და ადამიანის შერიგების სიმბოლო იყო, დღეს ის ლაგბტ თემის დროშაზეა გამოსახული. „მოძველებულ“ სიტყვა ბოზს მთელ რიგ ქვეყნებში ნელ-ნელა ანაცვლებს **სექსმუშაკი**. სექსმუშაკი ჩვეულებრივი მმართველია, გადასახადსაც იხდის ბიუჯეტში, მის მიერ შეტანილი თანხით კი სხვადასხვა პროგრამა (მათ შორის საგანმ-

ნათლებლოც) ფინანსდება; **გი** შექსპირის ეპოქაში ღვთაებრივ სიხარულსა და ამ სიხარულით შეპყრობილ, ამაღლებულ სულიერ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ნიშნავდა, თუმცა დღეს ჰომოსექსუალის მნიშვნელობით იხმარება.

აბსურდამდე დადის სიტყვა **პედოფილია**, თუკი მას სათანადოდ გავიაზრებთ და, აი, რატომ: პედოფილია ნაწარმოებია პედოსისა და ფილიასგან. პედოსი ბერძნულად ბავშვია, ფილია კი — თანამოაზრეთა მეგობრობა და სიყვარული. ბერძნულში არსებობს სიტყვა ალაპიც (საყოველთაო, გონისმიერი სიყვარული), ფილია კი უფრო გულსმიერი. მას ვერ ვიხმართ სახარებისეულ გამოთქმაში: „გიყვარდეს


„ანთოლოგიაში დატოვებული ლექსების დამახინჯება“. ამ საკითხზე მთელი დეპარტამენტი მუშაობს თავისი უამრავი ქვედანაყოფით. მათი საბოლოო მიზანია, 2050 წლისთვის აღარაფერი დარჩეს ძველი ენისა და ლიტერატურისგან. „ჩოსერი, შექსპირი, მილტონი, ბაირონი — ყველა იარსებებს მხოლოდ ახალმეცხველების ვარიანტში... არა უბრალოდ სხვა, არამედ ზუსტად დღევანდელის საპირისპირო სახით“, — სიამაყით ეუბნება საიმი უინსტონს. სიტყვასა და სიძველეებთან ბრძოლა რაღაც მისტიკურ, ღმერთთან ბრძოლის სახეს იღებს, რადგან სიტყვა (ლოგოსი) თავადაა ღმერთი. ჩვენ ვანგრევთ სიტყვებს, ყოველდღიურად ასობით სიტყვას ვაქრობთ,

ქვერევით შავად მოსილს, თავისივე მოშავო საბურველით დაეფარა. მეტად პირმშვენიერი და უაღრესად დარბოხელი, არა მარტო სამეფოს, არამედ მთელი სუვერენული იმპერიის დედოფლობის ღირსი იყო“. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ იმას, „რაც მის სულში ხდებოდა, რამეთუ ღვთის მსახურთა ღვთიური მადლი მათ სახეზედაც გამოანათებს ხოლმე“.

და, აი, ის ქალბატონი, რომელსაც მთელი სუვერენული იმპერიის დედოფლობა დამშვენებოდა, სასტიკად ანამეს. მისი მონამებორივი სიკვდილის მომსწრე მამა ამბროზიოს მოგვიანებით უთქვამს: ქეთევან დედოფალს ჯალათების გაგარვარებ-

თემურ გაბუნია

გაუქმებული წარსული



ჯორჯ ორუელის რომანის „1984“ კითხვისას აღმოვაჩინეთ, რომ ძველამოსილი ანალიტიკური ცენტრი გამუდმებით მუშაობს წარსულის შესაცვლელად და გასაუქმებლად. სწორედ უჩინარი და საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები წყვეტენ: „წარსულის რომელი ნაწილი უნდა შენარჩუნდეს, რომელი გაყალბდეს და რომელი აღიგავოს პირისაგან მინისა“.

მაინც რატომ ცდილობენ ვერეთ ნოდებელი „ანონიმური წარმმართველი ტვინები“ წარსულის შეცვლასა და გაუქმებას? რა საფრთხეს ხედავენ მასში?

მტერი შენი“, რადგან მტერი მტერია და არა თანამოაზრე. ფილიათია გამოხატული ბერძნულ სახარებაში მაცხოვრისა და იოანე ღვთისმეტყველის სულიერი სიახლოვე. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ შეიძლება, ბავშვის გახრწნის ამაზრუნე, მანიაკურ აქტს პედოფილია ანუ ბავშვისა და ზრდასრულის (ვითომდაც ორი თანამოაზრის) სიყვარული ვუნოდოთ?!

ზოგს შეიძლება უმნიშვნელოდ მოეჩვენოს ეს ყველაფერი, თუმცა, ასეთი პატარ-პატარა ნაღმებმა საბოლოო ჯამში ადამიანში სულიერი რღვევაც შეიძლება, გამოიწვიოს, სწორედ მსგავს უცნაურობებზე აქვს გამახვილებული ყურადღება ჯორჯ ორუელს თავის რომანში. ახალმეცხველებას (პარტიის გაანგარიშებით) საბოლოოდ 2050 წლისთვის უნდა შეეცვალოს სტანდარტული ინგლისური. სიახლეებს ნელ-ნელა უურნალისტიკოს ენით აჩვენებენ მოქალაქეებს „თამისის“ მონიშნავ ნერვლებით. იზღუდება სიტყვათა მნიშვნელობებიც. მაგალითად, 2050 წლისთვის სიტყვა „თავისუფალი“ აღარ უნდა ყოფილიყო „გონებრივად, სულიერად და ფილოსოფიურად“ თავისუფალის სინონიმი, მას უნდა დარჩენოდა მხოლოდ ვინრო მნიშვნელობა — მაგალითად, „ეს ძალდი ტილებიგან თავისუფალია“.

ამ მაგალითიდანაც ნათელია, რატომ ებრძვიან ოკეანიაში ძველმეცხველებსა და ყოველივე ძველს, რად სურთ ლექსიკის გაღარიბება და გამარტივება — ადამიანის დასამონებლად. ვინც მართავს რეალობას, ის აკონტროლებს მასებსაც. ჭეშმარიტებაზე კონტროლის დანერგვა, აი, რა დაუსახავს მიზნად პარტიას. ამიტომ შეუქმნია ჭეშმარიტების სამინისტრო — „ჭეშმამინი“.

ჯორჯ ორუელის რომანში არის ერთი მედუნასებრი არსება, გვარად ეიმპლფორტისი, რომლის უმთავრესი საქმიანობაც

განაგრძობს თავის მონოლოგს საიმი. იმდენადაა გაყალბებული ყველაფერი, რომ უინსტონს ეეჭვება, ისტორიული წიგნების ყველა სიტყვა წმინდა წყლის გამონაგონი ხომ არ არისო. გადაკეთებულ ლექსებსა და სიმღერებზე უნებლიეთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოც შეიძლება გაგვახსენდეს, რადგან ჩვენც გვიმახინჯებდნენ სიმღერების ტექსტებს მასებში რევოლუციური განწყობის შესატანად.

ვის ეპრძინა „ჩაკრულოს“ ლირიკული გმირები?

ცნობილია, რომ საქართველოს სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის მუხრანბატონის (ბაგრატიონის) გვარის წარმომადგენელს, კახეთის დედოფალს — ქეთევან ნამებულს. მისი ხასიათის სიმტკიცე თვით მუსლიმ დამპყრობლებსაც აოცებდა. თურმე თვით შაჰ აბასსაც თვითვე ცრემლი მოადგა, როცა აუწყეს, რა ნამებაც გადაიტანა დედოფალმა ქრისტიანული რწმენის დასაცავად. თავისი ხელქვეითებითა და უცხოელი დესპანებით სავსე დარბაზში მყოფი შაჰი გიორგი სააკაძეს მიუბრუნდა და უთხრა: „დაიხ, ის ქალბატონი მოკვდა თავისი რწმენისთვის და არა თქვენ“ და გამაჰმადიანებულ ქართველს, ერასისა და ავღანეთის ლაშქრობების გმირს, სახეში ხელი გაართყა. გიორგი სააკაძეს გველის ნაკენივით ახსოვდა ეს დამცირება და მოგვიანებით შურიც იძია შაჰზე, თუმცა ეს სხვა თემაა. დავუბრუნდეთ ქეთევან ნამებულს, რომლის გარეგნობასაც ასე აღწერს ავგუსტინელი ბერი მამა ამბროზიო დუშ ანჟუმი: „ეს ღვთაებრივი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ, დაახლოებით ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო, ხელთ მლოცველის ჯოხი ეპყრა

ულ მარნუხებზე მეტად, რომლითაც მას მკერდს გლეჯდნენ, საკუთარი სიშიშველე ანუხებდაო. დაიხ, ის „ამდენი მამაკაცის წინაშე გააშიშველეს, ზოგი მათგანი სიცოცხლეს ართმევდა, საშიშროებას უქმნიდა მის პატიოსნებას, რომელსაც იგი ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. დედოფალმა პირველად ამოიხსრა და ამით ცხადყო, რომ დაწვაზე მეტად სიშიშველისგან იტანჯებოდა“.

დედოფლის შავი თვალები კი, ალბათ, მაშინ უფრო მეტად ირეკლავდნენ ღვთაებრივ სინათლეს, „რამეთუ ღვთის მსახურთა ღვთიური მადლი“ სულიერი ამაღლების ჟამს უფრო მეტად ანათებს მათი სახეებიდან.

ქეთევანის მონამებორივი ალსარული შედეგი გამოიღო, კახეთი სულიერად არ გატყდა, არც გამაჰმადიანდა. აი, რა დიდი როლი შეასრულა მუხრანბატონის ქალმა საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამის გამო უცნაური ცნობილი ხალხური სიმღერის „ჩაკრულოს“ ტექსტი. თუნდაც ერთ-ერთი მუხრანბატონი სასტიკი გამოდგარიყო (რაც საეჭვოა, რადგან ილია ჭავჭავაძეზეც ააგორეს ჭორები, სასტიკი მებატონეაო), ღირდა კი ასეთი შეურაცხმყოფელი სიმღერის შეთხზვა? საქმეც ისაა, რომ, ფოლკლორისტების აზრით, ხალხური სიმღერის ტექსტი რევოლუციის პერიოდში შეგნებულადაა დამახინჯებული. ამ აზრს იზიარებს ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილიც. ის ყურადღებას ამახვილებს ლოგიკურ შეუსაბამობაზე სიმღერის ტექსტის პირველ და მეორე ნაწილებს შორის. პირველი აშკარად მოგვიანებითაა შეთხზული და ჩაკვებებული ხალხურ ლექსში, რომელშიც თავდაპირველად გარეშე მტერთან მე-ბრძოლ ლირიკული გმირის განცდებს ასახავდა. რევოლუციონერებმა მტრის ხატი შეგვიცვალეს, მუსლიმი დამპყრობლის ნა-

ცვლად დუშმანად და ამნიოკებლად ქართველი თავადი გვიქცის. ბოლშევიკების აზრით, ქვეყნის მტერი მუხრანბატონია (იმდროინდელ პრესაში გაჩენილი სტატიის მიხედვით კი — ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც თურმე მის მამულში წყაროზე წყლის ასაღებად მისული გლეხი მოურავს უმონყალოდ გაააროგინა). ეს წმინდა წყლის ცილისნამება იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილი დააჯერეს ილიას სისასტიკეში. „ჩაკრულოს“ გადაწყვეტილებასაც მსგავსი მიზანი ჰქონდათ — ხალხის გულში კლასობრივი მტრისადმი ზიზღის ჩათესვა.

დავაკვირდეთ სიმღერის ტექსტს, მართლაც, აშკარაა სხვაობა პირველსა და მეორე ნაწილებს შორის. „ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია, ჩავუხტეთ მუხრანბატონსა, თავს დავანგრეთ ბანია. მუხრანბატონის ყმობითა, ფქვილი ვერ დავდგე გოდრითა, დეკეული ვერ გავზარდ, კალო ვერ ვლენე მოზერთა“ — ეს პირველი ნაწილია, ის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს უნდა იყოს შექმნილი რევოლუციონერი ანალიტიკოსების დაკვეთით. მეორე ნაწილი კი მოქმედება XVIII საუკუნეში ხდება:

*„ხმალო ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა დაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა“.*

სიმღერის მეორე ნაწილი მტერი უცხოელი დამყრობელია და არა ქართველი თავადი. ფოლკლორის სპეცილისტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი „ჩასწორებები“ ქართულ ხალხურ პოეზიაში რუსეთთან შეერთების შემდეგ მრავლად შევიდა. ეს ტენდენცია კი განსაკუთრებით კომუნისტური მმართველობისას აიტაცეს. ანზორ ერქომაიშვილი იხსენებს, რომ საბჭოთა პერიოდში „ჩაკრულოს“ სახელად „რევოლუციური“ დაარქვეს და დასძინეს: „თუ რევოლუციური იყო, მაშინ უნდა დაგვემხო მუხრან ბატონი, თავზე დაგვეგნო ბანი და ყველაფერი უბედურება მომხდარიყო. მაგრამ დაიშალა ეს საბჭოთა კავშირი, აღარ არის!“ დაიხს, კი დაიშალა, მაგრამ გადაკეთებული სიმღერა დარჩა. თანაც მკვლევართა აზრით, მხოლოდ „ჩაკრულო“ არ გადაუქვეთებიათ რევოლუციონერებს, არაერთი სხვა ხალხური სიმღერის შინაარსია დამახინჯებული და საბჭოთა იდეოლოგიას მორგებული. მოგვიანებით ცნობილი ფოლკლორისტიკის, ვახუშტი კოტეტიშვილისა და მწერლისა და მთარგმნელის, დავით წერეთლის მცდელობით „ჩაკრულოს“ თავდაპირველი ტექსტი აღდგა:

*„მცხეთას დარისხდნენ ზარები,
მოსვლასა ხმობენ მტრისასა,
ამაჰყვა არავს ძახილი,
მუხლს ვინ შაიბამთ მგლისასა.
სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.
ხმალო ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა დაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა“.*

როგორც ვხედავთ სიმღერის თავდაპირველ ტექსტში მტერი საქართველოს დამპყრობელია და არა მუხრანბატონი.

კავათი თუნუქის ქვაბის გამო

ჯორჯ ორუელის „1984“-ში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელიც საბჭოთა ყოფას გვაგონებს. ფანტასტიკურ ქვეყანა ოკეანიაში მმართველი პარტიის მიერ ნახალისებული კამათი და დაპირისპირება უმნიშვნელო თემებზე, მაგალითად, ხალხი ერთმანეთს თავპირს ამტვრებს დახლებთან „უბადრუკი და ზინზლიანი თუნუქის ქვაბების“ გამო, თუმცა სერიოზულ საკითხებზე ხმის ამომღები სასტიკად ისჯება. მსგავსი რამ ხდებოდა საბჭოთა კავშირში. ატომურ ელექტროსადგურებს ამენებდნენ, კოსმოსში მიფრინავდნენ, თუმცა რანტოლაც ვერ ახერხებდნენ, ხალხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სათანადო რაოდენობით ენარმოებინათ უბრალო საყოფაცხოვრებო ნივთები, გამუდმებით იყო დეფიციტი რომელიცაც საქონელზე. თეზისს ხელოვნური დეფიციტის შესახებ „ებრაელ ბრძენკაცთა ოქმებშიც“ ვხვდებით. ორუელის

რომანიც თეზისურია, შეიძლება, პუნქტობრივად ჩამოვწეროთ კიდევ თუ როგორ მართავს პარტია თუ ანალიტიკური ცენტრი ხალხის მასებს. ხელოვნური დეფიციტის შექმნას რაღაც ფარული აზრი უნდა ჰქონოდა საბჭოთა კავშირში, ისევე, როგორც ფულის კურსის გამუდმებულ ცვლილებას დასავლეთში. ხომ არ იყო ჭეშმარიტებასთან ახლოს ორუელი, როცა აღნიშნავდა, მსოფლიოს ანონიმურ მმართველებს ხალხის ყურადღების გადატანა სურდათ უმთავრესიდან უმნიშვნელოზე, სულიერიდან — მატერიალისტურზე? „ოქმებში“ არსებული თეზისის მიხედვით გონების მიჯაჭვა ყოფით საკითხებზე ფულის კურსის გამუდმებული ცვლილების მეშვეობით უნდა მომხდარიყო. დღენიდად მინიერ ბომონზე მოფიქრალ ადამიანს დროც აღარ დარჩებოდა სულიერებასა და ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე ზრუნვისთვის. რომან „1984“-ში პროლესს (ოკეანიაში პროლეტარებს ასე უწოდებენ) არ უნდა ეფიქრათ, რატომ უმახინჯებდნენ წარსულს, ისტორიას, ლექსებს, სიმღერებს, სტატისტიკურ მონაცემებს; რატომ უცვლიდნენ ენას ახალმეტყველებით, თანაც ისე მიზანმიმართულად, რომ რამდენიმე ათწლეულში უკვე კლასიკასაც კი ვერ ნაიკითხავდნენ, რადგან ძველი სასაუბრო და სალიტერატურო ენა ანალიტიკური ცენტრის მეცადინეობით დავინყვებას მიეცემოდა, ახალმეტყველებზე ნათარგმნ ტექსტებს კი არავალი ექნებოდა საერთო ორიგინალთან; გარობოტებულ ადამიანს აღარ ეცოდინებოდა საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორია; 1960 წლამდე გამოცემული წიგნები უბრალოდ აღარ იარსებებდა; გადააკეთებდნენ რელიგიურ ტექსტებსაც... აი, ასეთი მზაკვრული გეგმა ხორციელდებოდა მსოფლიო რეპრესიებით, საინფორმაციო საშუალებებით ტვიზის რეცხვითა და სხვა წინასწარ დაგეგმილი მეთოდებით, რომელთაგანაც ერთ-ერთი ხელოვნური დეფიციტის შექმნა გახლდათ.

ერთხელ ორუელის თხზულების მთავარი პერსონაჟი უინსტონი ასეთ სცენას შეეხსნება — დახლის წინ შეკრებილი ქალები განწირული ხმით უყვირიან გამყიდველს, ადანაშაულებენ, თუნუქის ქვაბები შენ გადამალე და ამიტომ აღარ შეგვხვდაო. ჭურჭელი ხელიდან გლეჯენ ერთმანეთს, თანაც ისე გააფრთხილებთ, რომ ერთ-ერთ ქვაბს სახელური ძვრება. უინსტონში ზიზღს იწვევს ეს სცენა. ადამიანებს ყოველდღე ამცირებენ, აბერავენ, თავს ახვევენ დამონებულ იდეოლოგიას, ხმას კი არავინ იღებს. ასეთი მონდომებით რომ ებრძოლათ თავისუფლებისთვის, ფიქრობს უინსტონი, მათ დაჩაგრვას ვერავინ გაბედავდაო.

ოკეანიის მსგავსად მსოფლიოში უამრავი განსხვავებული პროფესიის ადამიანი იყო და არის ჩართული (ნებისმიერ უნებლიეთ) წარსულის გაყალბებაში, დავინყვით დიდი მწერლებით. ცნობილია, რომ რიჩარდ III კუზიანი არ ყოფილა, არც დესპოტი, მაგრამ ახლა ამაში ვიღას დაარწმუნებ. გენიალურმა შექსპირმა უკვე გამოუტანა განაჩენი. არც კარდინალი რომელიც იყო გასაშარჟებელი პიროვნება საფრანგეთისადმი განუელი უდიდესი ღვაწლის გამო, მაგრამ ალექსანდრე დიუმამ ისე გააპამპულეზინა ისტორიულად არარსებულ მუშკეტერებს, რომ დღეს კარდინალი უკვე ანიმაციური ფილმების პერსონაჟად აღიქმება.

უფრო უხეში ფორმით ებრძოდნენ ისტორიულ სინამდვილესა და რელიგიას საბჭოთა მწერლები და მეცნიერები. მათი მეცადინეობით ეროტიკულ თავგადასავლებში ეხვეოდნენ დიდი ქართველი მეფეები და წმინდანები. თურმე ქრისტე არც არსებობდა, ის ექსლუატიციით გამოგნებული და დაბეჩავებული ხალხის გამოგონილი იყო, ისევე, როგორც ადამი და ნოე. თურმე არც ანდრია პირველნოდებული და წმინდა ნინო ჩამოსულან საქართველოში; არც ნარდენა ყოფილა ოდესმე, არც ბაბილონის გოდოლის მშენებლობა დაწყებული და არც ნინარე ბაბილონურ ენას უარსება. ასეთი იყო ზოგადი ტენდენცია მსოფლიოში. ისტორიკოსებს ჰომეროსისა და ვერგილიუსის ნაკლებად სჯეროდათ, ნანგრევებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და რომ არა შლიმანი, ტროაც მიოთოსურ ქალაქად დარჩებოდა სამუდამოდ. სამწუხაროდ, მეცნიერთა მეცადინეობით

კრეაციონისტული თეორია ჩრდილში მოექცა. მართალია, ზოგიერთ ვეროპულ ქვეყანაში (საქართველოსგან განსხვავებით) მინც ისწავლება, მაგრამ ეს ზოგად სურათს ვერ ცვლის. უმეტეს ქვეყნებში ახალგაზრდები ვალდებული არიან, დაიხეპირონ ევოლუციურ-დარვინისტური თეორიები უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად. არანაირი კამათი ზემოთ ჩამოთვლილ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (!). და ეს მაშინ, როდესაც ტელევიზორც დათმობილი აქვს არაფრისმთქმელ, უსარგებლო შოუებსა და სერიალებს. ასეთი ტვიზის რეცხვა თვით ორუელის ანონიმურ მოაზროვნე ანალიტიკოსებსაც შეუძლებოდათ. ისტორიკოსები უამრავ დისერტაციას იცავენ მეორეხარისხოვან თემებზე, უმთავრესი კი გვერდზე გვრჩება. რამდენიმე საუკუნის წინ დაქოქილი სიცრუის მანქანა დღესაც მწყობრშია. გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი იეზუიტი მღვდლის, ტაიერ დე შარდენის, ცხოვრება და მოღვაწეობა, კერძოდ კი, მისი მონაწილეობა ევოლუციონისტების მიერ დაგეგმილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. როგორც მამა სერაფიმი როუზი მოგვითხრობს, ეს „თეოლოგი“ და პალეონტოლოგი მომხსნე იყო ყალბი პილთდაუნისა და პითეკანტროპის ნეშტის აღმოჩენის. შემდგომში ამ ექსპედიციის თანამონაწილეთაგან ერთ-ერთი ფაბრიკაციაში მონაწილეობისათვის გაასამართლეს. უძველესი ადამიანის კბილი კი შეღებილი აღმოჩნდა. თუმცა დავანებოთ თავი არქეოლოგიური მასალის გაყალბებას. დაუშვათ, ნამდვილად აღმოაჩინეს Homo Erectus-ი. მისი არსებობა არ ეწინააღმდეგება არც იუდაიზმს, არც ქრისტიანობასა და არც ინდუიზმს. ბიბლიური წარმოდგენის მიხედვით პირველად კაენის დაწყევლის შემდეგ გაჩნდნენ სიმანინჯეები. ზოგიერთი ოთხზე დაფორთხავდა და ზედმეტად ბალნიანიც იყო. მათგან კი არ იშვა ადამიანი, კაენის დაწყველილ მოდგმაში გაჩნდნენ ისინი და, სავარაუდოდ, ჯანსაღ ადამიანებზე მალეც იხოცებოდნენ. ვინრომუბლიანი ტყიურები ინდუსისტურ თხზულებებშიცაა ნახსენები, ასე რომ, მეცნიერულს კრეაციონისტული თეორია არაფრით ეწინააღმდეგება, მეტიც, სწორედ ისაა ჭეშმარიტი და ერთადერთი. თუმცა ათეისტების უფლებები რომ არ დაირღვეს, უმჯობესია, ორივე თეორია პარალელურად ისწავლებოდეს. დე, არჩევანი ბავშვმა თვითონ გააკეთოს.

მაგრამ ვინ დაგიდევთ ჭეშმარიტებას?! დღეს ყველანი ორუელის სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც არავინ უკვირს, რომ 2+2=5!

წინასწარმეტყველური რომანი

ჯორჯ ორუელის თხზულებაში ანალიტიკური ცენტრი აყალბებს არა მხოლოდ წარსულს, არამედ აწმყოსა და მომავალსაც.

— არსებობს პარტიის ლოზუნგი, რომელიც ეხება წარსულის გაკონტროლებას. გაიმეორეთ, თუ შეიძლება“ — ეუნებება ნანამებ უინსტონს ო'ბრაიენი.

ელექტროსკამზე მჯდომი მორჩილად იმეორებს:

— ვინც აკონტროლებს წარსულს, აკონტროლებს მომავალსაც. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც“.

აი, ლოზუნგი, რომელიც სრულად გამოხატავს ოკეანიის ფილოსოფიას. საბჭოთა კავშირშიც მსგავსი რამ ხდებოდა. საზოგადოებას თავს ახვედნენ სამ დიდ ტყიულს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. ოკეანიის მსგავსად საბჭოეთში წარსულიც წართმეული გვექონდა (დარვინისტული თეორიებით), აწმყოც — ხუთწლედების ცრუ სტატისტიკური მონაცემებით და მომავალიც — კომუნისმის უტოპიით.

„1984“-ის კითხვისას, როგორც უკვე აღვნიშნე, უნებლიეთ, შეიძლება გაგვახსენდეს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, არამედ 1905 წელს პეტერბურგში ბერი სერგეი ნილუსის მიერ გამოცემული საკმაოდ გახმაურებული წიგნიც „ებრაელ ბრძენკაცთა ოქმები“, რომელიც მოგვიანებით მრავალ ენაზე ითარგმნა. რომან „ფუკოს ქანქარაში“ უმბერტო ეკო ვრცელად იღვწის უთმობს „ოქმებს“. რომანის ერთ-

ერთ პერსონაჟს არაავთენტურ და იაფფასიან ბროშურების ნაკრებადაც მიაჩნია, თუმცა „იძულებულია, აღიაროს ერთი უცნაური გარემოებაც, თვით წიგნისადმი ირონიულად განწყობილი ადამიანებიც, საბოლოო ჯამში, მისი გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. რამაც აიძულა მავანნი, „ებრაელ ბრძენკაცთა ოქმები“ აკრძალულ თხზულებათა ნუსხაში შეეტანა“. მინც რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ასეთი პოპულარობა? ალბათ იმით, რომ ის, გარკვეული თვალსაზრისით, წინასწარმეტყველურიც აღმოჩნდა, მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას: მასში არსებული თეზისებიდან ნაწილი ასრულდა კიდევ (როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვა ქვეყნებშიც). ჯორჯ ორუელის „1984“-ის აღიარებაც (მაღალმხატვრობის გარდა) ნაწილობრივ მისმა წინასწარმეტყველურმა ბუნებამაც განაპირობა. თანამედროვე ადამიანმა კაცობრიობის მომავალიც შეიძლება, დაინახოს თხზულებაში, მწერალში კი — ორაკული, რომელსაც მიაჩნია, რომ საზოგადოებას მიზანმიმართულად მართავენ რომელიცაც წინასწარ შემუშავებული თეზისებით.

აი, იმ გეგმის ნაწილიც, რომლითაც, ორუელის აზრით, შედგენილია ხალხის დასამონებლად: ოკეანიაში სიძულვილის დათესვითა და შინაური და გარეშე მტრის ხატის შექმნით ხდება მასების ზომიერება (ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ სტალინი და ჰიტლერი); საზოგადოებას ორზრის (doublethink) პრინციპით მართავენ (რაც არ არსებობს, მაგრამ მინც არსებობს, მაგალითად, დემოკრატია). სინამდვილეში დემოკრატია ოკეანიაში არაა, მაგრამ ხალხს უმტკიცებენ, პარტია დემოკრატიის გარანტიაო. მსგავსი რამ ხდებოდა საბჭოეთშიც — თითქოს არაღელგალურ საქმიანობას ებრძოდნენ, თუმცა ამავე დროს ახალისებდნენ, რათა საზოგადოება ცოდვით შეეკრათ. 80-იანების ბოლოს მოიგონეს იურიდიული ტერმინი „უმრომელი შემოსავალი“, რა იყო ის, ნესიერად არავინ იცოდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი პროფესიის ადამიანის დაპატიმრება შეეძლოთ „უმრომელი შემოსავლის“ ბრალდებით, დაწყებული ტაქსის მძღოლით, დასრულებული რეპუტითორით... ორზრის პრინციპი ნარკომანიასაც ეხებოდა. მას ებრძოდნენ, მაგრამ მინც ყვაოდა.

ოკეანიაში ღირსეულ ადამიანებს აკნინებდნენ, უღირსებსა და ზედაპირულებს კი ალაზნებდნენ. ადრეული ასაკიდანვე ქმნიდნენ ცრუ გმირს, რომელიც კარიერისთვის საკუთარ მშობლებსაც განირაგება (დაბავლებდა ეგრეთ წოდებულ აზრის პოლიციას). იდეოლოგია ბავშვობიდანვე აყალიბებდა პარტიულ ბიუროკრატს, რომელიც სანახევროდ რომოტიც უნდა ყოფილიყო, ჩაკლული სულითა და ცარიელი მზერით. დღეს ბიუროკრატია დემოკრატიულ სამყაროშიც ერთ-ერთი ყველაზე საძულველი კასტაა ხალხისადმი თვალთმაქცური დამოკიდებულების გამო. გავიხსენოთ ერთხელ რეიგანის ცნობილი ანეკდოტი. როსხელ პრეზიდენტმა ლია ეთერში ასე იხუმრა: „გინდა გითხრათ, რომელია ცხრა ყველაზე საშინელი ინგლისური სიტყვა? მე თქვენი მთავრობის წარმომადგენელი ვარ და აქ თქვენ დასახმარებლად მოვედი (I'm from the government and I'm here to help)“.

ტელეეთერში დროდადრო გაიეღვებს თანამედროვე ბიუროკრატთა სახეები (მნიშვნელობა არ აქვს ეროვნებასა და პარტიულობას). მათმა ცარიელმა მზერამ უნებლიეთ ჯორჯ ორუელის თხზულებაც შეიძლება გაგვახსენოს, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ცარიელი თვალის თემა. „1984“ დისტოპიური თხზულებაა, მასში (უტოპიური ჟანრის რომანებისგან განსხვავებით) კაცობრიობის მომავალი წარმოჩენილია არა ნათელ ფერებში, არამედ — ბნელში. დახატულია იდეალურის საპირისპირო სამყარო პოლიციური რეჟიმით, თანამდევნი დამანგრეველი ომებითა და რეპრესიებით. ორუელი მკითხველს არ კვებავს ჰილიასტური ილუზიებით, ბედნიერი ათასწლეულისა და რაღაც კომუნისმის ტიპის მინიერი სამთხის შექმნის ცრუ მოლოდინით. პირიქით, აპოკალიფსური შტრისებით გვიხატავს მომავალს. „1984“ რომანი-გაფრთხილებაა, რომელიც ადამიანში სიყვარულის ჩაკვლისა და საზოგადოების ზომიერების წინააღმდეგაა მიმართული.



ვანო ჩხიკვაძე

ხელმწიფი ქურდობს.
ჩატეხილია აქ სადღაც კიბე —
აქ შენი მოდგმის ჯალათი ბუდობს.

ვინც გიფარავდა, გადაიხიზნენ,
მორჩა, ძილშიაც გმართებს სიფხიზლე.

ჩატეხილია აქ სადღაც კიბე —
ვიდაც აქეზებს შენს ჯალათს:
— კიდევ!..

თვალცრემლიანი გინეგარ ფერხით,
დაგყვივის ცივი წვიმებით მთვრალი
და ფოთლცვენის ზოლიან ვეფხვებს
ტყეებში შოლტავს ნოემბრის ქარი.

აქცია

არაკაცი იქცა კაცად,
არაფერი იქცა „რამედ“,
რომ გვიქციონ დილა ღამედ —
კარვებს დგამენ
„დრამებს“ დგამენ.

თავი ველარ დააღწიე
შინაურ თუ უცხო ამკლებს —
ვინც კი დაკლეს,
რაც კი დაკლეს,
ქათამივით
ზედ წაგაკლეს.

საქართველო,
შე საწყალო,
მგელი მწყემსავს ცხვრების ფარას,
ასე როგორ გაგიმეტეს,
უფალიც კი ძლივს გიფარავს!

*
ქართლის ქირი ისევ თავთავდება,
შენი ვაი-ვიში არ მთავრდება,
თავზე ძველებურად გაღამდება,
ანწყოს კუნაპეტი ბინდავს.

მოდის, მოძალადე ანათემამ
რწმენის სამანები გადათელა,
ალარც ევროპული „გათათრება“,
ალარაფერი არ მინდა.

1963

წარსულის ხალიჩას გაშლი,
მიგორავს წითელი ვაშლი,
ფერადი ბაფთები ბავშვის,
შორეულ სამოცდასამში.

კოცნიდნენ თითები გამებს,
სიცოცხლე ითვლიდა წამებს,
ახალწლის სევდიან ღამეს
ნუგეშის უთხარი რამე.

მწუხარე კლავიშთა ფორტე
აქამდე ნკმუტუნით მომდევს.

ძველ ნათოვს, იანვრის ქარში,
ახალი თოვლი რომ წაშლის,
მხიარულ ფანტელებს ისევ,
მიჰყვება ზეცისკენ ბავშვი.

შორეულ სამოცდასამში,
შორეულ სამოცდასამში...

პანდორა

შეხედავ, გგონია კამკამა ნამია,
ჩახედავ სულში და —
უკუნი ღამეა —
ენაზე შხამია,
თვალეებში შხამია,
ამ წუთისოფელში რას ტოვებს, რა მიაქვს.

მსუყე სავარძელი, მდიდარი კანტორა
ასუქებს ახალი დროების პანდორას,

შევა ჯოჯოხეთის ბნელ და შავ სიაში
სტილისტის შეთითხნილ, სათნო მაკიაჟით.

ვითომ სიყვარულის მეხოტბე, მგოსანი,
სიძულვილს უგალობს მოწიქეკილ, ნაზი ხმით.
ისეთი სათნოა და პატიოსანი,
გველის ტყავს ლოგინშიც არ იხდის.

შეხედავ, გგონია კამკამა ნამია,
ჩახედავ სულში და —
უკუნი ღამეა...

*
ჯავრი მამერებს,
ჯავრი კვერავს გრდემლის ნაოჭებს —
ჩატეხილ ისრებს, ხანჯლის პირებს,
შუბის ბუნიკებს,
ალარაფერი, სამწუხაროდ აღარ მათვებს,
არც მომავლისკენ ვიყურები,
არც — წარსულისკენ.

გამოგაღვიძებს
გაზაფხულის კიდევ ბლავილი?
ნაწნავებივით ჩამოიშლის ქართლი ნახნავეებს?
კიდევ ვიხილავ, დილის მზე რომ დაიყვავილებს?
ვარდი პეპელას წამწამებს რომ დაახამხამებს?

ჯავრის აჩრდილი ძველებურად
თავს დატრიალებს —
ვილა აცელავს ჩვენს გატანჯულ გზებზე ნარეკალს,
აბა სად არის, იმის მსგავსი,
მგლისთავიანი,
თავის ყმუილით ეს ნუნკლები ვინც გადარეკა?!

შესურებით გსიკ ხარანაულს

*„მე რომ მოვკვდი,
ყველა ქალი დაქვრივდა“.*

გახსოვს, ფარდაგზე მიხატული მამალი ვარო,
გადმოფრინდი და მოიზომე შენ შენი კალო.

შენი ყივილით რომ ამყობდი,
აბრდღვილებდი ბიბილოს კონოლს,
სადღაა-მეთქი
ასპარეზი შენი სამყოფი,
ახლა ბიბილო-დაჩინჩლული
მამლები მოსწონთ.

ეჰა, ძმაო, კარგი ლექსი გაძვირდა,
თვალს ითხრიან ერთმანეთის ბაძვითა,
დაუბერავს უნიჭობის ბრმა ქარი,
უხვად ცვივა მკუხე ლექსის ნაქარი.

ვილა იხსენებს, ვინც პირველი ყივილი უძღვნა,
ვის გზა-ბილიკზეც უნდობლობის ვარდი ეფინა,
თავისუფალი ლექსის ურდოს
ვინც შემოუძღვა
და ბებერ რითმას
თავი კუნძზე დაადებინა.

ან ერთგულებას რად გვახარბებ,
ნეტავ, ქალების,
გადათვლილი აქვთ სათითაოდ
მკერდზე ხალები.

ან თუ წახვედი, სააქაოს
რალად დაქრი და,
რატომ გგონია, ყველა ქალი
შენთვის დაქვრივდა!..

დაუბერავს უნიჭობის ბრმა ქარი,
ოხრად ცვივა მკუხე ლექსის ნაქარი.

შენ რომელს იტყვი,
მეორეს?
პირველს?
გვინდა თუ არა,
ვილაცა გვირეცს!..

აბა, მამლები მოსასმენად ვილას სცალია,
ყრუთა ამქარში ყელს ღობეზე ვილა იღერებს,
შენი ცხოვრება როგორ გალიე,
ფშუტე თავთავში,
მითხარ, როგორ ამოიღერე!

დაბრუნდი-მეთქი, იქნებ გადარჩა,
ვინც სიხარულით გეტყვის:
— ოსანა!

თუ ის ფარდაგიც, რომ შეაფრინდე,
შურმა და გესლმა არ ამოჭამა.

დღეს ერთგულება ისე იაფობს,
დაუჯერებელ ზღაპარს მიაბზობ,
ბუმბული ყველა შაშვს და იადონს,
ქალებს თმა-ბლუჯით უგლეჯიათო!

მაშინ „ტატანო“ ჩალის ფუჩეჩია,
ანა დედოფალს მატყლი უჩეჩია!..

ცამცუმ, შენ ციხეს ბევრი უარეს,
მაგრამ კედლები გულქვა, ყრუ არი —
„ნაქარით“ ისე გადაუარეს,
რომ ველარ შველის ველარც რითმის
მჭლე საფუარი...

გახსოვს, ფარდაგზე მიხატული მამალი ვარო,
მოსწი-მოსწიე, დაიბრუნე შენ შენი კალო!

შენც კარგად იცი, ყველა ცრემლი ცრემლი არ არის,
ყველა ვერა გრძობს ერთით მეტი ცრემლის სიმძიმეს.
გადაფრინდი ამ ღობეებს,
ცისკრის მამალო,
თავი შენ მაინც გადაიჩინე!

ალბომი

პირველი იის სურნელებამ რომ გააბრუა,
შენზე და შენთვის აღარ გალობს ჩიტი ღაბუა.

დახურავ ალბომს.
წარსულისკენ არ იხედები,
თვალეები ძველი მოლოდინით აღარ დაგლიან,
აღარ დაუკრავ კლავესინზე რამე ნაღვლიანს,
არ იცრემლებენ კელაპტრები —
თეთრი გედები.

ალბომსლა ახსოვს,
საიდუმლო როცა გაცხადდა,
როცა სხეული ჟრუანტელმა შეაცახცახა!..

პირველი იის სურნელებამ რომ გააბრუა,
არა, დღეს შენთვის აღარ გალობს ჩიტი ღაბუა.

გინდა თუ არა,
ეს ალბომი შენი სახლია,
სამრეკლოებზე ვიდრე ზარებს ჩამორეკავენ,
შენც დაგაბრუნებს შებერება უკან ხელკავით
და კელაპტრები მოწინებით თავებს დახრიან!

*
ამაოება თესე და თიბე —
წაქციულია აქ სადღაც კიბე.

არეულია ღვინოში დურდო,
მზაკვარი მზაკვრობს,

*
დღემდე, თმაგაშლილო, მგლოვიარევ,
მომტირი, რატომ ვერ მოგიარე.

მშვიდობაც ტანჯვა და ომი არი —
გაყრუებს უცხოთა ბორიალი.

გულმკერდგაღელილი გაზაფხული —
მინდვრები მუხლუხით გადახნული.
გაყამირებული ანეული,
მავთულხლართებს იქით დამარხული.

რა მოხდა —
გაბერნდი?
ველარ შობე,
ვინც გულის ნაღვერდალს ამოგყრიდა?

შენი ბედ-ილბალით თამაშობენ,
გკბენენ გაღმიდან თუ გამოღმიდან!..

დღემდე თმაგაშლილო, მგლოვიარევ,
მომტირი, რატომ ვერ მოგიარე.

*
მაღალი, ნითელი, მხრებგანიერი სავარძელი,
ფეხიფეხზე გადადებული ქალბატონით —
დასტყობათ ორივეს ასაკი,
სავარძელს — გადაცრეცილი სახელურები,
ქალს — ყელზე შებმული ნაოჭის ყელსაბამი,
ასხმული წლების ხმაურისანი ნიჟარებით...

შუშაბანდში გარინდება დაიარება,
ჩაიდანმა ამოიგდო გული დულილით —
ელოდება, როდის მოსწყდება
ფინჯანს წვეთივით მორეული კოვზის წკარუნი...

მერამდენე წელიწადია,
სავარძელი ქალბატონის სხეულს იმეორებს,
იმგვანებს და ემგვანება,
ანანავებს თვლემამორეულს, ხელში აყვანილი
თვინიერი ბავშვივით...

რა ეშველება, როცა ქალბატონს
დიდი სიჩუმე დაუძახებს.
წაიყვანს და
ამოვარდება „სურათი“ ჩარჩოდან —
ქალის პორტრეტი —
სევდიან თვალებში არეკლილი პირველი ფიფქებით,
ფანჯრების ეკრანზე რომ ჩამორბიან?!

გასულმა საუკუნემ ჩაიბარა თავის რეკვიზიტი —
არც სავარძელი, არც ქალბატონი,
არც რაფაზე ხელისნებივით
ჩამოდებული პირველი თოვლი!..

იყო დრო...
იდგა მამადავითი
თეთრად საყელო შემოქარგული!..

დედაქალაქშიც ხვავრიელი იცოდა თოვა —
ნეტავი, თბილისს, ის ჩავლილი ზამთარი ახსოვს?!

*
გაიხსენე, ვიდრე ხახას
დუმბილის დულაბით ამოგვივსებენ —
ჩვენ მშობიარობას გადაყოლილი
ერთი ფურის ნაშიერები რომ ვართ!

აჰა, შემოვრჩით წუთისოფელს
ბოლოს მიშვლები —
ლორს გადავუგდეთ, თუ რამ გვებადა!

რა ჰქვია-მეთქი ჩვენ სიცოცხლეს,
მაინც ბედის მაღლიერები,
ნაქცეული ნიქარას გვამში
შემძვრალეები რომ ვზივართ, ვიზამთრებთ?!

*
გზაგასაყართან
დახრილი ტოტი,
ტოტზე ფოთოლი,
ნეკერჩხლის, კენტი —
შემწეობისთვის განვდილი პეშვი,
ითხოვს წყალობას —
წკრიალებს წვეთი!..

ხელეპი

ნაბრძანებულა პატარა ქალბატონი —
ჩემი ქალაქის ხელმარჯვე ოსტატი...

როცა ქვეყანაში სიყვარული გამოილია,
როცა დაუნდობელ და გულქვა ღამეებში
გულქვა მეზობლები
გულქვა სიზმრებს აგუნდავებდნენ,

პატარა ქალბატონის გაცრეცილი თითები
იმათ შვილებს
სკოლებსა და ბაგა-ბაღებში
ნემსითა და ყაისნალით გამოგონილი,
საახალწლო სიხარულით ასაჩუქრებდნენ.

როცა ქალაქის მთავარ ქუჩაზე,
ჰერბარიუმის ტოტებით მკერდზე დაკრეფილი,
მოამაგე და დაქანცული ხელებით ჩამოატარეს,
რადგან გარდაცვლილი ვერ იცნეს და ვერც გაიხსენეს,
გული დასწყდათ მხოლოდ ხელებზე,
თითებზე და თითის წვერებზე...

ნაბრძანებულა პატარა ქალბატონი —
ისე იცხოვრა,
კონკიას მომკითხავიც არა ჰყოლია,
ავ დედინაცვალს —
ურემონტო და გულქვა ბინას,
თვალი იმათკენ უფრო ეჭირა,
გულქვა სიზმრებს ბალიშზე რომ აგუნდავებდნენ —
ვისაც შეეძლო „შპალერით“ შეემოსა და
და ცივი კედლები „კარმით“ გაეთხო.

მათი შვილების მოამაგეს, მოლოდინში ჩამოულამდა —
ვერ შეიკერა მისი სარგო ქოში,
უფლისწულის ფიცხმა ულაყმა
ჭიშკართან არ დაიჭიხინა...

ბოლოს კი, ბოლოს,
ალარავინ რომ არ გამოჩნდა,
ისევ უფალმა მოაკითხა,
როგორც ბავშვმა თავის თოჯინა,
მკერდში ჩაიკრა და წაიყვანა...

ნაბრძანებულა პატარა ქალბატონი!..

*
სამზარეულოს გაზქურასთან,
ორთქლსა და ცეცხლში გამოშაშრული,
ოჯახზე მზრუნველი ხელებით
დგახარ, როგორც გემის მესაჭე.

ერთგული და ამტანი,
მერამდენე წელიწადია,
შტურვალს ჩაფრენილი თითებით
მიგყავს „გემი“,
ჩასაფრებულმა რიფებმა
ფერდი რომ არ შეუნგრინონ...

მხოლოდ წინ — უკან არ იხედები,
ისედაც ხვდები, ბებერებივით
უპეებს რატომ დაეკიდნენ მძიმე ცრემლები —
მერამდენე წელიწადია,
დაღლილი და კისერგანვდილი,
სულს მიგუბებ მოხრილი მხრებით,
თითქოს აღმართში
მოვალეობით დაზურგული ფაშატი ადის.

შვილას

არა, არა გთხოვთ ჩემი გულის სისხლის წვეთებს
გემო გაუსინჯოთ,
ან ჩემი მწარე ფიქრების შხამით მოინამლოთ.
ჩემი ცხოვრების წიგნი ბოლო ფურცლებს ამრიალებს
და მეფიქრება,
დაბინდულ ლაბირინთში,
გვირაბის ბოლოსკენ
სანთლით ხელში ვინ გაგიძღვებათ!..

გვირაბის ბოლო —
ზეცისკენ მიმართული ლულა —
ადრე თუ გვიან ამ ლულამ უნდა დაიქუხოს,
მაგრამ მანამდე,
ნუ იფიქრებთ, რომ გზა ბოლომდე გაკვალულია —
არავინ იცის, კიდევ რამდენი ეკალი დაგხვდებათ,
ნუ გგონიათ, რომ დიდი მოვალე
თავისას არ მოითხოვს,
ნუ გგონიათ, რომ, ადრე თუ გვიან,
ცარიელი თოფრაკიდან
შიმშილი არ ამოგხიხვინებთ,
ნუ გგონიათ, რომ თქვენი ცხოვრების კაბადონზე
მზე არასოდეს არ მოინყენს,
ცრემლის წვიმები არ ჩახრამავენ ხელისგულებს და
სუქქაკლის ბოლოს,
ავანსცენაზე,
შემოდგომის ნაცრისფერი ნისლები არ დაეშვებიან...

არ დაგაინწყდეთ,
როგორც დარახტულ სამარქაფო ცხენს,
ამ გზას თქვენამდე მე მოვუძეხი,
მე შემოგვით უნაგირზე,
მე გადავცხე ამაყ ულაყს გავაზე ხელი...

არა, არა გთხოვთ ჩემი გულის სისხლის წვეთებს
გემო გაუსინჯოთ!..

ჯალათი

1

„და იდგა ღამე!..“
...ჰკითხა ჯალათმა მაშინ პატიმარს,
როცა ბეჭებზე ცხრაპირს აძრობდნენ,
ყურებზე ხელებს რად იფარებდა...

გამოუტყდა, თურმე, საბრალო,
რომ მუსიკოსი კაცი იყო
და თავსა და სმენას უფრთხილდებოდა...
მასსოვს, სოფელში, დღეობაზე,
გალეშილმა მთვრალმა

პირუტყვმა, მაყალიდან ატაცებული, ჯერ კიდევ უში
მწვადის შამფური დამკვრელის ილღიაში ამოდებულ
დოლს გაუყარა.

იტორა ბიჭმა, პურს ამ დოლით ვჭამდიო...
„დაამშვიდეს“, დოლის ნაცვლად
ფილტვები რომ არ გაუხვრიტეს,
მადლობა ეთქვა!..

...იმას ვამბობდი, სამუდამო პატიმარივით,
ჯურღმულში, სადაც
ნესტი ტიროდა, ჯალათმა როცა მოისმინა

მსხვერპლის პასუხი,
თავზე შეადგა და, როგორც დოლისპირს,
ყურიდან ყურში გაუტარა

ფოლადის „სპიცი“...
ოცდაათი წლის შემდეგაც
კვლავ „იდგა ღამე!..“

საგარეუბნო მატარებელში,
ფანჯარასთან მიმჯდარი,
ნიგნს ჩაჩერებული მგზავრი

არაკაცებმა ნიხლის ცემით ტამბურში გაათრეეს.
რას მერჩითო, ამოიკენესა საცოდავმა,
პოეტი ვარ და

ნიგნის მკითხველი... ასეთი რა დავაშავო!
რატომ გამოტყდა, რად დაავინყდა,
როგორა სძულს ჯალათს პოეტი?

იქნებ ფიქრობდა, გადაშენდნენ
ან სამუდამოდ წარსულში ჩარჩნენ
და მოტორტმანე ვაგონებში კბილთა ღრჭილით
ალარასოდეს ჩამოივლიდნენ?

პოეტს არავინ გამოესარჩლა!
ჰოდა, ისედაც ავადმყოფმა,
ტანჯულმა „თავის ტკივილების
მრისხანე ბატონისაგან“,

საფეთქლები რომ არ ჩანგრიათ,
ხელს უფარებდა ქვასავით ჭვინტებს!..
არა, მაინც რამ ათქმევინა, პოეტი ვარო!

იქნებ ეგონა შუბლზე კონცით გამოუშვებდნენ?
სახრჩობელაზეც რომ აეყვანათ,
მაინც ვერ უნდა გამოეტებათ,

რადგან ერთი ლექსის მოხვედრი უფრო ამინებთ,
ვიდრე მორჩილთა ჯოგით სავსე ეშელონები!..

2

რა გემართება, სამართალო,
ყველა დროში რად აგვიანებ,
მოდხარ მაშინ,

როცა ბერდენას გამოკრულია უკვე სასხლეტი,
როცა პოეტის სისხლიან მკერდზე
ნატყვიარი კვდება მიხაკი

და საჯალათო „სპიცი“ ნისკარტი
კორტინის ორივე ყურის ბარბანს,
როცა გაფატრულ დოლში

ორპირი ქარი გინასით გადი-გამოდის
და ტამბურში ნაფურთხსა და წუნს
აპოხიერებს ალალი სისხლი...

რა გემართება, სამართალო, რატომ გვიმალავ,
რომ სადღაც ისევ
მწვადის თონთლო და სისხლიან შამფურს კვლავ
დამშეული

ძიძგნის ჯალათი.
რატომ გვგონია,
რომ სამუდამოდ ჯურღმულს ჩაბარდნენ...
გესმის ყმული? არც მგლები ჩანან, მაგრამ ვინ იტყვის,
საშვილიშვილოდ გადაშენდნენო!..

3

„და იდგა ღამე!..“
ორიათას რვის აგვისტოში, ჯალათი ქვეყნის
თვითმფრინავიდან,
ცოდვის ღილაკზე თითის დაჭერით,
ქალაქს ბომბები რომ უთავაზეს,
იქ ვინ იყო მფრინავის მტერი,
იცნობდა ვინმეს, ანდა თავად ჯალათს იცნობდნენ?

არა, მაგრამ ექავებოდა
კავკასიონზე გადმოლაფებულ,
სისხლმონყურებულ მტარვალს ნუნები...

არ უდარდია ვისი სიცოცხლე განირა ანდა
რამდენი ბავშვის წმინდა ოცნება დაახეიბრა!..
დასტრიალებდა ქალაქს ჯალათი, ვის დაეძებდა
ჩემზე კარგად არავინ იცის —

მაინც როგორი ჭკვიანი გამოვდექი,
ჭკუა მეყო და ენას კბილი დროულად დავაჭირე —
არ გამოვტყედი, პოეტი რომ ვარ!..

„და იდგა ღამე!..“



ნურს ნურას მკითხავ და არც არას ვიამბობ სუმბატ დევისას ანკაფუზ დევისას და მათ შინაშეს, ბორაისხეველის...

სახელითა ალლაჰისათა, მონყალისა და მწყალობლისა... ჭეშმარიტად მხოლოდ ყოვლადმონყალე ალლაჰია თაყვანისცემის ღირსი, იგია ყოვლადმონყალე და ყოვლადმწყალობელი, იგია გამგე განკითხვის დღისა, მხოლოდ მას ვევედრებით და ვთხოვთ წყალობას, რომელიც არც შობს და არც შობილა, იგია სამყაროს შემოქმედი და მფლობელი, რომელმაც შექმნა მზე და მთვარე, ზღვა და ხმელეთი, ცხოველები და მცენარეები, შექმნა ადამი და ევა, შთაბერა მათ სული, აღაზვეა სახედ თვისად და გამოარჩია უდიდესი სიყვარულით სხვა მის ქმნილებათა შორის.

ჭეშმარიტად ვინც ღვთისმოშიშია, ის აღარ უფრთხის არავის და არაფერს, არც ხილულ, არც უხილავ მტერს, არც მახვილს, არცა ხანძარს, არც წყალდიდობას, არც ჯინს, არცა ძუ ჰიფრითს, არცა ილბისსა და შაითანს — ჯოჯოხეთის გამგებელსა და ქვესკნელის თავადს. არ აშინებს არცა სიკვდილი, არცა ავი ზმანება და არცა ცუდი სიზმარი... ხოლო ვინც არ იწამა და ურწმუნოა, ზურგი შეაქცია, უარყო და არ აქვს ყოვლადმონყალე ალლაჰის სიყვარული და რიდი, მას აშინებს ყოველი ამ ცოდვილ დედამინაზე. საწყალობელია მისი ყოფა ამა სოფელში და შემადრწუნებელი მისი აღსასრული და ყოფა სიკვდილის შემდეგ, მას ჯოჯოხეთის გეჰენია ელის, სადაც ერთი დღე ორმოცდაათი ათასი წელი გრძელდება და რომელიც, ჰოი, რა საშინელი სამყოფელია!.. დაუსრულებელი და დაუსაბამოა სატანჯველი მისი, რადგან ჭეშმარიტად, რითიც ვახვალ და რასაც არაღებ ამა სოფლიდან, იგივე დაგვხვდება საიქიოშიც. ვისაც ღმერთის არ უშინია, მას დაუსრულებელი შიში აქვს ამ ცრუ და მუხთალი წუთისოფელისა და ყოველივე აძრწუნებს მას, თითოეული ხმა და ყოველი ჩქამი და ყოველივე ზაფრავს მას და საკუთარი ჩრდილიც კი თავგადასაცემს...

აი, რა ვიფიქრე, მას შემდეგ რაც არაბ მულაჰ იბრაჰიმთან, ჩვენს ბრძენ ჰაქიმ ჰაფიზულა დურანაჰმადთან, ხანგრძლივი და მომაბეზრებელი საუბრისას და, რაც მთავარია, ჩემი შემოილი ბიძაშვილის, ყაზიყი ალლაჰნაზარის, უცნაური და გაუგებარი ნამოძახილების შემდეგ ცხოვრებული მამაჩემის ნაქონი, დაფურცული და სქლად მტვერდადებული წმინდა წიგნი — ყურანი — გადმოვიღე, მტვერი ფრთხილად გადავწმინდე და კითხვა დავიწყე.

მთელი დღე და ღამე გაუჩერებლად ვიკითხე. ისე დამალამდა და დამათენდა, რომ ვერც ვაგიგე. როდესაც მამაჩემისეული ძველი ყურანის ბოლო სიტყვებზე წავიკითხე 114 სურთიდან და წმინდა წიგნი დავხურე, თავი ისე მიგუფუნებდა, როგორც ველური ფუტკრებით სავსე ხე გუფუნებს, როდესაც მის ფულურში მონყობილ სკეში თვალწინდელი სტეპების ყვავილებისაგან ნექტარს აგროვებენ და თავლს ამზადებენ.

დავხურე წმინდა წიგნი. დავხურე, თავის ადგილას დავაბრუნე და დავფიქრდი. დიდხანს ვიფიქრე, ვიდრე კიდევ ერთხელ დამალამდა და დამათენდა. მერე ჩამეძინა. ძილშიც ვიფიქრობდი. ამ დროს მივხვდი, რომ ჭეშმარიტად მთავარი ის კი არ არის, რასაც თვალახელილი ხედავ, არამედ ის, რასაც თვალდახუჭული დაინახავ და რაც შენი დახურულ თვალის ქუთუთოებზე დაინახება.

როდესაც გამეღვიძა, კიდევ ერთხელ ავიღე წმინდა ყურანი, კიდევ ერთხელ გადავწმინდე, ამჯერად თხლად დადებული მტვერი, კეთილშობილი წიგნიდან და თავიდან დავიწყე კითხვა.

და ვინამე და ვუსმინე უფლის უკანასკნელი მოციქულის, მუჰამედის — ალლაჰის სალაში და მშვიდობა მას — კეთილშობილი სიტყვებისა, რომელიც დავიდა ჩემს გულამდე და გონებამდე და მაშინ მე შევიხანე ჩემი ცოდვები, ჩემი დანაშაულები, ურწმუნოება, სისუსტე, სიზარმაცე და ლარობა!.. რადგან ჭეშმარიტად შიშია ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და მძიმე ცოდვა ადამის ძეთა შორის ღვთის წინაშე. სწორედ შიში და ლარობა წარმოშობს ისეთ მდაბალ და საზიზღარ ცოდვებს, როგორიცაა ლალატი, ვერაგობა, შური, ორპირობა, სისასტიკე და შურისმა-



ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ძიებლობა... და ჭეშმარიტად უთქვამთ სწავლულ ულუმებს და შეიხებს: „ნუ დაუმეგობრდები სულელს და გაიძვერას, რადგან მასთან მეგობრობა სულს ვერ დაგიშვიდებს და კეთილშობილებას ვერ შეგძენს, არამედ წაგახდენს და სახეს დაგეკარგვინებს, ხოლო ის ღიმილ-ღიმილით და დაცხრომლად გაგიტხრის ზურგსუკან სამარეს და თუ იმის გამბედაობაც არ ეყოფა, რომ ხელსაყრელ დროს გადაგჩეხოს, მაშინ იმას მაინც მოახერხებს, ყოველი შენი კარგი და ქველი საქმე დაშლის, მიჩქმალოს, ხოლო ყოველ შენს შეცდომას, ნაკლსა და ავს სიხარულით მოსდებს ქვეყანას, განავრცობს და გაავრცელებს“... მართლაც ყველაფერს ეშვებოდა სიკვდილის გარდა, ყველაფერი გამოსწორდება ბინძური სულის გარდა — რადგან ნათქვამია, ნეტავი ავი კაცი იქცეოდეს ისე ადვილად კარგ კაცად, როგორც ავი დარი შეიცვლება კარგი დარით და, ინშალაჰ, ყველაფერს ალუდგები წინ გარდა ბედისწერისა.

და როდესაც კაცი გყავს მოსაკლავი, როდესაც თვითონვე არ დაგიტოვა სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ დროზე ადრე გაგზავნო საშინელ სამსჯავროზე, რათა თავისი ცოდვებისთვის პასუხი აგოს, როდესაც ისეთი რამე დაგიშავა, რისი პატივაც შეუძლებელია, სამშობლო წაგართვა, მამა-პაპული ალალი მამული გადაგიხნა, მშობლები საფლავები შეგიღია, სალოცავები დაგინგრა, საყვარელი ქალი მოგტაცა, სულში ჩაგაფურთხა, ღირსება აგყარა, ასეთ შეურაცხყოფას მხოლოდ სისხლი თუ ჩამორეცხავს, ამის ჩამდენს მხოლოდ იარაღი და სამარე თუ გაასწორებს, რადგან მოძალადე მხოლოდ შიშსა და ძალას სცემს პატივს და მხოლოდ მაშინ ჩავთვლის კაცად და ადამიანად, თუ ნიკნებში იატაგანს გაუყრი ან გულისპირზე გრძელ, მსტვენავ ქიბურს დაასობ... და ამ დროს ვერ კლა... და არა იმიტომ, რომ ცოდვის გემინია, ალლაჰის გზაზე სულიერად ამაღლდი, ან უფლის წმინდა სიტყვა გადმოვიდა შენზე, როგორც მოციქულებზე — იბრაჰიმზე, სულიმანზე, მუსაზე, ისაზე, მუჰამედზე, ალლაჰის სალაში და მშვიდობა მას... და წმინდა ღვთისმეტყველებზე, ან ჰინდუსტანის ალ-მიხრაჯანის ბრახმანეივით ნირვანაში გასხივოსნდი... არამედ იმიტომ, რომ ბილინ ჯინების გარდმოგზავნილი წყეული შიში გიბორავს ხელ-ფეხს და გიყინავს სულსა და გონებას. სად და როგორ უნდა გაარჩიო, რითი უნდა დაუდასტურო ყოვლადმონყალე ალლაჰის მერე ყველაზე მკაცრ და შეუვალ მსაჯულს — საკუთარ თავს, რომ დიდესლოვნება გამოძრავებს, ცოდვას უფრთხი და არა შიშს. სად გაექცევი საკუთარ ეჭვებს, კითხვებს და შენსავე თავის დამცინავ მხერას?... და ფიქრი, რომ თუკი მოერევი შენს მტერს — ნურ მუჰამად ბანს, თუ გამოგივა, დაამარცხებ და ხელი მოგემართება, მა-

შინ ძალიანაც კმაყოფილი დარჩები შენი საქციელით, საკუთარი თავითა და ფეჰლევანისა და ბალათურის სახელით და ამაყად ჩამოიკონწიანებ მტრის მოკვეთილ სისხლიან თავს უნავირის ტახტაზე და იამაყებ საკუთარი, როგორც უძლეველი მეომრის, სახელით? და მხოლოდ იმიტომ არ გაქვს მტრის სისხლში ხელები იდაყვებამდე ამოვლებული, რომ უბრალოდ ლაჩარი ხარ და ვერა ბედავ და არა კეთილშობილი, პატიოსანი, სიკეთით აღსავსე და წმინდანი? ან თუნდაც სულგანათებული და უბედური მამაჩემი ედღეა ედ დინივით სათნო, უწყინარი, უმწეო და საწყალობელი გულისა?... განა თვით ჯოჯოხეთზე საშინელი სამყოფელი არ არის ეს საშინელი შეგრძნება, რომელიც საკუთარ გონებაში და სხეულში ჩაგსახლებია, საშინელი ეჭვები, იღუმალი, და მგზავნილი მკვლელის სამართებელივით ბასრი და მსახვრალი კითხვები და ეს დაუნდობელი, წვიმში ახელილი ნითელი ტალახივით გაწეილი ზიზღი საკუთარი თავისადმი?... სასწორკვეთილი კაცის საშინელი და სამარცხვინო შეგრძნება, რადგან მთავარი ხომ მაინც ის არის, როგორ დაუბრუნებ ყოვლადმონყალე ალლაჰს იმ წმინდა სულს, რომელიც მან ჩასახვისთანავე შთაგებრა და რომელსაც ასე დაუნდობლად აბინძურებ შენი ბედუკულმართი და უმეცარი ცხოვრებით, ვიდრე საბოლოოდ არ ამოგძვრება და უსულოდ დარჩენილი ყურყურეთუღა მანანნალა ტურასავით არ დაეგდები, არ ჩაძაღღდები და გაიხრწნები.

ადამის ძეთა თანდაყოლილი სისუსტეების გამო მიდრეკილია ოცნებებისა და ცრუ იმედებისაკენ. ის ასე იმენებს არარსებულ, ჰაერისგან შემდგარ, ცრუ იმედებით ნაშენებ კოშკებს თავის ჩაბნელებულ სულში და თვითონვე იჯერებს ამ კოშკების არარსებობას, მეტიც — ცდილობს, იცხოვროს კიდევაც ამ კოშკში და მის არარსებულ კედლებსა და ჭერს შეაფაროს თავი, აქ დაემალოს სიცოცხლეს და სიკვდილს, რომელიც ამ მოცინილი და შეთხზული ციხე-კოშკისგან განსხვავებით, ინშალაჰ, არსებობს და არც არაფერი არსებობს ისე მუდმივად, როგორც სიკვდილი და ვადიდებთ იმას, ვინც ფლობს მას — სიკვდილს, სამყაროს, მარადისობას და ნათელს. ჭეშმარიტად სიცოცხლე, ცხოვრება და ცხოვრების გული ამაო სიამოვნებები და ვნებებია, ყველაზე დიდი ცთომილება და სიცრუე, მაშალაჰ, რაც უფრო ბევრსა და სწორად ფიქრობს ბედკრული ადამის ძე, რაც უფრო ღრმად ცდილობს აზროვნებას, მით უფრო მკვეთრად აქვს ამოტივრული სიკვდილის ბეჭედი და ამაო უკვდავების უმწეო იმედი. ჭეშმარიტად, როგორც ყოვლადმონყალე ალლაჰის რისხვის ქვეშ მყოფთათვის გადაიქცა ოქროს უსხი ცრუ ღმერთად და კერპად, ასევე იმედია ქცეული მოაზროვნეთა, მეოცნებეთა

და ფილოსოფოსთა მუხთალ ღვთაებად... სწორედ ეს არის ბრძენთა და სწავლულთა მთავარი ცდომილება, რა სისულელეა და უსრულებელი ფიქრი, მსჯელობა, დროდადრო ხმლების ტრიალი და უბედური ადამიანების სისხლისღვრა კი იმის გამო, რასაც, ზუსტად იცი, ვერასოდეს ჩასწვდები, რადგან ეს ყველაფერი კაცთა მოდგმის უბადრუკი გონებისთვის უბრალოდ მიუწვდომელია?... რას სთხოვ არსებას, რომელიც საქონელივით დღეში რამდენჯერმე ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და საკუთარი ჩრდილიც ისევე აფრთხობს, როგორც სიკვდილი და ორივე მათგანს ასე უმწეოდ და სასაცილოდ გაურბის მაშინაც კი, როცა ზუსტად ხედავ, რომ ეს მცდელობა ამაო და სასაცილოა? რომ სიკვდილისგან ეს ლტოლვა, მისგან გაქცევის უსუსური მცდელობა, მხოლოდ გაახლოვებს აღსასრულთან და რომ სიკვდილისგან განდგომა სიცოცხლისგან განდგომაა და, ინშალაჰ, სიკვდილის შიში, სამარცხვინო ლარობასთან ერთად, ძალიან დიდი სისულელეც, რადგან სიკვდილი გარდაუდებელია, ხოლო შეუცნობელი სადმი ბუნებრივი რიდი თავისუფლად შეიძლება, აღსასრულისადმი ცნობისმოყვარეობამ გადაფაროს.

აი, ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ჩვენი ყივჩაღის რჩეულ ჯიგითაგან საუკეთესოები მენვივნენ სტუმრად მდიდარი ძღვენი, დოსთარხნით და მოსაკითხით. ესენი სწორედ ის მარჯვე ბალათურები და ყოჩაღი ბიჭები იყვნენ, ვისთან ერთადაც იმ უცხო მოდგმის ხალხს გადავეყარეთ და ვისთან ბრძოლისასაც იმ ჭაკი ვირის ნაშობმა ნურ მუჰამად ბანმა ლალატი თვალი გამომთხარა და ვის სიკვდილ-სიცოცხლეზეც ამდენი ხანი ფიქრით მაღლა ცაში ყოვლადმონყალე ალლაჰი შევანუხე, დაბლა კი ეს ცოდვილი დედამინა. სწორედ ამ ერთგულმა ნუქერებმა და გულადმა ფეხლევენებმა გამომტაცეს ხელჩართული ბრძოლის ველიდან მათრახით თვალგამოთხრილი, ხმლებით აკუნული და ცოცხალ-მკვდარი. ჩვენ ისედაც ყველანი ნათესავები და ბავშვობიდან თანაშემზრდილები ვიყავით... იმ საბედისწერო ბრძოლის შემდეგ კი, როგორც მტრის, ისე ჩვენმა ერთად დაღვრილმა სისხლმა, სამუდამოდ შეადულა ჩვენი ძმობა.

სტუმრები მაღლა ბანზე მივიწვიე და ტიკში შემორჩენილი კუმისი ფიალებში ჩამოვუსხი. ჩვეულებრივი მისალმებისა და მოკითხვების შემდეგ ერთი მათგანი, ყველაზე უფროსი და გამოცდილი ჯიგითი, მანსური ჩემსკენ გადმოიხარა და შერჩენილ ცალ თვალში ყურადღებით ჩამხედა: — მისმინე, ბაბურ, შენ ჩვენი ძმა ხარ, მაგრამ მარტო შენს მოსახალხებლად და ჯანმრთელობის ამბის მოსაკითხად არ მოვსულვართ. მადლობა ალლაჰს, სრულიად გამოჯანმრთელდი. ჩვენ ველაპარაკეთ

ჰაქიმ ჰაფიზულა დურანაჰმადს და გვი-
თხრა, სრულიად გამოჯანმრთელდა, მხო-
ლოდ შფოთვები აქვს, მარილები და სხვა
ავი სულელები ანუხებენ... იგივე გვითხრა
იმ არაბმა მულლამ იბრაჰიმმა. ჰოდა, მაგ
შფოთების სამკურნალოდ მოვედით. კარ-
გად მოგესხენება, ვერც ერთი ბრძენი ჰა-
ქიმი და ნვერცანცარა მულლამ შფოთს,
მარს, ხათაბალასა და ავ სულელებს ჩვენზე
კარგად თავს ვერ გაართმევს და ვერ მო-
აგვარებს. მარიდი კი ჩვენსავით ყარაღი და
მეამბოხეა...

ბიჭებმა მხიარულად გაიცინეს ამ სი-
ტყვებზე... მეც გამეღიმა.

— ბაბურ, ყური დაგვიგდე, გეყოფა ნო-
ლა, გვერდების გაბრტყელება და წმინდა
ყურანის კითხვა, — და ჩემს ძველ, დაფურ-
ცულ წმინდა წიგნს გახედა, — წმინდა
წერილი სწავლულთ მიანებე, შენ კი შენს
საქმეზე და საკუთარ ბებერ, ქარქაშმორყ-
ულ გორდა ხმაზე იფიქრე. ისე ჩასუქდი
ამდენი უსაქმურობითა და კოტრიალით,
ბუხარელ მდიდარ სოვდაგარს დაემსგავსე.
განა, ეს საქმეა? რას იფიქრებს შენზე შენი
ავი, მკბენარა ცხენი არაფშა?..

— მაგ არაფშამ მადლობა მითხრას, იმ
უცნაური სიზმარის შემდეგ ყელი რომ არ
გამოვლადრე და ძველიანად არ შევხარა-
მუნე, — ჩავიბუტბუტე მე. ვფიქრობდი, თან
ნელ-ნელა შევეცვოდი კუმისს. ვხვდებო-
დი, რისთვისაც მენვივნენ და სადაც მძა-
ხდნენ. თარეშზე!.. სწორედ მაგაზე და-
ვიფიქრდი — ორი ისეთი მანუხებდა: ვიგრძ-
ნობდი თუ არა რამესავე გულისგამყინავ
ელდას, როგორც ნურ მუჰამედ ბანის მო-
საკლავად ნასულზე ვგრძნობდი და მეორე
— წმინდა ყურანის კითხვისა და ყოვლად-
მონყალე ალლაჰის სიტყვის გაცნობის
შემდეგ, რომელიც მართლმორწმუნე მუს-
ლიმთ სხვის ეზოში ხეხილისთვის ავი
თვალთ გახედვასაც კი კატეგორიულად
გვიკრძალავს, როგორი იყო თარეშზე, და-
ვლაზე და ალაფზე ნასკლა, სადაც რო-
გორც ჩვენ, ისე სხვის სიცოცხლეს ვნი-
რავდით და სხვის საქონელს, ხვასტაგასა და
სარჩო-საბადებელს ვიტაცებდით...

— განა, არ მოგეხატრა განსაცდელი,
წინ მომლოდინე თვალცარიელი სიკვდი-
ლის ალის გამოჯავრება, დალლა და ყიფ-
აღეთის ველების მშობლიური მტვერის
მშრალი სურნელი?.. საფერხის ფლოქვებ-
ის ხმა, შიმშილით მუცელი ხერხემალზე
რომ გაქვს გალასტული. ერთგული, ფი-
ცხი, ფეხმარდი ცხენის ზურგზე რომ ხარ
დაკრული, რომელსაც ნადირის გეშნაცემს
თვალეში შიშისგან გადმოცვენაზე აქვს და
ყალყზე დგება? შენ კი მთის ჯიქივით თვ-
ალეზანთებულ გარემოს ზვერაფ და საკ-
ბილოს ექებ, მერე ბრძოლითა და თავგა-
დასავლით დამაშვრალმა ცხენის უნაგირს
ქვეშიდან საკუთარი სიმძიმით დაბეგვილი
უმი ხორცის ნაჭერი რომ გამოიღო და
დადლილ-დაქანცულმა წვეტიანი კბილე-
ბით დაძიძგნო? ტყუილად ხომ არ შეუ-
რქმევიათ შენთვის ბაბური? ნუთუ წინ მო-
მლოდინე განსაცდელი სისხლს ალარ გიჩ-
ქროლებს და მოსალოდნელი საომარი ყი-
ჟინა და მოქნული ხმლის გაელევა გულს
ალარ გიჩქარებს?.. ამას წინათ, ბრძოლა-
ში, სადაც თვალი დაკარგე, შენმა თავზე-
ელაღებულმა სიმამაცემ და თავგანწირვამ
გვისხსნა ყველანი, წინ გაგვიძიქი და მტერი
დაგვამარცხებინა... ნუთუ იმ დაუნდობელ
ჩეხვაში, დუმანის მახვილი არა მხოლოდ
შენს სხეულს, არამედ შენს სულსა და შე-
მართებასაც მისწვდა და ბრძოლის ჟინი
სამუდამოდ ჩაგვიქრო?

კუსმენდი და თან საკუთარ თავს, გუ-
ლისცემას და ნაზრევს ვუგდებდი ყურს...

ამ სიტყვებმა ძალიან ამაღელვა. გუ-
ლზე მომხვდა. იმიტომ არა, რომ მასში უკვე
ფარული საყვედური ისმოდა და ლამის
პირდაპირ მეკითხებოდნენ — ხომ არ გე-
მინია, ან წინა ბრძოლებში მიღებულმა მძ-
იმე და ღრმა ჭრილობებმა გული ხომ არ
დაგიდედლა?.. ამ კითხვებზე ძალიან ზუ-
სტი პასუხები მქონდა. კითხვებზე პასუხე-
ბი თუ გაქვს და მოქმედება შეგიძლია, ალარ
ბრაზობ, რაც უნდა მძიმე და უსიამოვნო
იყოს შენთვის. ამაღელვა და გამაკვირვა
კიდევაც იმან, რომ ხანგრძლივი ავადმყო-
ფობისა და სისუსტის შემდეგ, უცებ,
ძალების საოცარი მოზღვავება ვიგრძენი.
გაფაციცებით ვაკვირდებოდი ჩემს თავს,
მაგრამ რაიმე შიშის, ზაფრის ან ელდის
ნიშან-წყალსაც ვერ ვგრძნობდი. უცებ ნა-
მომიარა ბრძოლის ჟინმა და მივხვდი —
ერთი სული მქონდა, მოქმედება დამეწყო,

ცხენს მოვხტომოდი და გადამეხუთა —
სულ ერთია, საით, რატომ, ვის მხარეს და
ვის წინააღმდეგ, ოთხივე კუთხივე გზა ხსნი-
ლი იყო და წინ დიდებული, შორეული ჰორ-
იზონტის ამაო დევნა მელიდა.

ამავე დროს, პირველად გამიელვა თავ-
ში: იქნებ მართალი იყო ის უცნაურად ჩაც-
მული, უცხო, ავარა ბიჭი იმ დაუჯერებე-
ლი სიზმრიდან, რაღაც ილაითთა და ხა-
თაბალებით წყალქვეშა მბრძანებლის სახ-
ელი რომ ეშოვა და ძვირფასი, ოქროთი და
ალმასებით მოოჭვილი, სამფეხა სამეფო
ტახტი მიეთვისებინა, ვიდრე ჩემმა ისარმა
ცეცხლად არ წარიტაცა?.. იქნებ მართლაც
აჯობებს, შევეშვა იმ უბედურ ნურ მუჰამე-
დ ბანს და თავი დავანებო? ჩემი მამი-
დაშვილები და მისი ბიძაშვილები ხომ არ
მიუღზავნო შერიგებაზე მოსალაპარაკე-
ბლად?.. ოღონდ ჩემს ზულიას ვერავის
დავუთმობ, ვერც ძეს ხორციელს კაცთა-
გან, ვერც ჯინებს და ვერც ყაროყუმის
გრძნეულ მისან, პირსისხლიან იაჯუდებსა
და მაჯუდებს... მივაგზავნიდი ჩემს მამი-
დაშვილებს, მათ პატივცემულ მამას, დარ-
ბაისულ მოხუცებს ორივე ყიშლალიდან,
ჩვენს არაბ მულლამ იბრაჰიმს და ბრძენ
ჰაქიმს, ჰაფიზულა დურანაჰმადს, ჩემი მამ-
იდაშვილებს მოხუც თეთრწვერა მამას
და ბიძებს, დავუბარებდი, რომ ჩემი გამო-
თხრილი თვალის სანაცვლოდ ხელი აეღო
ჩემს ზულიაზე. კი, აკვნიდან იყვნენ და-
ნიშნულები, მაგრამ ჩემი თვალის გარდა,
გალებულ ყალიბსაც ორმაგად ავუნაზლ-
აურებდი და სხვა ძვირფასი საჩუქრებითაც
ავავსებდი. ჩემი გოგოსთვის ყველაფერს
გავიღებდი, რასაც ამ ლაშქრობაში დავ-
ლასა და ალაფს ვიმოვიდი, თუ ცოცხალი
დავრჩებოდი და ალარც ჩემს გადახსნილ
თვალს, სისხლსა და შურაცხყოფას მოვ-
იძიებდი. ყველა თვალწინ, ორივე ულუ-
სის, ორივე ყიშლალი დარბაისილების
წინაშე, სიტყვას მიცემდი და სიკვდილამ-
დე არ დავარღვევდი მიცემულ ფიცს.

თუმცა ეს ჯერ მხოლოდ აზრი იყო, რო-
მელსაც უდაბნოს ქარიშხალივით ებრძო-
და საკუთარი უძლეურობისა და სისუსტის
ექვი, რომელზეც გიყვებოდით. ხმისმოუ-
ლებლად, თავჩაღუნული ვიჯექი და მდუ-
მარედ ვფიქრობდი ჩემს საფიქრალს. ყვე-
ლა მე შემომყურებდა და პასუხს ელოდა.

— უიღურებისა და ყირგიზ-ყაისაყებ-
ის კუმში რომ ათ ფარსახზე ღრმად შემოი-
ჭრნო ყიფჩაღეთის მინანქალზე, — ხმა-
აბლა განაგრძო ისევ იმან, — აურაცხელ
საქონლის ნახირს, ხანების იურტებივით
უზარმაზარ თანლუთურ წითელ აქლემებს
ათეღინებდნენ ჩვენს ველ-მინდვრებს, ვე-
ლური ულაყებისა და აჯილა ფაშატების
— ცხენების თვალწინდებულ რემებისა და
თმაზე უთვალავ ცხვრის ფარებს მოერეკე-
ბიან ჩვენს ოდინდელ საძოვრებზე! განა ეს
უნდა მოვუთმინოთ, ბაბურ? სირცხვილია,
დემთი ყიფჩაღში თავი აღარ გამოგვეყო-
ფა, ენაგრძელი და სიტყვამახვილი აკინე-
ბი დამცინავ სამარცხინო სიმღერებს მო-
გვიძვინან, ხალხი დასხრად აგვიგდებს.
ნუთუ არ შეაძრწუნებს მათ ჩვენი მშობლი-
ური, გამაყრუებელი ურანი: უიბას!.. დუ-
იუთ!.. და დაუღარა?! ნუთუ ამ საომარ
ყიჟინას შენი ხმა არ შეუერთდება?..

ცხადი იყო, ესენი იყო იყვნენ საომრად
აღერწილები, ჩემთან ერთად ან უჩემოდ,
მანაც წავიდოდნენ. სიმართლე უნდა ითქ-
ვას, მეც კარგად ავტყდი და მთელი ჩემი
ფიქრის, მსჯელობისა და ქვიშის ქარიშხ-
ალივით აბეზარი აზრების მიუხედავად,
უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი მქონდა.
ჩემს ბედ-იღბალს და წუთისოფლს, ჩემ
მაგივრად კვლავ უცნობი და მიუწვდომე-
ლი განგება და განგების წერა-მწერალი
განაგებდა. მარცხენა მხარზე მეჯდა და
მისი უჩინარი სული განუწყვეტილ ჩამჩი-
ჩინებდა, რომ ეს იყო უკანასკნელი და ყვე-
ლაზე დიდი მასნი, საკუთარი თავისთვის
შერჩენილი თვალი თამამად, თავისოფლად
გამესწორებინა და ფეხქვეშ კვლავ მყარი
ნიადაგი მეგრძნო. ამდენი მტანჯველი
კითხვების, ეჭვების, ფიქრების შემდეგ
კვლავ თავისუფლად ამომესუნთქა და მშ-
ვიდად მომველო თვალი სამყაროსთვის.
დაიმახსოვრე — მეუბნებოდა ეს უჩინარი
სული — არ არსებობს ცის ქვეშეთში სხვა,
უცხო და არათვისტომი და სხვისი ომი.
დედამინაზე კი არა, მთელს სამყაროშიც,
ყველაფერი, რაც კი მისი შექმნილია, ვისაც
ვადიდებთ, ვინც ფლობს თავის შექმნილს,
მარადისობას და ნათელს, ზესუნელსა და
ქვესუნელს, უცხო ვერავინ და ვერაფერი

იქნება, რადგან ყველაფერი — ყველა არ-
სება, ყველა მცენარე, ქვიშის უდაბნოს მა-
რცვალი თუ ანკარა წყარო — შენი ნაწილი-
ია და ამიტომ არ არსებობს სხვისი განსა-
ცდელი, სხვისი ცოდვა, სხვისი ბრძოლა.
მამინაც კი, როცა კრაზანა და ფუტყარი,
ვეფხვი, ხარი, ლომი, სპილო, მარტორქა და
ავაზა ერთმანეთს ებრძვიან და შენ განზე
ხარ გამდგარი და გულგრილად უყურებ
ამ ყველაფერს იმიტომ, რომ გემინია, საკ-
უთარ თავს უფრთხილდები, საკუთარი
სიკვდილი გაკრობს, მამინ შენ მართალი
არა ხარ!.. უბრალოდ არ არსებობ, რად-
გან ჭეშმარიტად: სიკვდილისგან გაქცევის
მცდელობა მხოლოდ გაახსოვებს სიკვ-
დილთან და საკუთარ აღსასრულთან.
სიკვდილისგან განდგომა სიკოცხლისგან
განდგომა და ასეთ დროს რასაც გაურ-
ბიხარ, სწორედ იმას უვარდები მსახვრალ
კლანჭებში, როგორც დასაღუბად განწირ-
ული და შიშისგან აცხაცახებულ თვალ-
ცრემლიანი შველი ებმება მარჯვე მონა-
დირის მიერ მოხერხებულად დაგებულ
ხაფანგში... „უნდა ადგე! ადგე და იარო!..
არ შეიძლება ნაქცევა. არც გაგიუბა შეი-
ძლება“ — როგორც მრავალი ასწლებლის
მერე იტყვიან გურგანის ზღვის იქით
შუაღამისას საყარალოდ გამოსული გურ-
ჯის ბიჭები...

თავი რამდენჯერმე ღონივრად გავა-
ქნიე, თითქოს მოვიგერიე, ავაფრინე და
დავაფრთხე ჩემს მარჯვენა მხარეზე ჩა-
მომჯდარი განგების უჩინარი და აბეზარი
სული, ბიჭებს გადავხედე და გულიანად
გავუღიმიე:

— შემოიჭრნენ არა ისა, მომთაბარეე-
ბი არიან ეგენიც, საზამთრო საძოვრებზე
გადმორეკეს ხვასტაგი, რომ თავის მიუვალ
მთებში, თოვლსა და ყიამათში არ გაეყი-
ნოთ. დარწმუნებულ ვარ, ჩვენი სქელტრა-
კახანების ხელიც ურევია მაგ ამბებში, მათ
მისცეს ჩვენს საძოვრებზე შემოსვლის უფ-
ლება და კარგ, მსუყე ლუქმასაც მიითვ-
ლიდნენ. ეგენიც ჩვენი მოდგმის ხალხია,
თურანის ენისა და მართლმორწმუნე მუს-
ლიმები — იახლ და ქითაბი. არც თურქ-
მანებივით ველურები და ვერაგები არიან,
არც აღმოსავლეთ გოგისა და მაგოგის მო-
ნოლებივით სისხლისმსმელები და ულ-
მერთოები, არც სამხრეთით სინდის ქე-
ყენების აღ-მახრავანის, შაკტრებივით
კერპთაყვანისმცემლები და არც ზინჯე-
ბივით ურჯულულები... მაგრამ კარგი, რაკი
ეგრე და ასე გერჩით გული, ეგრე იყოს!..
ვნახოთ, რომელს შეგვრჩება მხარზე თავი
და რომელი ვიხილავთ კვლავ მშობლიურ
ყიშლას.

მამინ ამაღამევე გავდივართ, მთვარის
ამაღლებამდე. ახლა კი სალლად აღვავლი-
ნოთ ბისმილაჰ-რაჰმანი-რაჰიმ... დაე,
ჩვენს ლოცვაში ყველაზე დიდი სათხოვა-
რი — დუჰა, ის იყოს, რომ ჩვენი ლოცვა
გულიდან ამოვიდეს, სული გავგვინათლოს
და ყოვლადმონყალე ალლაჰის გზაზე
დაგვაყენოს და არ დაემსგავსოს მუნაფიკ-
თა ლოცვას, როდესაც წმინდა მახადა:
„არა არს ღმერთი თინიერ ალლაჰისა და
მუჰამედია მოციქული მისი“... მხოლოდ
ჰაერს ამოცდენილი სიტყვები, ჩვენ სუდ-
ჯუდი კი სხვებისთვის დასანახი თვალთ-
მაქცობა არ იყოს.

— ახლა კი საქმე, — ვთქვი და ტიკში
ჩარჩენილი კუმისი ფიალებში ბოლომდე
ჩამოვწურე, — ჯერ, პირველ რიგში, ცოტა
ხანს თვალს მოვატყუოთ — დავიძინოთ,
დავისვენოთ და ძალები მოვიკრიბოთ. მერე
აუცილებლად შევამოწმოთ იარაღი და
საჭურველი, გავამზადოთ და კარგად ავ-
ლესოთ, ცხენები უკუღმა დაავტყუოთ კვალ-
ის ასარევად და კარგად დავაპუროთ. წინ
გრძელი გზა და რთული ლაშქრობა გვე-
ლის. იოლად თავისას არავინ არაფერს გა-
მოგვატანს, არც უიღურებმა იციან ჩვენ-
ზე ნაკლებად სატყვეარის ტრიალი და მახ-
ვილის ხმაურება და არც ყირგიზებს ეშლე-
ბათ მშვილდოსნობა და ირისის მოზიდვა.
დიდი ჭკუა, სიფრთხილე და მოხერხება
გვმართებს, რომ მარცხი არ ვჭამოთ და თავი
სამარცხინოდ არ წავაგოთ. არც ბევ-
რი ხალხის მყარ გვეჭირდება. ვინც დღეს
მეწვივით სტუმრად, ყველა ქებულნი ნუ-
ქერები და ბალათურები ხართ. თქვენზე
ნაკლები მებრძოლების ნაყვანა არ ღირს.
მრავალრიცხოვან ცხვრის ფარას ხუთი
რუხი მგელიც ადვილად გაძენძავს. სჯობს,
ცოტანი ვიყოთ და საუკეთესო, საიმედო
ხალხი გვყავდეს. ნურც დავიჭვრითები,
ბევრი ბარგი არ გვეჭირდება — დავგამძ-

იმებს. კაცმა არ იცის, წინ რა გველოდება,
იქნება ჩვენი გადარჩენა ყოვლადმონყალე
ალლაჰმა ჩვენს სიმსუბუქეს და ჩვენი ცხ-
ენების ფეხმარდობას მიანდოს... მხოლოდ
ცოტაოდენი ნედლი ხორცი, ან ვისაც მო-
გეძვევებთ, უმჯობესია, ძველი გამხმარი
ყალი და თითო პუშვი ხორბალი ან ბრინჯი
წამოიღოთ, დანარჩენ სარჩოს კი, ინშალ-
ლაჰ, გზაშიც დავიჭვრით, მოვინადირებთ ან
მოვიალაფებთ.

— გისმენთ და გემორჩილებით! —
ერთხმად შემომძახეს ბიჭებმა და ხოტბა
შემასხეს, — მართალი ხარ, ოქროს სი-
ტყვეებს ამბობ!

მერე ყველამ ერთად შევსვით ბოლო
ფიალა კუმისი, ცოტა ხანს კიდევ ვისაუ-
ბრეთ ჩვენს მომავალ ლაშქრობაზე, ვინ რას
ფიქრობდა, რას გვირჩევდა, ვის წამოყვან-
ას ამჯობინებდა. გამომშვიდობების წინ,
როგორც მოვილაპარაკეთ, საერთო ლოც-
ვა — სალლად — აღვავლინეთ, დავიშა-
ლეთ და მთვარის ამოსვლისას ყიშლის
მთავარ მოედანზე ჩვენი მეჩეთის წინ და-
ვთქვით შეხვედრა...

ძალიან ბევრს ვეცადე, მაგრამ არაფ-
ერი დამეძინა. ვცდილობდი, არაფერზე
მეფიქრა, მაგრამ არც ეგ გამომეძინა.
ავდექი, იარაღი შევამოწმე, ან რა შემომწე-
ბა უნდოდა, ერთი, პაპაჩემის ბებერი გო-
რდა ხმალი მეზადა, ერთიც, კაი ხეირიანი
ყარაგანის ხისგან გამოთლილი, გრძელ-
ტარიანი და ბუნიკმორყეული ძველი შუბი,
ერთიც გასართლული ყულფიანი ქამანდი
და ერთიც ტარგაბზარული მათრახი. ცო-
ტა ხანს მანაც ვლესე ხმალი წყალგადასა-
ხმული ნახევრად გალუულ ქვაზე, უფრო
წესის, ვიდრე საჭიროების გამო. მერე მო-
მეზრდა, ავდექი და ჩემს ცხენს, არაფშას,
ვესტუმრე თვალში. ბლომად ქერი დავუ-
ყარე და, როგორც მოვილაპარაკეთ, ნალები
უკუღმა დავტყედი. გარდა მაგისა, არ
დავიხარე, თექის რბილი ნაჭრები ამო-
ვაკარი ფლოქვებზე, რომ უხმაროდ ველო
და მისი თქარა-თქური ხმას არემარე არ
გაეყრუებინა. არაფშა უჩვეულოდ დამყო-
ლად იქცეოდა — არც საკებნად ინედა,
არც ტლინკებს ყრიდა, არც ყალყზე დგე-
ბოდა და არც ავად თვალეზარობული
გამაყრუებლად ჭიხვინებდა. წყნარად და
თვინიერად იდგა და მორჩილად მიშვერდა
ფლოქვებს. თითქოს ეს საოცარი სიზმარი,
სადაც წყალქვეშა სამყაროში ჩაბატი
ბედებში დამასკეპური იაგანი ღამაცა და
სასიკვდილოდ გამიმეტა, ჩემთან ერთად
თავდაც ნახა და ახლა სინდისი ქენჯნისო.

ყველაფერს რომ მოვრჩი, არაფშას უნ-
აგირი დავადგი, შევკაბე, შევიარადლი,
დახვეული ქამანდი და შუბი არაფშას უნ-
აგირზე დავაკარი, მცირე საგზალი ავიღე,
რაც გზაში დამჭირებოდა, ჩემი ტარგაბ-
ზარული მათრახი ქამარში გავიყარე, თუმ-
ცა რამდენჯერაც შემეხებოდა, ტანში
უსიამოვნო ჟრუნტელი მივიღე. ეტყო-
ბა, იმ ნაბიჭვარმა ნურ მუჰამად ბინმა იმ
მათრახის გადატყვევით არა მარტო თვა-
ლი გამომთხარა და სახე დამიმახინჯა, არ-
ამედ ჩემს ცხოვრებაშიც სამუდამოდ შეცე-
ალა რალაცები.

ჩემი ცხენი არაფშა თავლიდან ხელით
გამოვიყვანე. მოვბრუნდი, ჩემს სახლს და
კარ-მიდამოს დავემშვიდობე, ჩემად გუნ-
ებაში წარმოვთქვი — „ბისმილაჰ“... და
ცხენზე არც შევემჯდარე, ასე ფეხით, აღ-
ვირით გამოვუჯავრდი არაფშას ყიშლალის
მოედანზე.

მეჩეთის წინ აჩრდილივით უხმაუროდ
დაინყეს მოგროვება ჩემი ყიშლალის ჯი-
ტიკებმა. მანსური უკვე იქ დამხვდა ადგ-
ილზე. ამაყად ამხედრებულიყო თავის ტა-
ნმალალ უზბეკურ ცხვირკეხიან ცხენზე და
მალლიდან დამყურებდა არაფშას წინ დინ-
ჯად ფეხით მიმავალს.

შეკრებილ მებრძოლებს მიუახლოვდი
და საერთო სალაში ვთქვი. ცა აურაცხე-
ლი ვარსკვლავებით იყო მოჭრილი, რომ-
ლებიც ისე ციმციმებდნენ, თითქოს ისინ-
იც ერთმანეთს ეჯიბრებინან და ემეტოქე-
ბიანო. ვარსკვლავებს შორის უკვე კარგა
მალაზე ნასული სავსე მთვარე იდგა. ასე-
ვე ნელა, უხმაუროდ, ერთმანეთის მიყ-
ოლებით დავიძინეთ. ასეთ საქმეზე გასუ-
ლებისათვის ყოველთვის აჯობებდა, თუ
არავის ეცოდინებოდა ჩვენი განზრახვა და
გეზი. მეც აუჩქარებლად ავმხედრდი ცხ-
ენზე და არაფშაც კვალში ჩაუდგა ოდნავ
დანიაურებულ მხედრებს.



გავშვობა

ხან ჩაქრობა, ხან შობა,
ხან თარეში, ხან ძილი და —
ბრწყინავს ჩემი ბავშვობა
უსასრულო მანძილიდან.

დრო სიცოცხლის ზოლებს შლის,
შუქს იკონებს მზისას ველი,
და კრთის მხარე, რომელშიც
აღარ დარჩა მისასვლელი.

შესაძლებელს ნამდვილთან
უბოლოო ჭიდილი აქვს,
ზენიტთა და ნადირთა
მოჩანს ყალბი იდილია.

უსმენს, ვინც კი გზად არი,
ჟამის გულში შესულ შრიალს,
არ იკითხავ: „სად არი?“ —
რადგან იცი: შენს სულშია.

ვინც დაკარგა ედემი,
ვინ აჩუქებს მას კვლავ ედემს?
გზის მტვერივით ედები
უცნობ თანავარსკვლავედებს.

დასალიერს მიაწყდენ,
ფრთა ვისთვისაც გიქნევი,
ხმას ვერც მერე მიაწვდენ,
თუმც სულ ახლოს იქნებიან.

ხან კვდომა და ხან შობა,
სული, უცნობ გზახვდომილი,
ბრწყინავს ჩემი ბავშვობა
ტურფა ირმის ნახტომივით.

მზა ჩამოვიდა ციდან

სულმა ნისლები ისია,
ვერრა იპოვა ცხადი,
კითხვები მარადისია,
პასუხნი — ცვალებადი.

ირგვლივ სიბნელის ტვერია,
ღამე ქცეულა ჭოტად,
ამბის ნამლები ბევრია,
ამბის მომტანი ცოტა.

რომელმა ძაფმა შეკონოს
მოჭრილ ყვავილთა მწკრივი?
ვისაც რა უნდა ეგონოს,
განცვიფრებისგან ვკივი.

შუქთა შორეულ წყებებით
ბევრი უსტარი ვნახე,
სავსეა საოცრებებით
ყველა ნივთი და სახე.

თუმც ოკეანეს შერთვისხარ —
ზღვა ნაკადებით ავსილს,
მილიარდებში ერთი ხარ,
არსად არავის მსგავსი.

ცამ უთვალავ წელს ითოვა,
მზე ჩამოვიდა ციდან,
ათასი შემთხვევითობა
ერთ უცილობელს ქმნიდა.

კრთიან ეულნი მაღლართა,
დრომ კი, ნატიფად სხმული,
წარმოუდგენლად დახლართა
ყოფიერების გული.

ჩანს სევდის გამომნასკვავი,
შუქის ფერ-ბნელი სვეტი,
ვიდრე ცაშია ვარსკვლავი —
იმაზე ბევრად მეტი...

შეფარვა

თუ მზეს შეუკრთა ჯილა —
გამოიცვლება ფერი ტყის,
ორი სხვადასხვა ვილაც
ერთს და იმავს ვერ იტყვის.

ვინაც რა უნდა ჩათქვას,
ვერ ცვლის სიმართლის ხასიათს,
სხვათა ერთნაირ ნათქვამს
სხვადასხვაგვარი ფასი აქვს.

ო, მოყვარულნო ზავის —
ნუ მოხვალთ შესადავებლად,
აზრი ყოველთვის თავის
წარმომტემელს ესადარება.

შალვა საბაშვილი

კოეზია

ჩემი სული ჰყვავის და
მიცქერს უცხო ხატება,
პოეზია თავისთავს
ბევრად აღემატება.
თვალი ურიცხვ ნობათს მზერს,
ნახე! ჩანვდი! შეიცან!
პოეზია გრძნობადზე
მრავალჯერ მეტს შეიცავს.
შეგრძნებათა მთოველად
მწყობრი ხმები მოაქვს ცელს,
პოეზია ყოველ არსს
თავის წრეში მოაქცევს.

სოტა ცალკეულს

ხამს დანანევრდე, რაგინდ იყო შემცველი ყოვლის,
ახლოსთან მოდი, რაც არ უნდა განათოს შორმა,
საგანთა ფორმას იმეორებს მარტოდენ თოვლი —
მას საკუთარი არა აქვს ფორმა.

ასე სიცოცხლევ — მატერია, სხივებით წნული
აურაცხელი გარსითაა შესაფუთარი,
ცალკეულ სულებს იმეორებს მთლიანი სული —
ფორმა არც იმას აქვს საკუთარი.

მზაპურსი

ჰფერავს მთავარ მარჯანს
ფერი უცნობ მთვარის,
არის, რადგან არ ჩანს,
არ ჩანს, რადგან არის.

უმზერ, როგორც დროშას,
თვის არსს ის არ დათმობს,
გათობს, რადგან გთოშავს,
გთოშავს, რადგან გათობს.

გრძნობით უღრმეს რიდის
გულში შუქად ჩადგეს,
თან გდევს, რადგან მიდის,
მიდის, რადგან თან გდევს.

შენს გულს ფიქრად ართავს
მეფე ცის თუ რიცხვის,
ისეთ სახით გმართავს,
თვითონ წინარ გიძღვის.

გასცქერს ყოფის შარას,
აღძრავს გრძნობად ქარ-თოვლს,
მკვეთრი ფორმა არ აქვს,
არსი მოსავს მარტო.

მასში მარად ჩარჩა
მზებურუსი დარის,

არის, რადგან არ ჩანს,
არ ჩანს, რადგან არის.

მთავარი მწვერვალი

სულს საზრისი სჭირდება,
იგი მღერის უცვლელ ოდებს,
ნურვის გაუკვირდება,
მთავარ მწვერვალს ვუცქეროდე.

იყო ხედთა თოვანი,
დრომ ზღვა ტვირთი გადაზიდა,
მაგრამ მნიშვნელოვანი
ერთი იყო ათასიდან.

მას, რაც მართლაც დიდია,
განძიც ამოუცვლელი აქვს,
წარმავალნი მიდიან,
წარუვალი უცვლელია.

ვარ ზეცასთან მოვალე —
დავრჩე ფიქრგაუმრუდები,
მზერას ყოველს მოვავლებ,
მაგრამ მთავარს ვუბრუნდები.

არ ღირს რადმე ჩაგდება
მისი, რაც ცამ არ ადიდა,
სული მიმარაგდება
მარტოდენ მარადიდან.

მხოლოდ კრთოდეს შუქები

მთავარ ამბის მაცქერლებს არაფერი სამხილი აქვთ,
მოჩანს ხიდი, რომელზეც მოძრაობა ცალმხრივია.

ვერვინ მიხვდეს —
ვერ იქცეს უმთავრესის გამომრჩევად:
რაა იქით გადასვლა: გაქრობა თუ გამოჩენა.

ვერც გაიგებ, ვერც ვინმეს მიაბარებ მას აწყვისთვის —
რა დაგხვდება — ბოლო თუ ჭეშმარიტი დასაწყისი.

სული უცხოდ შეკრთება, ხორციც სხვაფრად აიქნება,
ან აქამდე რა იყო, ან მას მერე რა იქნება.

რასლა ჰპოვებ —
საშუბეს, სახმლოს, საფარ-სასატყვერეს?
ყველა ცხრილი განიბნეს, ყველა წესი გაცამტვერდეს.

დაენრიტოს ხმები სტირის, გაუთავდეს ვადა ებანს,
დაწყდეს ხსოვნის თოკი და ვედარასდროს გადაეხას.

მზერამ ხელი აიღოს შორ წერტილთა ძიებაზე,
იყოს მომჯადოები განაჩენის სიერთაზე.

განიტვირთო უეცრად ყოველგვარი ვალებისგან,
მხოლოდ კრთოდეს შუქები შორი იდუმალებისა.

ჩამოღება მალე

გაცოცხლება ფერთა: წინ სხვა სავალი გვიძევს, ბუნებასთან ერთად ჩემი სულიც იღვიძებს.

ნელა-ნელა ცხება, შუქი ელავს მზიანი, და შუქების წყება უღვთოდ ლამაზი არი.

სევდა კრთოდა ცხარე, გული დიდხანს ეწვალა, დღეს კი მთელი მხარე ერთმა დილამ შეცვალა.

ცამ გაშალა აფრა, უცნაურად გრძნეული, ამაღლეებს სხვაფერად წამი სიზმრისეული.

მალლით დავცქერ სიონს — სხივით გარემოცულა, საოცარი სიო მახათადან მოცურავს.

უცებ შევიცვალე, დღეთა მადარებელი, ჩამოღება მალე მარტის მატარებელი.

სიტყვა და სახე

ჟამის მოღურჯო ისარს სრულად ვმორჩილებთ ლამის, სხვაა ლექსები დღისა, სხვაა ლექსები ლამის.

ვესაუბრები თბილისს, წინ ფიქრი ამომზევედა, სხვა არის სევდა დღის, სხვაა საღამოს სევდა.

მივალთ ახალის ცნობად უცნობი გარდასახვით, სხვაა ლოდინით ტკობა, სხვა არის ტკობა ნახვით.

ფიქრო, ძიების ტოლო, ხან მოვარდები ზევადა, სხვაა არქონა, ხოლო დაკარგვა უფრო სხვაა.

აზრი ტრიალებს მალა — მისწვდეს ბუნების წყობას, სხვაა ცხოვრებით დაღლა, სხვაა დაღლილად შობა.

სუფევს ურიცხვი ჯიში, გრადაციათა ნუსხა, სხვაა უბრალოდ შიში და შიშის შიში — სულ სხვა.

ხან ეგებები ცისკრებს, ხან დაიღვრები ნისლად, სხვაა გაქცევა სხვისკენ, სხვაა გაქცევა სხვისგან.

არსი ვიპოვოთ სითლა — არის ბილიკთა ტვერი, ერთი აღნიშნავს სიტყვა, მაგრამ სახე აქვს ბევრი.

ფიქრი ფიქრს გააქიდა

სული მრავალჯერ ევნება, მანდაც, აქაც და იქაც, ფიქრი ფიქრს აედევნება, როგორც ციკანი ციკანს.

ისარი, ცაშიც ავარდეს, ძირს ენარცხება ბოლოს, შორს ვერაა გაინავარდეს, ჟამს ვერვინ მიეტოლოს.

გასაოცარმა ზმანებამ სახე ვერ ჰპოვოს მყარი, შორეთში მიექანება მზე, წამით ნაჩუქარი.

რას უნდა მისადაგოს, რაც შუქით გადაბმულა, დრომ სად მოსრას და სად აგოს, სად — მივიწყოს სრულად?

არავის ელის დიდება, ჩქერი კლდით შეაგუბეს, ფიქრი ფიქრს გაეკიდება, როგორც ღრუბელი ღრუბელს.

ღამის დადგომა

ღამეს თანდათან ეფინება მუქი იერი, მინიერისკენ წაინაცვლებს სული ციერი. ქარი, რომელიც ბობოქრობდა მთელი დღის თვალწინ, რომც არ გამძაფრდეს, გამოჩნდება უფრო ძლიერი. გამოდის გარეთ, რაც კი სადმე შიში ეფინა, ივსება ძრწოლით სანახები სულისმიერი, დაგეუფლება საფუძველის გამოცლის გრძნობა და ველარ დარჩე უშფოთველი და ბედნიერი. შევიწროვდება, რაც მშობლიურს გვიქმნის გარემოს, იმძლავრებს ფიქრი — შეუცნობი და მიღმიერი, მუქი ღრუბლების მთაგრეხილი წაგვიშლის ზეცას, შეიზღუდება ხედვის მთელი თვალსაწიერი, მზის უნაპირო მბრძანებლობით შორს განდევნილი ბოროტი ძალა მოულოდნელს იწყებს იერიშს, ვინც მეფე იყო, ახლა სადღაც მიიჭურნება, მტარვალად იქცა, დღისით ჩანდა რაც ღმობიერი. ამოიშალა უცხო არსი ურჩხულის მსგავსად, შემოესია ნატიფ ველებს რალაც ტყიერი, რაც ახლა ხდება, უნუგემო არის იმგვარად, უკვე აღწერა ვერ უშველის მას სიტყვიერი...



ბექა ქურხული

**თვალდაკარგული ყივჩაღის
ჩანაწერები**

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

გაგრძელება

ყიშლიდანაც ფრთხილად, უჩუმრად და ნაბიჯით გავედით და ყივჩაღეთის გაშლილ, უკიდევანო ტრამალებზე გავიშალეთ. აქ ცოტა უფრო მეტი თავისუფლების ნება მივეცით საკუთარ თავს. ზოგი ერთმანეთს გამოეჯიბრა, ზოგმა მარტომ თავისთვის გააჭენა ცხენი გასახურებლად. თუმცა ესეც ჩუმად ხდებოდა ჩვეული ყივჩაღის, გამყინავი კვილის, სტვენისა და შეძახილების გარეშე. მანსური ლამის ზეცას აპყურებდა და ვარსკვლავების მიხედვით ცდილობდა გზის სწორად გაგნებას. მე ლანდითი უხმაუროდ მივყვებოდი ჩემს თანამებრძოლებს და მომავალ ბრძოლაზე ვფიქრობდი, რა როგორ დამეგემა, რა ხერხი და ილათი სჯობდა გამარჯვების მისაღწევად და ალაფის მოსაპოვებლად თანაც ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაღვრილიყო ჩვენიც და იმათიც, რადგან გარდა იმისა, რომ ისინიც მართლმორწმუნე მუსლიმები იყვნენ, დიდი მსხვერპლი და ზედმეტი სისხლისღვრა მათაც გაამწარებდა, რასაც ახალი მითქმა-მოთქმა, მტრობა და შურისძიება მოჰყვებოდა.

ჩვენს მშობლიურ ყივჩაღეთის ტრიალ ველებზე რაც გამოვედით, ზეცა თითქოს კიდევ უფრო გაიშალა, ვარსკვლავებიც სულ გადაირივნენ — ბლუჯა-ბლუჯა ისროდნენ ნაპერწკლებს მათი სხივებით ამოჭედილი ციდან და უცნაურად მოზრიალე უკაცრიელ ტრამალს თითქოს მათი ციმციმის ხმაც ავსებდა. ამ ხმას ხერხივით ჭრდა ჭრიჭინების გამაყრუებელი ჭრიჭინი. დროდადრო დამფრთხალი ნადირი თუ გადაიშლიდნენ, რომელმაც ჩვენი — ყველაზე სასტიკი, ვერაგი და დაუნდობელი მტაცებელი მხეცის — გეში და სუნი იგრძნო.

ფიქრობდი, რა როგორ სჯობდა, რა მოუხდებოდა ჩვენს საქმეს და როგორ უნდა მოვქცეულიყავით. თუ კარგად ვივლიდით, გზაში რომც დაგვესვენა და ცხენებიც არ დაგვექანცა, ხვალ დაღამებისას უკვე მივალწვდით უილურებისა და ყირგიზ-ყაისაყების კუმანამდე. ცხენებს ჩემს შერჩენილ ცალი თვალის ჩინზე უფრო მეტად უნდა გავფრთხილებოდი, მათზე იყო მთელი ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების ბედ-ილბალი დამოკიდებული, მათი გადაღლა არაფრით შეიძლებოდა, რადგან საქმე მათ ბანაკამდე მისვლა და თავდასხმა კი არა, იქიდან გამობრუნება და საჩვენომდე მშვიდობიანად გამოღწევა იყო. რა თქმა უნდა, მათ სადარაჯო ხორაგები ექნებოდა დაყენებული და მათი მზირების მოშობაც მოგვიწევს. ამ დროს უსიკვდილოდ არაფერი გამოვა და ეს სიკვდილი მათთვის ნისლიან ამინდში შევარდენის თავდასხმასავით უგრძნეული და სწრაფი უნდა იყოს. ისიც უეჭველი იყო, რომ ჩვენი გამოჩენა და შეტევა მათთვის სრულიად მოულოდნელი უნდა აღმოჩნდეს. ბრძოლისას რაინდობისა და ერთმანეთის გამოწვევის დრო არ არის, როდესაც მკლავმავარი და მამაცი თურგაუდები და ბათირები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში, ან საჭიდაოდ იწვევენ. ომი და ბრძოლა ასპარეზი არ არის და არც კეთილშობილთა სასწავლებელი მედრესე. ომი მხოლოდ მოხუცი და ტკბილი ბებიების ზღაპრებშია კეთილშობილი თავდადებული გმირების სამკვიდრო და სარბიელი. სინამდვილე-

ში კი ბრძოლასა და ომს ერთი კანონი აქვს — უნდა გაიმარჯვო!.. უნდა გაიმარჯვო ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით და მერე გამარჯვებულნიც შენა ხარ, მართალიცა და კეთილშობილიც, დამარცხებულს კი თავისი უკეთურობის, ვერაგობისა და ბოროტების გამო სწორედ ის მიეზლო, რასაც იმსახურებდა — სიკვდილი!.. კიდევ უფრო უარესი სამარცხვინო ტყვეობა და დამცირებაა, ვიდრე ყურყვითელა მანანალა ტურასავით არ ჩაძაღვდები. სიკეთე სწორედ ამიტომაც ამარცხებს ყოველთვის ბოროტებას — ვინც იმარჯვებს, ის აღიჭურვება სიმართლითა და სიკეთით, ხოლო დამარცხებული კი წამსვე სიცრუისა და ბოროტების განსახიერებად გადაიქცევა. ხოლო ყოვლადმონყალე და სამართლიან ალლაჰს კი უკეთ ეცოდინება უკანასკნელი და საზარელი განკითხვის ჟამს, ვის რა ადგილს მიუჩენს საიქიო სამყოფელში.

ინათა. აღმოსავლეთიდან ნელ-ნელა ამოცურდა უზარმაზარი, ხასხასა, წითელი და დალოცვილი მზე. უკვე ერთმანეთსაც კარგად ვარჩევდით. ღამე თითქმის მთლიანად აიკრიფა და თან მიიყოლებდა გაბაცებულ მთვარესა და ვარსკვლავებს. შემტრედისფერებული ცა სხივიანად რიყრაყებდა, პირველად რომ დავბანაკდით დასასვენებლად. ცხენებს უნაგირები მოვხადეთ, ალვირი წამოვყარეთ, დავბორკეთ და საბალახოდ გავუშვეთ. ჩვენც ანთებულ ცეცხლს შემოვუსხედით გარშემო, თითო ფიალა ბუზა, კუმისი თუ აირანი ჩამოვატარეთ, ვისაც რა გვექონდა წამოღებული და მცირედით წავიხემსეთ. მართალია, კეთილშობილი წიგნი და ჩვენი რჯული გვიკრძალავს დამათრობელ სასმელს, მაგრამ როდესაც ხმაღს იქნევ და სიკვდილს თვალის ამოღამებულ ღრმულეებში ჩასცქერი, საიდანაც მაინც ყველაფერს ხედავს, როდესაც მონამეობრივ აღსასრულს — შახადას — ელტვი, მაშინ ჰარამი აღარ უნდა იყოს. თუ არადა, ტკბილეულზე, ხალვასა და შარბათზე გაზრდილი კაცის შემართული მახვილი, ნასროლი შუბი და ნატყორცნი ისარი, აბა, ვის უნახავს ადამ და ევადან მოყოლებული ამ მზისქვეშეთში?..

მომავალი ბრძოლისა და თავდასხმის ილათზე და მოქმედებაზე უნდა მეფიქრა, მე კი თავი ათასი სისულელით მქონდა გამოტენილი. აი, როგორც უახლოეს დროში ჩვენს საძოვრებზე შემოსულ გადამთიელებთან მომიწევდა ხელჩართული ომი, ზუსტად ასევე მიწვედა ჩემს აბურდულ და არეულ აზრებთან ბრძოლა, რომ როგორმე მომეგერიებინა, განმედეგა და მხოლოდ იმაზელა ეზრუნა ჩემს აზრსა და გონებას, რაც ჭკმარითად აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო. მამაჩემის, ჯემალ ედ დინის, ნათელ სულს ვფიცავარ, დავილაღე კიდევაც ამ ბრძოლითა და საკუთარ თავთან ჭიდილით, მაგრამ ამ შემოდგომის კრაზანებევით აბეზარ და ნესტრიან უქმ ფიქრებს ვერაფრით დავეღწიე. ბოლოს ამ ამაო ფიქრით გაბეზრებული ისევ არაყსა და ბუზას მივეძაღე და ცოტა მიშველა — დავწყნარდი, გულზეც მომეშვა და გონებაც დამიმშვიდა. უფრო საღად და ნათლად დავიწყე ფიქრი.

დასასრული
დასაწყისი N272

3

პაპაქი იმდენად კარგად ცნობდა ამ ოღორღორღოვან, თვალდახუჭული შედლებად გავლას. ეზოებიდან გადმოშვერილ ნაყოფს ხარბად უმზერდა, მერე გვარიანად მორყეულ ჭიშკართან გაჩერდა, ოდნავ შეღებავდა რომ ჭრილობა. არც ლობეს ეწერა დიდი დღე პაპეკივით, დარაბების ჭრიალი მხოლოდ იმ მიზეზით არ გაისმოდა, ოდნავი ნიავიც რომ არ იძვროდა, თორემ ჩამოვარდნას იყო. იქ დიდხანს არ შეჩერებულა, მომდევნო ჭიშკარს მიადგა და დააკაკუნა. კარი ლამაზმა ქალმა გააღო. ნატიფ შუბლს ნაბლისფერი კულულები უფარავდა. უთუოდ კარლოს ცოლი იქნება, გაიფიქრა პაპეკმა. როცა თმები გადაიყარა, კიდევ უფრო საოცარი თვალები შენიშნა, ძვირფასი ქვებიჯით რომ უბრწყინავდა და მის შეუცნობელ სულზე მეტყველებდა. კარლოს ცოლი დედამინაზე სილამაზის სახელით დადიოდა, თუმცა ღარიბულად ემოსა და ხელში თოთო ბავშვი ეკავა. დანარჩენი ბავშვები სამზარეულოში ტრიალებდნენ. ზეცის იმედად თუ აჩენდნენ შვილებს და ძლივდღივობით გაჰქონდათ თავი. ცოტაოდენი კარტოფილი და ლობიო თუ გააჩნდათ, ალბათ იმ დღეს მშვიდად იყვნენ. ცოტ-ცოტა ყველასი ემართათ, ზოგი მეზობელი მომდურეს კიდევ, იმდენ ხანს უგვიანებდნენ დაბრუნებას. პაპეკმა კარლოს დედ-მამა რომ მოიკითხა, დიდი ხანია, გარდაიცვალნენო, უპასუხა ქალმა, თან წამდაუნუმ სამზარეულოსკენ იყურებოდა. ცეცხლზე წვნიანს ხარშავდა და რომ არ გადმოსულიყო, მერე ფერწასული ეცა გაზქურას. ბავშვები დედის საქმიანობას ისე მოუთმენლად აკვირდებოდნენ, თითქოს თვითონაც ჯაფა ედგათ და ზედმინევი ირჯებოდნენ. კანფეტი ნონით უნდა მეყიდა, გაიფიქრა პაპეკმა, ორიოდ ნუგას, ჯიბეში რომ ედო, ყველას როგორ ამყოფინებდა.

— კარლო სად არის? — ჰკითხა პაპეკმა, როცა დიასახლისმა შვილებს წვნიანი ჩამოუსხა და, როგორც იქნა, მისთვის მოიცალა.

— სამსახურში! — უპასუხა ქალმა, — ზღურბლზე რატომ დგახართ და რატომ არ შემოხვალთ? წვნიანს თქვენც დაგისხამდით!

— სად მუშაობს? — უარის ნიშნად თავი გადაიქნია პაპეკმა.

— გზის ასაქცევთან, მაზუთის საწყობში. ადრე სასადილოში იდგა მზარეულად, მშვენიერი კერძები ჰქონდათ და არც ძვირი ჯდებოდა, მაგრამ მაინც მიახუფეს!

ეს სიტყვები ისეთი საყვედურით გაისმა, იგრძნობდი, რაოდენ შეხებოდა მის ოჯახს მატერიალური თვალსაზრისით. როცა საუბრობდა, თვალები თავლის ფიჭვივით უფლავდა და ამ მშვენიერი პირისახის მფლობელი ბედს უდრტივნივლად ემორჩილებოდა. მერე პაპეკი კვლავ შეიპატიჟა.

— მოგვიანებით! ცოტას გავივლი, ასე მირჩევენია, კარგა ხანია, აქეთ არ ვყოფილვარ!

მერე წვიმა წამოვიდა, ბალახები აითქვიფა და ტალახის გუბები გოლიათებისთვის განკუთვნილ ვეება მათლაფებში ჩამოსხმულ წვნიანს დაემსგავსა. წვიმამ მალე გადაიღო. ხმები ისე მიწყდა, თითქოს მშვიდ ხალხს მოეყაროს თავი. პაპეკმა გზის ასაქცევთან გენერატორის გაბმული გუფუნის გაიგონა. ჭიანი კბილბიჯით ჩამწკრივებულ საწყობთან ვეება დგუშის მაგვარი მოწყობილობა დაემონტაჟებინათ. ირგვლივ შავი ნაქცევები ლაპლაპებდა. ზოგან უკვე ამშრალიც ჩანდა, მაგრამ ლაქები მაინც დარჩენილიყო. განზე გაშვერილ ძელთან მუშის ქანდაკება იდგა. ძელის მეორე მხარე საწყობის კედელს ებჯინებოდა. სათავსოები ხარახურით ექნებოდათ გამოტენილი. ძელთან ქალი იდგა, ქმარს თუ ელოდა, სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუმრად რომ წასულიყვნენ. საზეიმო განწყობას ვერ მალავდა და მხიარულ მელოდიას ღიღინებდა, ბგერები პაპეკსაც ესმოდა. რამდენს უჭირს ქვეყანაზე და მაინც რა ბედნიერები არიან, გაიფიქრა მან. მაზუთის საწყობთან შესაძლოა ლამაზიც მოგჩვენებოდა, მაგრამ გონებაში კარლოს ცოლს რომ შეადარა, უამრავი ნაკლი აღმოუჩინა.

მომცრო ჯიხურში დარაჯი მოკალათებულიყო. პაპეკის დანახვაზე საფერფლე-

ში პაპიროსი მარჯვედ დაასრისა, გეგონება, გველს უჩერქვავსო თავს, ფეხზე წამოდგა და კოპებზეკრული გამოვიდა გარეთ. აი, რისთვის წვალობდა ამდენი ხანი; აი, როდის ხდებოდა მისი საქმიანობა ყველაზე საპასუხისმგებლო. თანაც ისეთ წვრილ ულვაშს და მეჩხერ წვერს ატარებდა, მოპარსვა ჯობდა. შეშლილი თვალებით სანგრადან ამოსულ პარტიზანს ჰგავდა, დაბობვებს ძლივს რომ გადაურჩა. სტუმარს ისე ყურადღებით გადახედა, ამ მზერას კოდური სახელწოდებაც ექნებოდა. მერე დონიჯი შემოირტყა და პაპეკს ვიზიტის მიზეზი გამოჰკითხა.

— კარლოს ნახვა მინდა! — გულუბრყვილოდ თქვა პაპეკმა.

დარაჯს დიდი პასუხისმგებლობით გამოხატული და საყოველთაობით აღსავსე გამოხედვა, თითქოს კრიზისით გამოწვეულ ზარალსაც კი უთანხმებენო, ხოლო მისი ჩარევის გარეშე რესპუბლიკაში არცერ-

ჰქონდა, ნოტარიუსს ხლებოდნენ და ოქმი შეედგინათ, მერე კი კარლოსთვის შეეჩერებინა ხელში, მაგრამ ამის გამხელას არ ჩქარობდა.

— მე ნათლიაშენი ვარ!

— ძია პაპეკი? — უცებ გამოცოცხლდა კარლო, ეტყობა, მასზე ბევრი ჰქონდა გაგონილი.

— სწორედაც!

— მამაჩემი დიდად გაფასებდათ, ასე ამბობდა, რაც პაპეკი ნავიდა, საძმაცაცოში ეულად ვარო!

— ეგრე იქნებოდა! — ჩაფიქრდა პაპეკი, — შენთან ნავიდეო, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ!

კარლო საზეიმო განწყობაზე სულაც არ იყო, რადგან დილით ისე მოუწვევდა ჩარხთან დაყუდება და მონოტონურ ხმაურში თავის გამაბრუებელი ტვივილის დათმენა, ამ ბოლო ხანებში რომ დასჩემდა, პაპეკმა კი განაგრძო:

დიმიტრი ნიკლაური

მოუსვენარი პაპეკი



თი მნიშვნელოვანი ფინანსური ოპერაცია არ იგეგმებოდა, უცებ შეეცვალა. რახან ესოდენ უმნიშვნელო კაცი უხსენეს, მომსვლელის მიმართ პატივისცემა დაკარგა, წინასწარ რომ ცოდნოდა ამის შესახებ, ფეხზე არც კი წამოდგებოდა, მაგრამ რახან წამოდგა, ფეხზევე დარჩა, რათა ეს ქმედება მისი მიზეზით არ ჰგონებოდა გამოწვეული.

— გამოვლენ სადაცაა! — ამოღერდა რიხით, უბრალო ვინმე სულაც არ გეგონოთ, რახან თქვენთან გასაუბრება არ ვითაკილე და თავი გაგიყადრეთო, — აქ ნუ გაფიქრდებით, იქით გადავიწიოთ! — ხმას აუწვინა დარაჯმა და მიუთითა სხვა ადგილზე, არაფრით გამორჩეულზე ამ ადგილიდან.

— რა უცებ ფოტქედები, კრაზანის სხენების დღეს ხომ არ გაჩნდი?! — აგლებით მიმართა პაპეკმა.

— რაო? — აღშფოთდა დარაჯი, მაგრამ პაპეკს აღარაფერი უპასუხია, არ სურდა დიდი საქმის პატარა დავიდარაბით წამოწყება, იქაურობას ისე განერიდა, თითქოს ზრძანება მიეღოს და ხავერდის სარჩულით სათვალის გაპრიალებას შეუდგა. მალე საყვირის ხმა გაისმა და მუშები გარეთ გამოლაგდნენ. სანამ ყველაფერი მიყურებოდა, ჯერ გვარიანად უნდა ეხმაურათ. პაპეკმა ნაცნობი სახე უცებ ამოიცნო.

— გამარჯობა, კარლო! — გამოეცხაურა ნათლულს.

— მე მგონი, სხვას მამგვანებთ! — უპასუხა მან.

— შეუძლებელია, შემშლოდა, კოპიო მამაშენი ხარ! ხომ კარლო გქვია?

— არ მეცნობოთ! — თქვა მან ბორძიკით და განზე გადაგა, თუმცა შორსაც არ წასულა, ქანდაკებას მიეყრდნო და პირში პაპიროსი გაიჩარა. ქანდაკებაც ამას გამოსახავდა — მშრომელი კაცი პაპიროსით, ფართხუნა შარვლით თავს რომ იწონებდა. მათ შორის კაფანდარა ქმართან ხელკავაყრილმა ქალმა ჩაიარა, თვალი რომ გააყოლა პაპეკმა, რომელსაც ერთი სული

— დირექცია ჯერაც აქ იქნება! უთხარი, რომ ნათესავი ჩამოგივიდა და ხვალისთვის გაენთავისუფლე ერთი დღით. განცხადება დაუნერე, აუცილებელი საქმე მაქვსო!

კარლო მხრების აჩეჩვით შეიკარგა შენობაში. გარეთ დარჩენილმა პაპეკმა თვის ზვინებს გახედა, ყარალთა სადგომებს რომ ჰგავდა, აღქაჯთა აჩრდილთა თავშესაფარს. დასახლებამ ბევრი რამ დაენგრიათ, ბევრი ახალი ნაგებობაც აეგოთ. დასახლება ცვლილებებს საჭიროებდა.

4

— სად გაქვთ აქ კარგი მალაზია? — მიმართა გარეთ გამოსულ კარლოს, — კანფეტებს ვიყიდო.

— გზაზე შეგვხვდება. ისე, საჭირო არ არის, მდიდრულ ცხოვრებას არ ვაჩვენებ ბავშვებს, შემდგომში რომ არ გაუჭირდეთ!

— სწორადაც იქცევი! — ამოხვნეშა პაპეკმა.

მალაზიიდან სახლი უკვე არც ისე შორს იყო. პაპეკის მოზრდილი ნაკვეთი კარლოს მომცრო ნაკვეთს ესაზღვრებოდა. შინ შესვლისას პაპეკმა ბავშვებს კანფეტები ჩამოურთგა.

— რა სათნო და კეთილი ბავშვები არიან, — მხიარულად აღნიშნა მან, — კანფეტებს რომ ხსნიან, ქალაქებს მე მიწვდინან, ეს თქვენ შეჭამეთო, შოკოლადის დათმობა კი უჭირთ!

თავიდანვე განუცხადა, ჩემი საძინებლის თაობაზე არ იზრუნოთ, შინ ვაპირებ დარჩენასო. მეზობელი ნაკვეთის შუაგულში კრამიტებიანი ქოხი მოჩანდა, სადაც პაპეკმა ბავშვობა გაატარა. ღამის გასათევად როგორღაც ივარგებდა. გაპარტახებული ნაგებობა ბუტაფორიის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს-ესა სვედიანი ფილმი გადაეცლით და დეკორაცია ხელუხლებლად დატოვდეს. მერე სუფრა გაიშალა და პაპეკმა ძველი ამბები გაიხსენა. გვიანობამდე იმხიარულეს, ბოლოს პაპეკმა თქვა,

დილით გადმოვალ, ახლა კი ჩემი წასვლის დროაო. რომ დარწმუნდნენ, მოხუცი თავისას არ დაიშლიდა, სახლამდე გადავიდა. თურმე ამასობაში კარლოს ცოლს იატაკი გამოეგავა და ლოგინი მოეწესრიგებინა. მხოლოდ ფარდები არ ეკიდა. გაკაშკაშებულ რიყრაჟზე სინათლის ათინათები დაადგებოდა, სხვენში კი თავგები იფხაკუნებდნენ. პაპეკს მოუწვევდა, დარჩენილი დღეები მათთვის ესმინა.

როცა გათენდა, პაპეკი და კარლო მეძველმანების ქუჩას გაუყვნენ. სადალაქოსაც ჩაუარეს, საიდანაც ჭკუამახვილი ცნობისმოყვარეობით იყურებოდა და ბრიყვი დალაქიც მოეხმო. კარლოს თავი დაუჭერს და ისიც მიესალმა, მაგრამ არ გაჩერებულან. მხატვარი და მოცეკვავე გოგონები აღარსად ჩანდნენ. დაბის ამ ნაწილში სამკერვალოები იყო გახსნილი, დახლებზე დაფები დაეხვავებინათ და საკერავი მანქანების ზუსტად გაისმოდა. ქურის გადასწვრივ სანოტარო კანტორა გამოჩნდა და შიგნით შევიდნენ. შენობიდან გამოსვლისას კარლოს ხელში საქმიანი ქალაქდები ეჭირა, ხოლო თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს ნახევარი სამეფო უანდერძესო.

— მამ, შენი მინა და სახლი უკვე მე მეკუთვნის?

— ჰო, ასეა, შეგიძლია ლობეც მოშალო! ორიგინალიც აქ არის და ასლებიც, შესაბამისად დადასტურებული ბეჭდითა და ხელმოწერებით!

— მე რაღა გავაკეთო შენთვის?

— მასწავლე, სასაფლაოზე მოკლე გზით როგორ მივიდეთ?

— შპალებით, რა თქმა უნდა!

ასეთ ადგილებში განძელები ყველაზე მოსახერხებელი იყო. მიხვეულ-მოხვეულ გზებისგან განსხვავებით მანძილს მოკლედ შეიჭრია. მალე კიპარისებში დაფლული სასაფლაო გამოჩნდა. პაპეკი და კარლო, პაპანაქებით დალილები, ხეების ჩრდილს იმგვარი მონივნებით უახლოვდებოდნენ, როგორც მომლოცველები. საბოლოო ნავსაყუდელში სევდის მომგვრელი მდუმარება სუფევდა. ამ სასაფლაოზე განისვენებდა პაპეკის დედ-მამა. როგორც კარლომ აღნიშნა, მისი დედ-მამის საფლავიც იმ საფლავებიდან ხელის განვდენაზე იყო. პაპეკმა შემოგარენს გახედა, აინტერესებდა, როგორი ხედი იშლებოდა აქედან და სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა. ტალახისფერი გორაკები მთების კარიკატურას წააგავდა. ეტყობა, დიდრონი ხეები გაეჩეხათ და ვეება მანქანებით გაეზიდათ. გორმახებად ქცეულ გზაზე კაცი დიდხანს ვერ ივლიდა. თუკი ვინმე მაინც მოძრაობდა, ალბათ იმის იმედად, რომ რაიმე სატრანსპორტო საშუალება წამოეწვინათ. წვრილი ღრუბლები თბილ ქვეყნებში გადადგურენ ფრინველთა გუნდს ჰგავდა. პაპეკს სწორედ ასეთ ადგილას სურდა განსვენება, მაგრამ ძალა არ შესწევდა აღფრთოვანების გამოსახატად. განსჯა და ემოცია განსხვავებულ ჯგუფებს ქმნიდნენ, პაპეკის გამოშრალ თვალებს კი ცრემლების ფრქვევა აღარ ძალუძდათ. დროის ამ მომენტში იგი დღევანდელ უილაჯობას განასახიერებდა და ველარაფერს გაიღებდა უკვდავსაყოფად, თითქოს ეპოქის ზღუდეები ჩაყლაპვას უქადდნენ. ჩვენ უთუოდ ზეცაში გვშვეს, ფიქრობდა პაპეკი, სხეულები კი მიმიქვებივით გამოგვავსებს და მინის ფიქურზე ისე მოგვისროლეს, ღრმად რომ ჩავძირულიყავით და ნაადვილი სამშობლო დაგვევიწყებინა. ქვები დროის მსვლელობასთან ერთად უფრო და უფრო მიმდებოდა, ზეცისთვის მოლოდინი რომ გადაგვეფიქრებინა. სული ხომ ქვაზე მჩაბდა და, შესაბამისად, ქვა სულზე მიმიმე. ეს სხვაობა კი ცხოვრების სიძნელეებს განაპირობებს. მალე აკაციის ყვავილებით გადააპნტილ საფლავს მიადგნენ, სადაც მისი მშობლები განისვენებდნენ, პაპეკმა ლობეში დატანული კარი ჭრილობით შეალო და ლიად დატოვა, კარლოც რომ შესულიყო. ნიავე ისე ატოკებდა ნაძვის ჩამოშვებულ ტოტს, თითქოს ცერი და საჩვენებელი თითები მიჰქონდა ერთმანეთთან.

— აქაურობას ხელის შევლება დასჭირდება! — თქვა კარლომ და საფლავის ქვებს დახედა, — დაგისოზრებიან ოდესმე?

— ერთხელ, ორმოცგრადუსიან ყინვაში ვინეტი მალალი სიცხით! — უპასუხა პაპეკმა, — რამდენი ხანია, აქეთ არ ვყოფილვარ!

— მთელი ეს ხანა სად იყავი, ნათლიაჩემო?

— რა მნიშვნელობა აქვს! სადაც ვიყავი, ყველგან ერთი და იგივე იყო!
 — იმიტომაც არ მიმინევს გული არსად!
 — დროს, რომელსაც სამშობლოს გარეთ გავატარებთ, სამშობლოსთვის გამოვტოვებთ!
 — განა მთელი დედამიწა სამშობლო არ არის?

— მაშინ რისთვის ვლობავთ ეზოებს, ან თუნდაც ამ საფლავეებს?

ძირს დაცვენილ თეთრ ყვავილებზე მტრედები დაგოგმანებდნენ. პაპეკი აკაციის მძაფრი სურნელებით თვრებოდა. მის ქვეშ ჩამომჯდარს წასვლა აღარც უნდოდა. ისედაც მთელი ცხოვრება სხვაგან გაატარა და სასონარკვეთილებას რომ მისცემოდა, როგორ გაართმევდა თავს. ეს ეპოქა რომ მდგარიყო, ალბათ ევროპას ან ამერიკას მიაშურებდა, მაგრამ მაშინ სხვა გამოწვევა არ არსებობდა. ახლა ხომ ბევრი მიიღტვის ამერიკისკენ. იმედა სახელს ამაღეოდ გადაიკეთებს, რეზო ჩეზარედ, მშობლიურ ფესვებს ბოლომდე რომ არ უღალატონ და სინდისი მშვიდად ჰქონდეთ, მაგრამ ძნელად, ისევე აქეთ რომ გამოიხედონ.

— შენ ხომ მობრუნდი, ნათლიაჩემო!
 — მოვბრუნდი, ოღონდ სხვა განზრახვით და არა იმისთვის, რომ კერა ამელორძინებინა!

ირგვლივ აღარაფერი დარჩენილიყო იმ სიძველიდან, რომელიც მას ეკუთვნოდა. მთავარი მოქმედი პირი, ვინც მაშინდელ რეალობას ქმნიდა, ამ ჯვრების ქვეშ განისვენებდნენ. ბალახის სურნელიც კი სევდიან მოგონებებს აღძრავდა. პაპეკს აღარავინ დარჩენოდა. ნათესაობაშიც ყველანი დედისურთები ჰყავდა — მშობლები, იმათი მშობლები, თვითონაც ცოლი არა-სოდეს შეურთავს, ხოლო შორეული ნათესავთა ასავალ-დასავალსაც ვეღარ მიაკვლევდა, იმდენად დიდი ხნის წინ მიეტოვებინათ აქაურობა, თანაც ისეთი შემართებით, როგორც კეთროვანებს გაურბიან.

— ახლა კი გეტყვი, კარლო, აქ რატომაც მოგიყვანე! ოჯახი არა მყავს და იძულებული ვარ, თვითონვე ვიზრუნო ჩემ თავზე. მე მალე გავალ ამ ქვეყნიდან, როგორც კი ტკივილი გამიმეორდება. კლინიკაში გამაფრთხილეს ამის შესახებ და წყალი არ გაუვა. ეს ტკივილი ერთხელ უკვე განვიცადე და ძლივს დავუძვერი ხელიდან. მოკლედ, რაც უნდა მგრძობიარედ მოგეჩვენო, აქ მინდა, დავსაფლავდე! — ხელი საფლავისკენ გაიშვირა, — ეს კი შენ უნდა მოაგვარო. ბევრი არაფერი იქნება საჭირო, ჯვარი და გვარ-სახელის აღმნიშვნელი წარწერა!

— მართლაც დაბერებულხარ, ნათლიაჩემო! აბა, რა დროს ეგენია. შენ მხოლოდ გუშინ ჩამოხვედი, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრჯერ ვიზივით!

— მაცალე, კარლო! ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ფული საკმარისად მაქვს, გამოსაჩენ ადგილას დავდებ ჩემ ქოხში, დიდი ძებნა არ დაგჭირდება. ახლავე შევთანხმდეთ, თაროზე იდება, საერო და სასულიერო წიგნებს შორის. მე ხომ, საბოლოო ჯამში, არც ერთი ვიყავი და არც მეორე! — ეს სიტყვები აღსარებასავით გაისმა. პაპეკს ჩაეღიმა, როცა ჩაფიქრებულ კარლოს შეხედა და წარმოიდგინა, როგორ ფურცლადა წიგნებს, როგორ აცალკევებდა ლოცვანს და ბიბლიას ფანტასტიკური და სათავგადასავლო გამოცემებისგან, რათა მიეკვლია, სად თავდებოდა საერო და სად იწყებოდა სასულიერო ლიტერატურა, — მე ვერც ბერი გავხდი და ვერც ერისკაცობაში ვივარგე! — განაგრძო პაპეკმა, — მაგრამ იქნებ ერობა და ბერობა ისეა, ქალაქის აეროპორტში წასვლას რომ გადაწყვეტ. იქამდე მარცხენა სანაპიროს გაუყვები თუ მარჯვენას, რა მნიშვნელობა ექნება, თუნდაც ერთ-ერთი სანაპირო უფრო მოხერხებული იყოს, მთავარია, თვითმფრინავამდე მიხვიდე, ხომ ასეა?

— ალბათ! — მხრების აჩეჩვით უპასუხა კარლომ, რადგან ეს თემა მისთვის უცხო იყო.

— ადამიანი ბედნიერებას ისე შესწერებია, როგორც კამკამა ვარსკვლავს! — თქვა პაპეკმა, — ხედავს რომ არსებობს, მაგრამ იცის, რომ ვერასდროს შესწვდება!

— შვება ცოლ-ქმრობაში მგონია! — დაბეჯითებით განაცხადა კარლომ, მაგ საქმის მე მკითხეო.

— ჰო, შესაძლოა, სიყვარულში ვინც გაიმარჯვა, სიცოცხლე წმინდა მდინარედ ექცა!



— ამ გისოსებსაც გადავლებავ! — თემა შეცვალა კარლომ.

— ეგრე ჰქენი! — მოუწონა საქციელი პაპეკმა, თუმცა მისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მერე ერთხანს დუმდნენ. შინ რომ წამოვიდნენ, პაპეკმა მაშინლა ამოიღო ხმა:

— სიცოცხლე წვიმების სეზონს ჰგავს გადადარების ლოდინში!

ეს იმიტომ თქვა, რომ ბავშვობის სცენა გაახსენდა, ერთხელ წვიმაში რომ მოჰყვნენ ის და მამამისი და გადაფარებულ ალაგს მიაშურეს. პაპეკის მამა მშრალ ადგილს მას უზოგავდა, თვითონ ისიც ჰყოფნიდა, შვილი რომ არ ელუმბებოდა, სანახევროდ შეფარებულს ცალი მხარი გარეთ ჰქონდა და წვიმის წყალი ზედ ესხმებოდა...

5

— ძია პაპეკ! მალაზიაში გადავდივარ, რამე ხომ არ გჭირდებათ? — გასძახებდა ხოლმე კარლოს ცოლი. პაპეკს უხაროდა, მსგავსი ბგერები კვლავ რომ ისმოდა ცხოვრების დაგმანულ დერეფნებში, სადაც მხოლოდ ერთი მიმართულებით გადაადგილდებოდნენ, მომავლისკენ, და რომ არა მესხიერება, წარსული აღარც იარსებებდა. პაპეკი უარობდა. ცდილობდა, ყოფითი საკითხები თვითონვე მოეგვარებინა. ოთახს და შემოსასვლელს ცოცხით გვიდა და ჩერებდა რეცხავდა, მერე კი ხელეებს იბანდა და იმშრალებდა. ქათქათა პირსახოცი დღის ბოლოს ისეთი გამურული ხდებოდა, თითქოს ბუხრის მილიდან შემოეხსნას. ილაჯი კი ეცლებოდა, იმდენ საქმეს გამოიჩენ-



და ხოლმე. რალაციით ხომ უნდა დაკავებულყო. ხან გასანთლულ თასმებს კრავდა კვანძებად, ადვილად რომ არ გამწყდარიყო. ჭის სათლისთვის გამოდებოდა. ხან კუნძებს დაჩეხავდა და შეშად აწყობდა. სალამობით გარეთ გადიოდა, როგორც თვითონ ამბობდა, სუფთა ჰაერზე. ღობის იქით კარლოს განათებული სახლი მორჩანდა, მაგრამ იშვიათად ანუხებდა. შინ მიბრუნებისას სანთლის შუქზე ანდერძის ასლს გადახედავდა ხოლმე, იქნებ რაიმე ნივთი გამომჩნა, გადაფორმებდას რომ საჭიროე-ბსო, ბოლოს კი შეეშვა. არ ღირს, მიუბრუნდე ერთხელ უკვე დანერილს, რადგან ყოველთვის მოგინდება რალაციების გადაკეთება, ეს შეგრძნება კი უსასრულოდ გაგრძელდება, დაასკვნა მან. ასეთ დროს ჯვარცმაზე ფიქრობდა, სახარებიდან ამოკითხული ციტატები ახსენდებოდა, როცა პილატე პონტოელმა აბრაზე სიტყვები დაანერინა — იერუსალიმის მეფე. ამის გამო რაბინებმა უსაყვედურეს, მაგრამ გადაკეთება აღარ ინდომა. „რაც დავწერე, დავწერე!“ — თქვა ჯიუტად. ჰოდა, სწორედ იმ მომენტში გაცხადდა სიმართლე. რაც იმპულსურად მოიმოქმედა, ნაღდიც ის აღმოჩნდა. პაპეკს ამის გაფიქრებაზე ჩახჩახა თვალები უბრწყინავდა, სიბნელეში ანთებულ გაზქურასავით გაკრთებოდა ხოლმე. მერე კი ისევ მთელი დღე საქმიანობდა. ბოლო ხანებში დამეები ერთმანეთს ემსგავსებოდა. პაპეკს დაძინების ეშინოდა, ვაითუ, ველარც გავიღვიძოო, სახლის სახურავზე კი ნამგალა მთვარე ისე ელვარებდა, როგორც ემფოტზე აღმართული ჯალათის

ცული. დილაობით ნეტარ გალობას უსმენდა. რიყრაყზე დილის ნამი ჰაერშიც იგრძნობოდა, თითქოს გაქაფულმა ცხენებმა ჩაურბინესო. ჩიტები ჭიკჭიკს თუ შეწყვეტდნენ ან უმატებდნენ, ესე იგი იქ ადამიანს ჩაველო. რახან ვილაცას უკვე ეღვიძა, პაპეკიც დგებოდა. ფრთოსანთა მშვენიერი ხმები განკითხვასავით ჩაესმოდა, რალაც ამის მსგავსად — გონს მოდიოთ, ადამიანებო! — მოსწონდა ხეივანები, სადაც ეს ფრინველები იბუდებდნენ. ის ხეებიც მოსწონდა, სალბუნებით ფართე ფოთლებით ვეება ჩრდილებს რომ ქმნიდნენ.

პაპეკი არასდროს ყოფილა მინაზე მიბმული, არასდროს ტოვებდა მიტოვების შეგრძნება. მაგრამ ერთ დღესაც მიხვდა, რომ ზღურბლზე გასვლასაც ვეღარ შეძლებდა. ამქვეყნიურ პერსპექტივებზე ზრუნვა მისი საქმე აღარ იყო. მალე ყველაფერი ჩაივლიდა და თუ ყველაფერს წესებით გააკეთებდნენ, მხოლოდ სამდღიანი უხერხულობის გადატანა მოუწევდა, რომელთაგან ორი პანაშვიდზე მოვიდოდა, მესამე დღეს კი მინას მიაბარებდნენ. პაპეკი კვდებოდა როგორც უსახლკარო, როგორც დაფხავებული ქოხმხის მდგმური. ეს სახლი ხომ მას აღარ ეკუთვნოდა. მაგრამ გასვლის წუთი გულის შემალონებლად ინელბოდა. მყუდრო ოთახში საათი ისე წიკნიკებდა, თითქოს მრიცხველი ჩაერთოთ. შორიდან ელმავლის ხმა ექოსავით გუგუნებდა. საიდანდაც საქონლის ზმუილი აღწევდა, ვილაც გარმონზე უკრავდა, სარკმელთან კი ჩიტებმა შეიფრთხილეს და რახან ამ ბგერებს ისევ აღიქვამდა, ესე იგი ჯერაც ცოცხალი იყო სამყაროს მეთვალყურეობის ქვეშ.

ყოჩაღად მოვიქციე, ჩემ თავზე რომ ვიზრუნე, გაიფიქრა მან და ისევ სამხედრო კომბინეზონი გაახსენდა, როგორც ჩამოსვლის დღეს. უკვე მთელი არსებით გრძობდა, რომ აღსასრულს მიაღწა. ძალიანსმევის მიუხედავად, თავის წამოწვევაც ვეღარ შეძლო. მაშინ ნახავდნენ, კარლოს ცოლს შეძახილზე რომ აღარ გაუპასუხებოდა. იგი ტილოს გაჟღენთდა და შუბლს გაუგრილებდა, მაგრამ როცა მიხვდებოდა, პაპეკი აღარ სუნთქავდა, ამის შესატყობინებლად გასწევდა. პაპეკს გაუმართლა, კვირადღე რომ თენდებოდა და კარლო უთუოდ შინ იქნებოდა, სამაბათს კი დაკრძალავდნენ. სამუშაო დღეს დიდი მიმოსვლა არ იქნებოდა. მერე უკანასკნელი წამი წარმოიდგინა, როცა კუბოს მინას მიაყრიდნენ, ამ დროს კაცის სიკვდილი ნავის ჩაძირვას ემსგავსება. კარლო თავის მეზობლებთან ერთად ალბათ დალაქებსაც დაპატიუებდა, რახან იცნობდა. პროცესიას ის ჯიბგირიც აჰყვებოდა, ჩამოსვლის დღეს რომ აედევნა პაპეკს. გაიკითხავდა, ვის მარხავენო და თავს სინანულით გადააქნევდა, მეც ვიცნობდიო ამ ღირსეულ კაცს, იტყოდა ომახიანად. რამდენიმე უცნობი ჭირისუფალი კიდევ შერგოვდებოდა. თავისიანი ხომ აღარავინ დარჩენოდა, ვინც მის ამბავს გულთან მიიტანდა. პატარა სუფრაც გაიმთავრდა, ხოლო ენაწილიანი თამადას ფანტაზიის მოხმობა დასჭირდებოდა, შთამბეჭდავად რომ მოეთხრო პაპეკზე, რომელსაც არასდროს იცნობდა, მეტი შეფასება მიეცა, ვიდრე იმსახურებდა. ხომ მომხდარა, სახელი ყაჩაღსაც გავარდნი, მაგრამ აქ მხოლოდ ყაჩაღობაში არ იქნებოდა საქმე. რა მნიშვნელობა აქვს მდიდრულ ცხოვრებას, თუკი ამისთვის მრავალი შეურაცხყოფის დათმენა გინევს. ადამიანები ერთმანეთისთვის სიცოცხლის გარკვეული ეპიზოდის მეგზურები არიან მხოლოდ, ამიტომაც გამოსახავენ ყველაფერს ციფრებით, მაგრამ ეს ციფრების სამყარო პაპეკს აღარ ეკუთვნოდა. სულ მალე იმათ რიცხვს შეუერთებოდა, ვისაც აქაურობისთვის თავი დაეღწია. ადამიანებმა საათის მექანიზმიც იმ მიზეზით გამოიგონეს, დროს შეგრძნება ციფრების მეშვეობით რომ მოეხელთებინათ, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან პაპეკს სახე უკვე დაუბრიცა ტკივილებმა, სწორედ იმგვარმა, ერთხელ რომ უკვე განვიცადა, მაგრამ გაცილებით მეტი სიძლიერით გამოვლენილმა, თითქოს სასტიკად უნდა ეტანჯა, ბრალი რომ აღარაფერში დასდებოდა. მე მოვრჩი ამ ცხოვრებას! — გაიფიქრა მან, როცა, როგორც იქნა, შეიგრძნო მოსვენება, სიცოცხლეში მსგავსი რომ არასდროს განვიცადა, ხოლო მომდევნო წამს სივრცეზე მიჩერებული გამჭოლი და უფერული მზერა სახეზე სამუდამო ღიმილად აღებეჭდა.


მსოფლიო მშობლებმა და მასწავლებლებმა როდი აღმზარდეს. ამ საქმეში უფრო მაღალი, უხილავი და იდუმალი ძალებიც ეროვნენ. მათ შორის იყო ღმერთი პანის, რომელიც პატარა, მოცუკვავე ინდური ღვთაების სახით ბაბუაჩემის შემინულ კარადამ იდგა. ამ ღვთაებამაც და კიდევ სხვებმაც იკისრეს ჩემს ბავშვობაზე ზრუნვა და წერა-კითხვის სწავლაზე დიდი ხნით ადრე ისე ამავსეს აღმოსავლეთის ძველისძველი სურათებით და აზრებით, რომ შემდგომში ინდოეთის თუ ჩინეთის ბრძენებთან ყოველი შეხვედრა ხელახალ შეხვედრად, შინ დაბრუნებად მეჩვენებოდა. და მაინც, ევროპული ვარ, მშვიდლოსნის აქტიური ნიშნის ქვეშაც კი დავიბადე, და მთელი ცხოვრება დასავლურ სიქველევებს ველტვოდი — მიზანსწრაფულობას, მომხვეჭელობას და დაუცხრომელ ცნობისმოყვარეობას. საბედნიეროდ, როგორც ბავშვების უმრავლესობამ, ის, რაც სიცოცხლისთვის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია, სკოლაშივე ვისწავლე. მე მასწავლიდნენ ვაშლის ხეები, წვიმა და მზე, მდინარე და ტყეები, ფუტკრები და ხოჭოები, მასწავლიდა ღმერთი პანი, მასწავლიდნენ მოცუკვავე კერპები ბაბუაჩემის საგანძურადან. სამყაროს ვიცნობდი, ცხოველებთან და ვარსკვლავებთან უშიშრად ვურთიერთობდი, ვიცოდი, როგორ მევლო ბაღებში და წყალში, თევზებთან, და სიმღერაც შემიძლო. ჯადოქრობაც მეხერხებოდა, რაც, სამწუხაროდ, ადრინადა მიმავინყდა და უკვე კარგა ხნისა თავიდან მომინია სწავლა, და ბავშვობის საარაკო სიბრძნესაც ვფლობდი.

მერე ამას სასკოლო მეცნიერებებიც დამატა, რომელთაც იოლად ვითვისებდი და მეხალისებოდა. სკოლა ჭკვიანურად იყო მოწყობილი, ცხოველებისთვის აუცილებელ, დასრულებულ სიბრძნეებს თავს არ გვახვევდნენ, აქ უმაღლესი თამაში და ლამაზი დროსტარება იყო, რაც ფრიად მსიამოვნებდა, და იქ მიღებული ცოდნის — ზოგის ერთგული — მთელი სიცოცხლე დავრჩი: ასე ვიცი დღესაც ბევრი ლამაზი და სასაცილო ლათინური სიტყვა, ლექსი და გამონათქვამი, ისევე, როგორც დედამინის ყველა მხარის მრავალი ქალაქის მოსახლეობის რიცხვი, ცხადია, დღევანდელი არა, ოთხმოციანი წლებისა.

ცამეტ წლამდე არასოდეს დავფიქრებულვარ, რა დავდებოდი და რა საქმეს ვისწავლიდი. როგორც ყველა ბიჭს, მეც რამდენიმე პროფესია მიყვარდა და მშურდა: მონადირე, მედროვე, ბაგირზე მოცუკვავე, ჩრდილოეთის მკვლევარი. მაგრამ ყველაფერს ჯადოქრობა მერჩივნა. ეს იყო, რაც ყველაზე მეტად, სულთი და გულით მიზიდავდა, უკმაყოფილება იმით, რასაც „სინამდვილეს“ უწოდებდნენ და ხანდახან მხოლოდ უფროსების სულელური შეთანხმება მეგონა. ადრინავე დამჩემდა ამ სინამდვილის ხან შიშნარევი, ხან დამციხავი უარყოფა და მწველი სურვილი, მომეჯადოებინა, გარდამემქნა, გამედიდებინა. ბავშვობაში ჯადოქრობის სურვილი გარეშე, ბავშვური მიზნებისკენ იყო მიმართული — მინდოდა, ზამთარში ხეს ვაშლი მოესხა და ჯადოქრობით ჩემი ქისა ოქრო-ვერცხლით ამევსო, იმაზე ვოცნებობდი, რომ ჩემი მტრები მაგიური შელოცვით გამექვავებინა და მერე ჩემი დიდსულოვნებით შემერცხვინა და გამარჯვებულის და მეფის სახელი მომეპოვებინა. მინდოდა, დამარხული განძი მეპოვნა, მკვდრები გამეცოცხლებინა და უჩინარი გავმხდარიყავი. ეს უკანასკნელი, კერძოდ, უჩინმანინობა, ის ხელყოფნა იყო, რომელიც ძალიან ძვირფასად მიმჩნა და ყველაზე მეტად მეწადა. ისევე, როგორც ყველა ჯადოსნური ძალის სურვილი, ის მთელი ცხოვრება თან მდევდა, მრავალი სახით, ისე, რომ ხშირად უცბად ვერც ვცნობდი ხომლე. მერეც ასე დამემართა, როცა უკვე კარგა ხნის მოზრდილი ვიყავი და ლიტერატორის ხელობას ვეუფლებოდი — ხშირად ვცდილობდი, ჩემი ლექსების უკან გავმქრალიყავი, სახელი გამომეცვალა და ღრმაზროვან გამოვინლი სახელებს ამოვფარებოდი, და ეს ჩემი მცდელობები, ჩემდა გასაკვირად, ჩემი ხელობის ხალხს ხშირად სანყენად მიჩნდა და არასწორად ესმოდა. უკან რომ ვიხედები, ჯადოსნური ძალის ნაილი მთელ ჩემს ცხოვრებას დალად აქვს დასმული. დროთა განმავლობაში როგორ მეცვლანოდა ჯადოქრობის მიზნები, თანდათან როგორ გადავანაცვ-

ლე ის გარე სამყაროდან ჩემში, ნელ-ნელა როგორ ვლამობდი არა საგნების, არამედ საკუთარი თავის გარდაქმნას, შემდგომ როგორ ვსწავლობდი მოუხერხებელი უჩინმანინის ქული ცოდნით ჩამენაცვლებინა და ასე გავუჩინარებულყავი და გავმხდარიყავი მცოდნე, აღიარებული და მაინც ამოუცნობი — სინამდვილეში სწორედ ეს გახლდათ ჩემი ცხოვრების ამბის შინაარსი.

სიცოცხლით სავსე და ბედნიერი ბიჭი ვიყავი, მშვენიერ, ფერად სამყაროსთან მოთამაშე, თავს ყველგან შინ ვგრძობდი, როგორც ცხოველებთან და მცენარეებთან, ასევე ჩემს საკუთარ ფანტაზიებთან და სიზმრებთან, საკუთარი ძალეებით და შესაძლებლობებით გახარებული, ჩემი მხურვალე სურვილებით უმაღლესი ვიყავი, ვიდრე დაჩაგრული. იმხანად ვერც კი ვხვდებოდი, ისე ვვადოქრობდი, ბევრად უკეთ, ვიდრე მომავალში მომიხერხებია. სიყვარულს იოლად მოვიპოვებდი, იოლად ვახდენდი სხვებზე გავლენას, იოლად ვირგებდი ლიდერის როლს, სათაყვანებლის ან იდუმალეებით მოცულისას. უმცროსი მეგობრები და ნათესავები წლების განმავლობაში მყავდა დარწმუნებული, რომ მარ-



თლაც ჯადოსნურ ძალებს ვფლობდი, დემონების განმეგებელი ვიყავი, დამალული განძებისა და კრონებისა გამეგებოდა. დიდხანს ვცხოვრობდი სამოთხეში, თუმცა კი მშობლებმა გველი ადრინადა გამაცნეს. ჩემი ბავშვობის სიზმარი დიდხანს გრძელდებოდა, სამყარო ჩემი იყო, ყველაფერი ანმყოფი ეკუთვნოდა, ჩემს ირგვლივ ყველაფერი ლამაზი თამაშისთვის იყო დალაგებული. თუკი რამე დამაკლდებოდა ან მომენატრებოდა, თუ დესლაკ კეთილსამყაროს ჩრდილი დაეცემოდა და საეჭვო ხდებოდა, როგორც წესი, იოლად ვიკვლევდი გზას სხვა, უფრო ნატიფ, სინამდვილეობებს მოკლებულ ფანტაზიების მხარეში, და იქიდან დაბრუნებული აღმოვჩენდი ხოლმე, რომ გარესამყარო კვლავ საამო და საყვარელია. სამოთხეში დიდხანს ვიცხოვრე.

მამაჩემის პატარა ბაღში ერთი შემოღობილი ადგილი იყო, იქ ჩემი ბაჭები და მოთვინიერებული ყორანი ცხოვრობდნენ. იქ უსასრულო საათებს ვატარებდი, ნელთაღრიცხვებით გრძელ დროს, თბილად, მესაკუთრის გრძობით დამტკბარი. ბაჭიებს სიცოცხლის სურნელი ასდიოდათ, ბაღახის და რძისა, სისხლის და ჩასახვის, და ყორნის შავ, მტკიცე თვალში მარადიული სიცოცხლის ლამპარი ენთო. აქვე მაქვს გატარებული სხვა, უსასრულო დრო, საღამოობით, მოპარპალე სანთლის შუქში, თბილი, მოვლემარე ცხოველების გვერდით, მარტოს ან ამხანაგებთან ერთად, და არნახული საგანძურების აღმოჩენის, აღრაულის ფესვის მოპოვების და გასათავისუფლებელ ქვეყნებში გამაჯვებული რაინდების სვლის გეგმებს ვაწყობდი, ყაჩაღებს როგორ ვძლევდი, უბედურებს ვისხნიდი, ტყვეებს გავათავისუფლებდი, დაცემულ ციხე-სიმაგრეებს ვადავწვავდი, მოლაღალეებს ჯვარზე გავაკრავდი, ორგულ ვასალებს შევუნდობდი, მეფის ასულებს დავიპყრობდი და ცხოველების ენას გავიგებდი.

ბაბუაჩემის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში უზარმაზარი, მძიმე წიგნი ინახებოდა. ხშირად ვფურცლავდი და ვკითხულობდი.

ამ ამოუწურავ წიგნში ძველი, საოცარი სურათები იყო — ზოგჯერ გადაშლისთანავე და გადაფურცლისთანავე თვალში მოგხვდებოდა ნათელი და მომხიბვლელი, ზოგჯერ კი დიდხანს უნდა გეძებნა და ვერ იპოვიდი, გამქრალიყო, მოჯადოებულიყო, თითქოს არც ეარსება. წიგნში ერთი ამბავი ეწერა, უსასრულოდ მშვენიერი და გაუგებარი — ხშირად ვკითხულობდი. მასაც ყოველთვის ვერ მიაგნებდი, უნდა გავმართლებოდა, ხშირად ქრებოდა ხოლმე და იმალებოდა, ხშირად თითქოს ადგილ-სამყოფელი ჰქონდა შეცვლილი, ხანდახან კითხვისას საოცრად კეთილი იყო და ლამის გასაგებს, სხვა დროს კი — ბნელი და ჩაკეტილი, სხვენის კარივით, რომლის მიღმაც დაბინდებისას ზოგჯერ სულების ხმა ისმოდა, როგორ ხითხითებდნენ ან კენესოდნენ. ყველაფერი ნამდვილი იყო, ყველაფერი ჯადოქრობით იყო სავსე, ერთიც და მეორეც მშვიდად არსებობდა ერთად, ერთიც და მეორეც მე მეკუთვნოდა.

ბაბუაჩემის საგანძურით სავსე შემინულ კარადამი მდგომი, ინდოეთიდან მოსული მოცუკვავე ღვთაებაც ყოველთვის ის ღვთაება როდი იყო, ყოველთვის ერთნაირი

ჰერმან ჰესე ჯადოქრის ბავშვობა ავტობიოგრაფიული

სახე არ ჰქონდა, ყოველთვის ერთსა და იმავე ცეკვას არ ცეკვავდა. ზოგჯერ კერპი იყო, უცნაური და ცოტა სასაცილო ფიგურა, უცხო, გაუგებარ ქვეყნებში უცხო და გაუგებარი ხალხების მიერ გაკეთებული და სათაყვანებელი. სხვა დროს ჯადოსნური ნივთი იყო, მნიშვნელოვანი, უსახელო და საშიში, მსხვერპლს მოწყურებული, ბოროტი, მკაცრი, არასანდო, დამცინავი, თითქოს მიზიდებდა, დამეცინა, რომ მერე შური ეძია. მზერის შეცვლა შეეძლო, თუმცა ყვითელი ლითონისგან იყო გაკეთებული. ხანდახან თვალებს აელმებდა. სხვა დროს მხოლოდ სიმბოლო იყო, არც ბოროტი, არც კეთილი, არც სასაცილო, არც საშიში, მხოლოდ მარტივი, ძველი და წარმოუდგენელი, როგორც რუნა, როგორც ხავსის ლაქა კლდეზე, როგორც ნახატი კენჭზე, და მისი ფორმის, მისი სახის და ხატების მიღმა ღმერთი ცხოვრობდა, უსასრულო სუფევდა, რასაც მაშინ, ბიჭობაში, ისევე ვეთაყვანებოდი და ვიცნობდი, როგორც შემდგომ, როცა მას ჩემთვის შივა, ვიშნუ, ღმერთი, სიცოცხლე, ბრაჰმანი, ატმანი, ტაო ან მარადიული დედა ერქვა. ეს იყო მამა, იყო დედა, ეს იყო ქალი და კაცი, მზე და მთვარე.

შემინულ კარადამი მდგომი ღვთაების სიახლოვეს, ბაბუის სხვა კარადებში კიდევ მრავალი არსება და ხელსაწყო იდგა და ეკიდა და იდო — ხის მძივები, კრიალოსნებივით, ინდური ნარნერებით დაფარული პალმის ფოთლების გრავნილები, მწვანე იასპისგან გამოთლილი კუები, ხის, მინის, ბროლის, თიხის კერპები, აბრეშუმის და სელის მოქარაული გადასაფარებლები, თითბრის ჭიქები და თასები, და ეს ყველაფერი ინდოეთიდან და ჩინეთიდან იყო მობრძანებული, სამოთხის კუნძულებიდან, სადაც გვიმრა ხარობს და სანაპიროებზე პალმებია, და ნაზი, ნუკრის-თვალეა ასულელი ცხოვრობენ; სიამიდან იყო და ბირმადან, და ყველაფერს ზღვის, სუნელების და შორეთის სურნელი ჰქონდა, ილის და სანდალოზის ხისა, ყველაფერს ყავისფერ და ყვითელ ხელეში გაველი, ტროიკული წვიმებით და განგის წყლით იყო დასველებული, ეკვატორის მზით იყო გამომშრალი, ჯუნგლების ჩრდილი ადგა. ყველა ეს ნივთი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა, და ის, ბერიკაცი, პატივსაცემი, უზარმაზარი, თეთრი, ფართო წვერით, ყოვლისმცოდნე, მამაზე და დედაზე უფრო ძლევიამოსილი, ის სხვა ნივთებს და ძალეებსაც ეწოდებდა. მისი იყო არა მხოლოდ ინდური კერპები და სათამაშოები, ამოკვეთილი, დახატული, ჯადოქრობით განმწმენდილი ქოქოსის კაკლის და სანდალოზის თასები, დარბაზი და ბიბლიოთეკა, ის გრძნეულიც იყო, მცოდნე, ბრძენი. მას ადამიანების ყველა ენა ესმოდა, ოცდაათზე მეტი, შესაძლოა, კერპებისაც, იქნებ ვარსკვლავები-

საც, მას პალი და სანსკრიტი ესმოდა და წერა შეეძლო, კანარების, ბენგალის, შინდუსტანის, სინგაპურის სიმღერებს მღეროდა, მუსლიმთა და ბუდისტთა ლოცვები იცოდა, თუმცა ქრისტიანი იყო და სამებისა სწამდა. მას მრავალი წელი და ათწლეული აღმოსავლურ, ცხელ, სახიფათო ქვეყნებში ჰქონდა გატარებული, ნავებით და ურმებით ემოგზაურა, ცხენებით და ჯორებით. მასზე უკეთ არავინ იცოდა, რომ ჩვენი ქალაქი და ჩვენი ქვეყანა დედამინის მხოლოდ ერთი ციდა ნაწილი იყო, რომ ათასობით მილიონ ადამიანს ჩვენგან განსხვავებული რწმენა ჰქონდა, სხვა ადათები, ენები, კანის ფერი, სხვა ღმერთები, სხვა რამ მიაჩნდათ სიქველედ და სხვა რამ — ნაკლად. მე ის მიყვარდა, ვეთაყვანებოდი და ვუფრთხობდი, მისგან ყველაფერს მოველოდი, მას ყველაფერში ვენდობოდი, მისგან და მისი კერპად გადაცმული ღმერთის, პანისგან განუწყვეტლოვ ვსწავლობდი. ეს კაცი, დედაჩემის მამა, საიდუმლოებების უღრანით იყო მოცული, როგორც მისი სახე — თეთრი წვერის ტყით, მისი თვალებიდან სამყაროს სევდა და მხიარული სიბრძნე იღვრებოდა, ხან — როგორ, ხან — როგორ, მარტოსულის ცოდნა და ღვთაებრივი თაღლითობა. მას მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები იცნობდნენ, ეთაყვანებოდნენ და სტუმრობდნენ, ინგლისურად, ფრანგულად, ინდურად, იტალიურად, მალაზიურად ელაპარაკებოდნენ, და ხანგრძლივი საუბრების შემდეგ კვლავ უკვალოდ ქრებოდნენ. იქნებ მისი მეგობრები იყვნენ, იქნებ მისი მსტოვრები, იქნებ მისი მსახურები და ებგური. მისგან, ამოუცნობისგან ვიცოდი საიდუმლო, რომლითაც დედაჩემი იყო მოცული, ძველისძველი საიდუმლო, რომ დედაც დიდხანს იყო ინდოეთში, რომ მასაც შეეძლო მალაჯალამი და კანარულად ლაპარაკი და სიმღერა, და ის და მისი მოხუცი მამა უცხო, მაგიურ ენებზე უზიარებდნენ ერთმანეთს სიტყვებს და სათქმელს. და დედაც, ბაბუის მსგავსად, ზოგჯერ უცხო ლიმილით, დაფარული სიბრძნის უმთხრელი ილიმებოდა.

მამაჩემი სხვანაირი იყო. ის ცალკე იდგა. არც ღვთაებების და ბაბუის სამყაროს ეკუთვნოდა და არც ქალაქის ყოველდღიურობას, განზე იდგა, მარტომდმარტო, ტანჯული და მაძიებელი, სწავლული და წარმოსადეგი, მართალი და სიმართლის სამსახურში დაუღალავი, მაგრამ იმ ლიმილისგან ძალზე შორს მდგომი, ნატიფი და ნაზი, მაგრამ გაჭყირვალე, იმ იდუმალეობას მოკლებული. არასოდეს ტოვებდა სიკეთე, არასოდეს უღალატია გონიერებას, მაგრამ ბაბუისეულ ჯადოსნურ ღრუბელში არასოდეს ეხვეოდა, არასოდეს დაუკარგავს სახე ამ ბავშვურ თუ ღვთაებრივ ბურუსში, რომლის თამაშაც ხან სევდას, ხან ნატიფ დაცინვას, ხან საკუთარ თავში მდუმარედ დანთქმულ ღვთაების ნილაბს ჩამოჰგავდა. მამაჩემი დედას ინდურ ენებზე არ ელაპარაკებოდა, ინგლისურად ლაპარაკობდა და სუფთა, წმინდა, მშვენიერ, ოდნავ ბალტიურად შეფერილ გერმანულს. ეს ენა იყო, რითაც მიზიდავდა და ჩემს გულს იგებდა და მასწავლიდა. მოხიბლული და მონდომებული მიყვებოდი, ძალიან მონდომებული, თუმცა ვიცოდი, რომ ფესვები უფრო დედის ნიშნებში მქონდა გადგმული, მუქ თვალებში და იდუმალეობაში. დედაჩემი მუსიკით იყო სავსე, მამაჩემი — არა, მას სიმღერა არ შეეძლო.

ჩემს გვერდით იზრდებოდნენ დები და ორი უფროსი ძმა, დიდი ბიჭები, რომლებსაც მშურდა და რომელთაც ვეთაყვანებოდი. ჩვენს ირგვლივ პატარა ქალაქი იყო, ძველი და ოკრობოკრო, მის ირგვლივ კი — ტყით დაფარული მთები, მკაცრი და ცოტა პირქუში, და შუაში მშვენიერი მდინარე მიედინებოდა. მიხვეულ-მოხვეული და მდორე, და აქ ყველაფერი მიყვარდა და სამშობლოს ვუნდობდი, და ტყესა და მდინარესთან მცენარეს და მინას ვიცნობდი, ლოდებს და გამოქვაბულებს, ჩიტს, ციყვს, მელას და თევზებს. ეს ყველაფერი მე მეკუთვნოდა, სამშობლო იყო, მაგრამ ამის გარდა შემინული კარადა და ბიბლიოთეკაც მქონდა, და ბაბუის ყოვლისმცოდნე სახეზე ალბეჭდილი კეთილი დაცინვა, და დედის მუქი და თბილი მზერა, და კუები და კერპები, ინდური სიმღერები და გამონათქვამები, და ეს ყველაფერი დიდი სამყაროს ამბავს მიყვებოდა, უფრო დიდი სამშობლოს, უფრო ძველი წარმოშობისა,

უფრო დიდი კავშირებისა. და ზემოთ, თავის მალაქ, მავთულის სამფლობელოში, ჩვენი რუხ-ნითელი თუთიყუში იჯდა, ბებერი და ჭკვიანი, სწავლული სახით და ბასრი ნისკარტით, მღეროდა და ლაპარაკობდა, და ისიც შორიდან იყო, უცნობი მხარიდან, ჯუნგლების ენაზე უსტვენდა და ეკვატორის სურნელი დაჰკრავდა. მრავალი სამყარო, დედამიწის მრავალი მხარე ინვდენდა მკლავებს და სხივებს, და ერთმანეთს ჩვენს სახლში ხვდებოდა და იკვეთებოდა. სახლი კი დიდი იყო და ძველი, მრავალი, ზოგი ცარიელი ოთახით, სარდაფებით და დიდი, ექიმიანი დერეფნით, რომელთაც ქვის და სიგრილის საამო სუნი ჰქონდა, და უსასრულო, შუშით და ხილით და ორპირი ქარებით და ბნელი სივრცით სავესე სხვევებით. ამ სახლში მრავალი ქვეყანა კვეთდა თავის სხივებს. აქ ლოცულობდნენ და ბიბლიას კითხულობდნენ, აქ სწავლობდნენ და ინდურ ფილოლოგიას ეუფლებოდნენ, აქ ბევრი მუსიკა იყო, აქ ბუდასა და ლაო ძის შესახებ იკვდიდნენ, სტუმრები მრავალი ქვეყნიდან მოდიოდნენ, უცხოეთის და უცხო ქვეყნების სურნელით გაუფლეთილი ტანსაცმლით, ტყავის და ჭილის უჩვეულო ჩემოდნებით და უცხო ენების ჟღერდნენ. აქ დატაკებს აპურებდნენ და ზეიმებს მართავდნენ, აქ მეცნიერება და ზღაპრები გვერდიგვერდ სახლობდნენ. ბებიაც იყო, რომელსაც ოდნავ ვუფრთხოდით და ნაკლებად ვიცნობდით, რადგან გერმანული არ იცოდა და ფრანგულ ბიბლიას კითხულობდა. ამ სახლის ცხოვრება მრავალმხრივი და ზოგჯერ გაუგებარი იყო, აქ შუქი მრავალფერად თამაშობდა, ცხოვრება სავსედ და მრავალმხრივად ჟღერდა. კარგი იყო და მომწონდა, მაგრამ კიდევ უფრო კარგი ჩემი ჯგულის ნიური ფიქრების სამყარო იყო, ჩემი ოცნებები უფრო მდიდრულად ციალებდა. სინამდვილეს არასოდეს ვგვერდებოდი, ჯადოქრობა მჭირდებოდა.

მაგია ჩვენს სახლში და ჩემს ცხოვრებაში მიღებული იყო. ბაბუის კარადების გარდა, დედაჩემისაც არსებობდა, აზიური ქსოვილებით, კაბებით და თავშეფარებით სავსე, მაგიური იყო კერპების ფარდაგაც, იდუმალებით მოცული ზოგი ძველი ოთახის და კიბის კუნჭულის სურნელი. ჩემში ამ გარემოცვას მრავალი რამ შეეცდებოდა. ზოგი საგანი და ურთიერთკავშირი მხოლოდ ჩემში და მხოლოდ ჩემთვის იყო ხილული. არაფერი იყო უფრო იდუმალებით მოცული, ასეთი გამოუთქმელი, ყოველდღიურ საქმიანობას ამდენად მოწყვეტილი — და ასეთი ნამდვილი. თუნდაც იმ დიდ წიგნში სურათების და ამბების თვინებური გამოჩენა და გაქრობა იყო ასეთი, და ცვლილებები საგნების სახეებში, რასაც კვლავ და კვლავ ვხედავდი. როგორ სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა სახლის კარი, ბაღის სახლი და გზა კვირა საღამოს და ორშაბათ დილას! როგორი სულ სხვა სახით გვეჩვენებოდა მისაღებ ოთახში კედლის საათი და ქრისტეს გამოსახულება მაშინ, როცა იქაურობას ბაბუას სული განაგებდა — და როცა იქ მამის სული იყო, და როგორ ძალიან იცვლებოდა იმ საათებში, როცა საგნებს არცერთი უცხო სულის დამა არ ეტყობოდა, არამედ ჩემი, საკუთარი, როცა ჩემი სული საგნებით თამაშობდა და მათ ახალ სახელებს და მნიშვნელობებს ანიჭებდა! ასეთ დროს კარგად ნაცნობი სკამი ან ჯორკო, ღუმელთან განოლილი ჩრდილი, გაზეთის ნაბეჭდი სათაური შეიძლება ლამაზი ან მახინჯი და ბოროტი გამხდარიყო, ღრმავარდნიანი ან ბანალური, სანატორი ან საშიში, სასაცილო ან ნაღვლიანი. რა ცოტა რამ იყო იქ მტკიცე, სტაბილური, უცვლელი! ყველაფერი ცოცხლობდა, ცვლილებებს განიცდიდა, გაქრობასა და კვლავ დაბადებას შორის იყო ჩასაფრებული.

მაგრამ ყველა მაგიურ ზმანებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდებული „პატარა კაცი“ იყო. არ ვიცი, პირველად როდის დავინახე, მე მგონი, სულ იყო, ჩემთან ერთად მოვიდა ამქვეყნიდან. პატარა კაცი ერთი ციციქა, რუხი, ჩრდილივით არსება ბრძანდებოდა, კაცუნა, სული ან კობოლტი, ანგელოზი ან დემონი, რომელიც ხანდახან ჩნდებოდა და წინ მიმიძლოდა, ძილში თუ ღვიძილში, და მე მისთვის უნდა დამეჯერებინა, მეტად, ვიდრე დედისთვის, მეტად, ვიდრე სალი აზრისთვის, ზოგჯერ შიშზე მეტადაც კი. როცა პატარა ხილული ხდებოდა, მხოლოდ ის არსებობდა, და

საითაც წავიდოდა ან რასაც იზამდა, მეც უნდა მიმებაძა: განსაცდელის დროს ჩნდებოდა ხოლმე. როცა ავი ძალიან ან გაჯავრებული უფროსი ამხანაგი მომდევნა და ჩემი საქმე ცუდად იყო, მაშინ, ყველაზე ძნელ წამში, პატარა კაცუნა ჩნდებოდა, ჩემ წინ გარბოდა, გზას მაჩვენებდა, ის ხსნა იყო. მაჩვენებდა, ბალის ღობეში ფიცარი სად აკლდა, და დამფრთხალი ბოლო წამს გასასვლელს ვაგნებდი, მაჩვენებდა, რა უნდა მექნა: დავცემოლიყავი, მოვბრუნებოლიყავი, გავცეცოლიყავი, მეყვირა, ხმა არ ამომელო. რაღაცას, რის ჭამასაც ვაპირებდი, ხელიდან მართმევდა, იქ მივყავდი, სადაც დაკარგულ საკუთრებას ვაგნებდი. იყო დრო, როცა ყოველდღე ვხედავდი. იყო დრო, როცა არ ჩანდა. ეს ცუდი დრო იყო, ყველაფერი ნელთბილი იყო და ბუნდოვანი, არაფერი ხდებოდა, არაფერი გამოდიოდა.

ერთხელ, ბაზრის მოედანზე, ჩემს წინ პატარა კაცი მივბოდა და მეც მივდევდი, და მან უზარმაზარ შადრევანთან მიიღბინა, რომლის ქვის თასში ოთხი წყლის ჭავილი დახტოდა. ქვის კედელი მოაჯირამდე აიარა, და მეც მივყვი, და როცა მე ჩემ თვალში ღრმა წყალში ისკუპა, მაც მივყვი, სხვა გზა არ მქონდა, და დახრწობას ბენვზე გადავრჩი. მაგრამ არ დავმხრწვალვარ, ამომიყვანეს, ახალგაზრდა, კობტა მეზობლის ქალმა ამომიყვანა, რომელსაც მანამდე არც ვიცნობდი, და რომელთანაც მშვენიერი მეგობრული ურთიერთობა დაიწყო, რომელიც დიდხანს მბედნიერებდა.

ერთხელ მამაჩემმა ცუდი საქციელის გამო პასუხი მომთხოვა. ბორძიკით ვლაპარაკობდი, განვიცდიდი, რომ უფროსისთვის რამის ახსნა ასე ძნელია ხოლმე. ცოტა ცრემლებიც გადმოვყარე და ღმობიერად დამსაჯეს, და ბოლოს მამამ კობტა, პატარა, ჯიბის კალენდარი მაჩუქა, რომ ეს დრო არ დამეწყებოდა. ცოტა დარცხვენილი და დაუკმაყოფილებელი ნავედი და მდინარეზე გადებული ხიდი გადავიარე, და უცხად ჩემ წინ პატარა კაცი გაიქცა, ხილის მოაჯირზე ახტა და მანიშნა, რომ მამაჩემის საჩუქარი უნდა მომექნია, მდინარეში ჩამეგდო. მაშინათვე გადავაგდე. როცა პატარა აქ იყო, ყოყმანი და ორჭოფობა არ არსებობდა, ეს მხოლოდ მაშინ შემართებოდა, როცა ის არ მყავდა, არ ჩანდა და ბედის ანაბარად მტოვებდა. მახსენს, ერთ დღეს მშობლებთან ერთად სასეირნოდ წავიდა და პატარა კაცი გაჩნდა, ქუჩის მარცხენა მხარეს მიუყვებოდა, და მეც მას მივყვი, და რამდენჯერაც მამაჩემმა თავისთან, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა მიბრძანა, პატარა არ გამომყვა, მარცხნივ მიაბიჯებდა, და მეც მაშინათვე მასთან მიწვევა დაბრუნება. მამაჩემს ეს ამბავი მოსწყინდა და, საბოლოოდ, გამიშვა, ეწყინა, და მხოლოდ მოგვიანებით, სახლში მკითხა, რატომ არ გავუგონე და ქუჩის მეორე მხარეს რატომ გავუყვი. ასეთ შემთხვევებში ძალიან ვიბნეოდი, მართლაც გასაჭირი მაგდა, რადგან არაფერი იყო იმაზე წარმოუდგენელი, რომ ვინმესთან პატარა კაცის შესახებ სიტყვა დამცდენოდა. არაფერი იყო უფრო აკრძალული, უფრო ცუდი, უფრო მომაკდინებელი ცოდვა, ვიდრე პატარა კაცის გაცემა, მისი სახელის ხსენება, მასზე ლაპარაკი. მასზე ფიქრი, მისი დაძახება და მისი მოხმობაც არ შემეძლო. თუ აქაა — ძალიან კარგი, და მეც მივყვებოდი. თუ არაა — ვითომ არც ყოფილა. პატარა კაცს სახელი არ ჰქონდა. მაგრამ ამქვეყნიდან ყველაზე შუქმდებელი ის იქნებოდა, რომ პატარა კაცს, თუ გაჩნდებოდა, არ გავყოლოდი. საითაც წავიდოდა, უნდა წავყოლოდი, თუნდაც წყალში, თუნდაც ცეცხლში. ისე კი არა, რომ რამეს მიბრძანებდა ან მიჩვენებდა. არა, უბრალოდ, ამას თუ იმას აკეთებდა და მეც იგივეს ვაკეთებდი. თუ რამეს აკეთებდა, უნდა მიმებაძა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო, როგორც ჩემი ჩრდილისთვის იქნებოდა შეუძლებელი, ჩემი მოძრაობები არ გაემეორებინა. იქნებ პატარას ჩრდილი ან ანარეკლი ვიყავი მხოლოდ, ან ის იყო ჩემი; იქნებ იმას, რასაც, ჩემი აზრით, მისი კვალდაკვალ ვაკეთებდი, მასზე ადრე ვმჭრებოდა, ან მასთან ერთად. უბრალოდ, ყოველთვის არ იყო, სამწუხაროდ, და როცა არ მყავდა, ჩემს ქმედებებსაც თავდაჯერებულობა და აუცილებლობა აკლდა, მაშინ ყველაფერი სხვანაირად შეიძლებოდა, მაშინ ყოველი ნაბიჯის გადაგმისას შეიძლებოდა გექ-

ნა ან არ გექნა, გეყოყმანა, დაფიქრებულობა. ჩემი იმდროინდელი ცხოვრების ყველა კარგი, მხიარული და ბედნიერი ნაბიჯი დაუფიქრებლად იყო გადადგმული. ვინ იცის, თავისუფლების საუფლო შეცდომების საუფლოცაა.

რა მშვენიერი იყო ჩემი მეგობრობა მხიარულ მეზობლის ქალთან, რომელმაც მაშინ შადრევანიდან ამომიყვანა! სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა და კობტა და სულელი იყო, საყვარელი, ლამის გენიალური სისულელით. ყაჩაღების და ჯადოქრობების ამბებს მაყოლებდა, ხან მეტისმეტად მიჯერებდა, ხან — სულ არა, და, სულ მცირე, აღმოსავლეთის ბრძენად მივანჩნდი, რასაც სიამოვნებით ვეთანხმებოდი. დიდად აღტაცებული იყო. როცა მხიარულ რამეს ვუყვებოდი, ხმამაღლა და გულიანად იცინოდა, დიდი ხნით ადრე, სანამ ხუმრობას მიხვდებოდა. ვუსაყვედურე, ვკითხე: „ყური მივაგე, ქალბატონო ანა, როგორ შეიძლება ხუმრობაზე გაიცინო, როცა ჯერ არცკი გაგიგია? ძალიან სულელური საქციელია, და ჩემთვისაც შეურაცხყოფელი. ან გესმის ჩემი ხუმრობა და იცინი, ან არ გესმის, და მაშინ რად გინდა, რომ იცინი და ისე იქცევი, ვითომ გესმოდეს?“ სიცოცხლი განავრძო. „არა, — შესძახა მან, — მენ ხომ ყველაზე გონიერი ბიჭი ხარ, რაც კი ოდესმე მინახავს, ძალიან მაგარი ხარ. მენ პროფესორი გახდები, ან მინისტრი, ან ექიმი. იცი, სიცოცხლი სანყენი სულ არაა. უბრალოდ, იმიტომ ვიცინი, რომ შენთან ყოფნა მიხარია და ამქვეყნიდან ყველაზე სახალისო ადამიანი ხარ. ახლა კი მამაზე, რას ხუმრობდი!“ გულდასმით ვუხსნიდი, რაღაცები კიდევ მკითხა, და ბოლოს მართლა მიხვდა ხუმრობას, და თუ მანამდე გულით და გემრიელად იცინოდა, ახლა მართლა გაიციანა, ძალიან კარგად და მომხიბვლელად იცინოდა, ისე, რომ მეც გადამდო. რა ხშირად ვიცინოდით ერთად, როგორ მანებიერებდა, როგორი აღტაცებული იყო, როგორ მოგონდი! ზოგჯერ ენის გასატყეხები უნდა მეთქვა, სწრაფ-სწრაფად, სამ-სამჯერ გამემეორებინა. მასაც უნდა ეცადა, მოვითხოვოდი, რომ გაემეორებინა, მაგრამ ის უკვე იცინოდა, სამ სიტყვასაც ვერ აბამდა ერთმანეთს, არც უნდოდა, და დანყებული წინადადება სიცოცხლით მთავრდებოდა. ქალბატონი ანა ყველაზე ხალიხიანი ადამიანი იყო, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. ჩემი ბიჭური ჭკუით უთავბოლოდ სულელი მეგონა, საბოლოოდ, იყო კიდევ, მაგრამ ის ბედნიერი ადამიანი იყო, და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ბედნიერი ადამიანები დაფარული ბრძენები არიან, თუნდაც სულელებს ჰგავდნენ. ჭკვიანობაზე უფრო მეტად რა გვასულელებს და გვაუბედურებს?!

წლები გადიოდა, ჩემი ურთიერთობა ქალბატონ ანასთან დაინწყება ეძლეოდა, უკვე დიდი ბიჭი ვიყავი, სკოლის მოწაფე, და სიტყვიანის განსაცდელი, განცდები და საფრთხე მომეძადა, და, აი, ერთ დღეს კვლავ ქალბატონი ანა დამჭირდა. და ისევე პატარა კაცი იყო, ვინც მასთან მიმიყვანა. უკვე რაღაც ხნის განმავლობაში სქესთან შორის განსხვავების და ბავშვების გაჩენის საკითხები მადარდებდა, ეს კითხვა სულ უფრო მწველი და მტანჯველი ხდებოდა, და ერთ დღესაც ისე მეტყინა და ისე ამენვა, რომ ამ საშუალო ამოცანის ამოხსნის გარეშე სიცოცხლე აღარ მინდოდა. სკოლიდან მომავალი გააფრთხებული და გამწარებული მივაბიჯებდი ბაზრის მოედანზე, მინას დავცქეროდი, უბედური და პირქუში, და უცებ პატარა კაცი გაჩნდა! შვიათი სტუმარი გამხდარიყო, დიდი ხანია, მალაატობდა, ან მე ვლალატობდი — მაგრამ უცებ კვლავ დავინახე, პატარა და მკვირცხლი, ჩემ წინ გაიქცა, მხოლოდ წამით იყო ხილული, და ქალბატონ ანას სახლში შეიღბინა. გაქრა, მაგრამ უკვე გავყვი, სახლში შევედი, და უკვე ვიცი, რისთვისაც, და ქალბატონმა ანამ შეჰყვირა, როცა გაუფრთხილებლად შევირბინე მის ოთახში, რადგან სწორედ ტანსაცმელს იცვლიდა, მაგრამ არ გავუგდივარ, და მალე თითქმის ყველაფერი ვიცოდი, რის ცოდნაც იმხანად ასე მწარედ მჭირდებოდა. სასიყვარულო ამბავი გვექნებოდა, მეტისმეტად ახალგაზრდა რომ არ ვყოფილიყავი.

ეს მხიარული, სულელი ქალი უფროსების უმრავლესობისგან იმით განსხვავდებოდა, რომ თუმც სულელი, მაგრამ ბუნებრივი და თავისთავად ცხადი იყო, მუდამ ანმყოფი მყოფი, არასოდეს ცრუობდა, არ-

ასოდეს იბნეოდა. უფროსები, ძირითადად, სხვანაირები იყვნენ. გამონაკლისებიც არსებობდა, არსებობდა დედა, განპირობებული ცოცხალი, საარაკოდ ქმედითი, და არსებობდა მამა, განპირობებული სამართლიანობა და გონიერება, და ბაბუა, რომელიც ლამის ადამიანიც არ იყო, იდუმალი, ყოველმხრივი, მოლიმარი, ამოუწურავი. უფროსების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი პატივისცემა და შიში მმართვებდა, უმალ თიხის კერპი იყო. რა სასაცილოები იყვნენ, ამ თავისი უნიჭო მსახიობობით, როცა ბავშვებს ელაპარაკებოდნენ! რა ცრუდ ჟღერდა მათი ხმა, რა ხელოვნური ლიმიდი დასთამაშებდათ! რა მნიშვნელოვნად მოჰქონდათ თავი, საკუთარი თავი და თავიანთი ქმედებები და საქმეები, რა გადაჭარბებულად სერიოზულები მიაბიჯებდნენ ქუჩაზე, ილიაში ამოდებული ხელსაწყობით, ჩანთებით, წიგნებით, როგორ ელოდნენ, რომ იცინოდნენ, მიესალმებოდნენ და პატივს მიაგებდნენ! ზოგჯერ, კვირაობით, ჩემს მშობლებთან ხალხი მოდიოდა ხოლმე „მოსანახულელებად“. ცილინდრიანი მამაკაცები, რომელთაც მოუქნელ ხელებზე უდრეკი ხელთათმანები ჩამოეცვათ, მნიშვნელოვანი, ღირსეული, მეტისმეტი ღირსებისგან დაბნეული მამაკაცები, ადვოკატები ან მოსამართლეები, მღვდლები და მასწავლებლები, დირექტორები და ინსპექტორები, ოდნავ დამფრთხალ, დაჩაგრულ ქალებთან ერთად. გაშუმებული ისხდნენ დაკამებზე, მათთვის ყველაფერი უნდა დაგეგმებინა, ყველაფერში უნდა დახმარებოდა — გახდაში, შემოსვლაში, დაჯდომაში, კითხვა-პასუხში, წასვლაში. ეს წვრილბურჟუაზიული სამყარო ისე სერიოზულად არ ჩამოთვლია, როგორც ამას თავად მოითხოვდა. ეს ადვილად მოვახერხე, რადგან ჩემი მშობლები მას არ მიეკუთვნებოდნენ და მათაც სასაცილოდ მიაჩნდათ. მაგრამ მაშინაც, როცა არ მსახიობობდნენ, ხელთათმანები არ ეცვათ და მოსანახულელებად არ მოდიოდნენ, მოზრდილთა უმრავლესობა ფრიად უცნაურად და სასაცილოდ მეჩვენებოდა. როგორი მნიშვნელოვანები იყვნენ ამ თავიანთი საქმეებით, თავიანთი სახელოსნოებით და უწყებებით, როგორი დიადი და წმინდა ეგონათ თავი! როცა მედროგე, პოლიციელი ან კალატოზი ქუჩას გადაკეტავდა ხოლმე, ეს წმინდა ამბავი იყო. თავისთავად ცხადია, უნდა გაეჩინოდა გზა დაუთმო, ან, სულაც, დაეხმარო. მაგრამ ბავშვები, თავიანთი საქმეებით და თამაშებით, ისინი უმნიშვნელოები იყვნენ, მათ განზე სწვდნენ და უყვიროდნენ. განა უფროსებზე ნაკლებად სწორი, ნაკლებად კარგი შვერებდნენ? არა, პირიქით, მაგრამ დედები უფრო ძლევამოსილები იყვნენ, ისინი გასცემდნენ ბრძანებებს, ისინი მართავდნენ. ამ დროს მათაც, სწორედ ისე, როგორც ბავშვებს, თავიანთი თამაშები ჰქონდათ, მეხანძრობანას თამაშობდნენ, თამაშობდნენ ჯარისკაცობანას, გაეროთიანეებში და დღუქებში დადიოდნენ, მაგრამ ყველაფერი მნიშვნელოვანი და საქმიანი სახით აკეთებდნენ, თითქოს ყველაფერი სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, და უფრო მშვენიერი და წმინდა არაფერი არსებობდა.

მათ შორის ჭკვიანი ხალხიც მოიძებნებოდა, უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა შორისაც. მაგრამ განა თუნდაც ის არ იყო უცნაური და საეჭვო, რომ ამ „დიდებში“, ვინც რამდენიმე ხნის წინათ თავადაც ბავშვები იყვნენ, ძალიან ცოტანი მოიძებნებოდნენ, ვისაც მთლიანად არ დავიწყებოდათ, რა არის ბავშვი, როგორ ცხოვრობს, შრომობს, თამაშობს, ფიქრობს, რა მოსწონს და რა სწყინს? ცოტანი იყვნენ, ძალიან ცოტანი, ვისაც ეს ჯერაც ახსოვდათ! მხოლოდ ტირანები და უბედები როდი იყვნენ, ვინც ბავშვებს ბოროტად და უმწოდებლად უყურებდნენ, ეჭვით და სიძულვილით უყურებდნენ, ზოგჯერ, როგორც ჩანს, შიშის მსგავს რამესაც განიცდიდნენ მათ მიმართ. არა, სხვებიც, ვისაც სიკეთე უნდოდათ, ვინც ზოგჯერ სიამოვნებით იღებდნენ წყალობას და ბავშვებს ესაუბრებოდნენ, მათაც, ძირითადად, აღარ იცოდნენ, რაზე იყო ლაპარაკი, მათაც დიდი გაჭირვებით, დაბნეულებს უნევდათ ბავშვებთან საქმის დაჭერა, როცა ჩვენთან მოდიოდნენ, მაგრამ არა ნამდვილ ბავშვებთან, არამედ გამოგონილ, სულელი ბავშვების კარიკატურებთან.





ჟადოქრის ბავშვობა

დასასრული

ყველა ეს მოზრდილი, თითქმის ყველა, სხვა სამყაროში ცხოვრობდა, ჩვენგან, ბავშვებისგან განსხვავებულ ჰაერს სუნთქავდა. ხშირად ჩვენზე ჭკვიანები არ იყვნენ, ხშირად არაფრით გვეჯობდნენ, იმ საიდუმლოებით მოცული ძალაუფლების გარდა, უფრო ძლიერები იყვნენ, დაიხ, თუ ნებით და დაეუფლებოდით, შეეძლოთ, დაეძალებინათ და ვეცემით. მაგრამ განა ეს ნამდვილი უპირატესობა იყო? განა ნებისმიერი ხარი ან სპილო ასეთ უფროსზე ღონიერი არ იყო? მაგრამ მათ ძალაუფლება ჰქონდათ, ისინი ბრძანებებს გასცემდნენ, მათი სამყარო და მოდა ითვლებოდა სწორად. და მაინც, — და ეს განსაკუთრებით უცნაურად მეჩვენებოდა და ზოგჯერ მზარავდა კიდევ — და მაინც არსებობდა მრავალი მოზრდილი, რომელსაც ჩვენი, ბავშვებისა, როგორც ჩანს, შურდა. ზოგჯერ ამას ძალიან მიამიტურად და გულახდილად ამბობდნენ და ამოიხრებდნენ ხოლმე: „ჰო, თქვენ, ბავშვებს, რა გიჭირთ!“ თუ არ იტყუებოდნენ — და არ იტყუებოდნენ, ასეთი გამოთქმა-გამებს ვატყობ ხოლმე — გამოდის, რომ მოზრდილები, ძლიერები, პატივსაცემები და ბრძანებების გამცემები, სულაც არ იყვნენ უფრო ბედნიერები, ვიდრე ჩვენ, ვისაც მათი მორჩილება და პატივისცემა გვმართებდა. მუსიკალურ ალბომში, რომლითაც სწავლა მიწვევდა, მართლაც გასაოცარი სიმღერა იყო, მისამღერით: „რა ნეტარებაა, რა ნეტარებაა, რომ ჯერაც ბავშვი ხარ!“ საიდუმლო იყო. რაღაც არსებობდა, რასაც ბავშვები ფლობდნენ და დიდებს არ ჰქონდათ, ისინი მხოლოდ უფრო დიდები და ძლიერები კი არა, რაღაც თვალსაზრისით ჩვენზე ღარიბებიც იყვნენ! და მათ, ვისაც სიმძლის, ღირსების, როგორც ჩანს, თავისუფლების, წვერისა და გრძელი შარვლების გამო გვშურდა, მათ ხანდახან ჩვენი შურდათ, თავიანთ სიმღერებშიც კი, ჩვენი, პატარებისა!

ასე თუ ისე, ერთხანს, ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი ვიყავი. მრავალი რამ არსებობდა ამქვეყნად, რასაც სიამოვნებით სხვაგვარად ვისურვებდი, განსაკუთრებით, სკოლაში, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. უბრალოდ, მეტისმეტად ბევრი მხრიდან მარწმუნებდნენ და მიჩინებდნენ, რომ ადამიანი ამქვეყნად მხოლოდ თავის ნებაზე არ დაიარება და რომ ჭკუმატი ბედნიერება მხოლოდ განცდილის და ნაცადის მიღმა მელირსება. ამაზე მიმანიშნებდა მრავალი გამოთქამა და ლექსი, რომლებსაც ვსწავლობდი და რომლებიც ძალიან ხშირად ძალიან ლამაზად და სულშიჩამწვდომად მეჩვენებოდა. უბრალოდ, ეს ყველაფერი, რაც მამაჩემსაც ალელვებდა, დიდად არ მალევებდა. როცა ცუდად ვიყავი, ავად ვხდებოდი ან აუხდენელი სურვილები მქონდა, ან მშობლებს ვეჩხუბებოდი და ვეურჩებოდი, მაშინ, იშვიათად, ღმერთს ვაფარებდი თავს, უფრო ხშირად კი სხვა გზებს ვადგებოდი, რომლებსაც ისევ სინათლეში ვაგვყავდი. როცა ჩვეულებრივი თამაშები იმედს მიცრუებდა, როცა რკინიგზა, საყიდლები და ზღაპრების წიგნი ამოიწურებოდა და მოსაწყენი გახდებოდა, სწორედ მაშინ ვიგონებდი საუკეთესო ახალ თამაშებს. და როცა სხვა არაფერი მრჩებოდა და საღამოს, ღამის, თვალს ვხუჭავდი და ჩემ წინაშე გაჩენილ ზღაპრულ, ფერად რკალეში ვიკარგებოდი — როგორ უცებ გაივლებოდა ხოლმე ისე ბედნიერება და საიდუმლო, როგორი წინათგრძნობებით და დაპირებებით იგებოდა სამყარო!

სკოლის პირველმა წლებმა ისე ჩაიარა, რომ დიდად არ შეეუცვლივარ. აღმოვაჩინე, რომ ნდობა და გულწრფელობა შეიძლება საზიანო იყოს, რამდენიმე გულგრილი მასწავლებლისგან ყველაზე აუცილებელი ტყუილები და თავის მოჩვენება ვისწავლე; მეშველა. მაგრამ ნელ-ნელა ჩემი პირველი ყვავილიც დაჭკნა, ნელ-ნელა მეც ვისწავლე, ისე, რომ ვერც ვხვდებოდი, ცხოვრების ცრუ სიმღერა, „სინამდვილის“, მოზრდილების კანონების წინაშე ქედის მოხრა, სამყაროს მოვერგე, „ისეთს, როგორიცაა“. დიდი ხანია, ვიცი, რატომ წერია მოზრდილთა სიმღერების წიგნში ასეთი სტრიქონები: „რა ნეტარებაა, რა ნეტარებაა, ბავშვი რომ ხარ,“ და მეც ბევრი საათი მქონია, როცა მათი მშურს, ვინც ჯერაც ბავშვები არიან.

როცა თორმეტისა ვიყავი და საუბარი ჩამოვარდა, რომ ბერძნული უნდა მესწავლა, უმალვე დავთანხმდი, რადგან აუცილებლად მიმანდა, დროთა განმავლობაში მამაჩემივით და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ბაბუაჩემივით ნასწავლი ვყოფილიყავი. მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული ცხოვრების გეგმა დამისახეს; სწავლა უნდა გამეგრძელებინა და ან მღვდელი გაემხდარიყავი, ან ფილოლოგი, რადგან ამისთვის სტიპენდიებს იძლეოდნენ. ოდესღაც ბაბუასაც ეს გზა გაუვლია.

ერთი შეხედვით, ცუდი არ იყო. უცებ მომავალი გამიჩინდა, ჩემს გზაზე გეზის მაჩვენებელი დაიდგა, ამერიკიდან ყოველი დღე და ყოველი თვე დათქმულ მიზანს მახლოვებდა, ყველაფერი იქით იყო მიმართული, ყველაფერს სხვაგან მივყავდი, ყველაფერი ჩემს თამაშებს და აქამდე რომ მქონდა, იმ ანმყო დღეებს მამოვრებდა, რომლებიც არა უაზრო, მაგრამ უმიზნო, უმომავლო იყო. მოზრდილების ცხოვრებაში გავები, ჯერ მხოლოდ კულულის თანთით დამიჭირა, მაგრამ მალე მთლიანად დამეუფლებოდა და გამაკავებდა მიზნებით, რიცხვებით ცხოვრება, ნეს-



რიგის და უწყებების, პროფესიის და გამოცდების ცხოვრება. მალე დაჰკრავდა საათი, მალე მეც გავხდებოდი სტუდენტი, კანდიდატი, მეცნიერი, პროფესორი, ცილინდრით თავზე ვივლიდი სტუმრად, თან ტყავის ხელთათმანს ვატარებდი, ბავშვებს ველარ გავუგებდი, და ეგებ მათი შემშურებოდა კიდევ. მე კი, გულის სიღრმეში ეს ყველაფერი არ მინდოდა, არ მინდოდა ჩემი სამყაროდან წასვლა, სადაც კარგად და გემრიელად ვიყავი. მაგრამ, როცა მომავალზე ვფიქრობდი, ერთი საიდუმლო მიზანი კი მქონდა. ერთი რამ მხურვალედ მენადა: მინდოდა, ჯადოქარი გაემხდარიყავი.

ეს სურვილი და ოცნება დიდხანს ერთგულად მდევდა. მაგრამ მერე დიდ ძალასთან ველარაფერი გაანყო, მტრები ჰყავდა, წინ სხვა რამ ალუდგა, ნამდვილი, სერიოზული, უდავო. ნელა, ნელა ჭკნებოდა ყვავილი, ნელ-ნელა უსაზღვროდ რაღაც შემოსაზღვრული მომეგება, ნამდვილი სამყარო, მოზრდილების სამყარო. ნელ-ნელა ჩემი კვლავაც მხურვალე სურვილი, ჯადოქარი გაემხდარიყავი, ჩემ მიერვე გაუფასურდა, ჩემს ბავშვობად იქცა. უკვე არსებობდა ის, სადაც ბავშვი აღარ ვიყავი. შესაძლებელი უსასრულო, ათასფერი სამყარო უკვე შემომესაზღვრა, მინდვრები დანაწილდა, ღობეებით დაისერა. ნელ-ნელა ჩემი დღეების უღრანი შეიცვალა, ჩემს გარშემო სამოთხე იყო გაშეშებული. რაც ვიყავი, იმად არ დავრჩი, შესაძლებლის მხარეში უფლისწულად და მეფედ, ჯადოქარი არ გავხდი, ბერძნულს ვსწავლობდი, ორ ნელინადმი ებრაულს დავინწყებდი, ექვს ნელინადმი სტუდენტი გავხდებოდი.

შეუმჩნევლად შევიბოჭე, შეუმჩნევლად მიჩუმდა ჩემ ირგვლივ მაგია. ბაბუის წიგნის საოცარი ამბავი კვლავ მშვენიერი იყო, მაგრამ ერთ გვერდზე ეწერა, ვიცოდი, რომელზეც, და დღესაც აქ იყო და ხვალაც და ყოველთვის, სასწაული აღარ ხდებოდა. ინდოეთიდან მოსული მოცეკვავე ღმერთი გულგრილად ილიმებოდა და ბრინჯაოსი იყო. იშვიათად ვუყურებდი, თვალი აღარასოდეს დაუელმებია. და, რაც ყველაზე ცუდი იყო, სულ უფრო იშვიათად ვხედავდი რუხ, პატარა კაცს. ჩემს გარშემო ყველაგან განჯადოება ხდებოდა, ბევრი რამ დავინროვდა, რაც ოდესღაც ფართო იყო, ბევრი რამ გაუფასურდა, რაც ოდესღაც ძვირფასი იყო.

და მაინც, ამას მხოლოდ უჩუმრად, კანქვეშ ვგრძობდი. ჯერაც მხიარული და ყოჩაღი ვიყავი, ცურვას და თხილამურობას ვვარჯიშობდი, ბერძნულს ყველაზე კარგად ვსწავლობდი. ერთი შეხედვით, ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. მართალია, ყველაფერი ოდნავ გაფერმკრთალდა, ოდნავ მიჩუმდა. აი, ქალბატონ ანასთან სიარული მომწყინდა, ნელ-ნელა ყველაფერს, რაც მიყვარდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც შეუმჩნეველი, უმნიშვნელო, მაგრამ დაეკარგა და აღარ ჰქონდა. და როცა მომინდებოდა ხოლმე, კვლავ მთლიანად და ანთებულად მეგრძნო თავი, მეტი ბიძგი მჭირდებოდა, თავი ხელში უნდა ამეყვანა, შემენჯღრია, ჯერ უნდა გაეკანებულიყავი. მძაფრი სუნელებით შეკმაზული საჭმელი შემიყვარდა, სულ ვილუკმებოდი, ზოგჯერ გროშებს ვიპარავდი, რომ რამე განსაკუთრებული ვნება განმეცადა, რადგან სხვაგვარად სიცოცხლე მაკლდა და ყველაფერი მთლად კარგი არ იყო. გოგობმაც მიმიზიდეს. ეს ცოტა ხანში მოხდა, მას მერე, რაც პატარა კაცი კიდევ ერთხელ გამოჩნდა და კიდევ ერთხელ წამიყვანა ქალბატონ ანასთან.

ლალი ციპი მიხაელი

ჩემო საიდუმლო საყვარელო, შენ, ანარქისტი, რომელიც შენს მშობლიურ ენას ჩემ ენაში ჩამისწორებ, ის, ვინც ვერასდროს მიხილავს მის მიწაზე, ის, ვისაც ვერასდროს ვიხილავ ჩემ მიწაზე, ჩვენი ხმები გასასკდომი ყუმბარებით დაცურავენ სამყაროს თავზე, შენი მატთან ჩემი სიყვარულის ღაღადინიდან გადმოღვრილი მელნით ინერება.

ლექსი პალესტინელ პოეტს

ძვირფასო თარეკ, წინ დაგიდებ ლექსს — ჩემი დაფლეთილი სხეულიდან ამოგლეჯილ, სისხლმდინარე ხორცის ნაჭერს. ჩვენი საზღვარი შუალამეა და შენ იქიდან მეძახი: საიდანა ხარ? ვინ ხარ? აქ რა გინდა, ჩემ მიწაზე? ქარი წახვეტს ჩემ ჯანეს ამ ველური სახელმწიფოდან, რომელმაც ჩემი ამადგმევინა, ძუძუ მანოვა, დედის ძუძუ. ვინ ვარ? გინდა, იცოდე საიდან ვარ? აქედან ვარ! დიახ, მოდგმით ვარ აქედან! აქ ვარ, მტვრად ქცეული დინასტიების ეპოქიდან. აქ ვიყავ მაშინაც, მსოფლიო რუკის ყველა წერტილში ჩემს ძმებს როს წყვეტდნენ.

ჩემი ამბავი გაინტერესებს? იცი, რა მოხდა აქ, ვიდრე ამ მიწაზე ფეხს დაადგამდი? ვიდრე პაპაშენი ამ მიწას თოხს მოუქნევდა? მსაყვედურობ, აგვყარესო ამ მიწიდან. ასეც არის. მესმის შენი, ვნუხვარ, შენი ჭრილობაც მენვის, გულიც მტკივა, მაგრამ დევნილმა ჩემი შემფარებელი მიწა მოვიტოვებ. ვარ ებრაელი. სხვა ქვეყანა არ გამაჩნია. ჩემი მიწიდან გაძევებულს უცხო მდევნიდა, სხვა რელიგია.

და მარწუხებში მოქცეული ვიყავ ტუსალი. შეიძლება სამშობლოა შენი ეს მიწა, მაგრამ ხუთი ათასი წელი ჩემი იყო წყალი, მტვერი, კლდე და კურკარა მისი. აქ დამდაღეს, აქ გადაწყდა ბედი ჩემი შთამომავლობით. აქედან გამაძევეს, აქაურობის არდავინწყებას ვლოცულობდი.

აქეთ მოვილტვოდი. წარმომავლობას ვმალავდი გადასარჩენად, ჩემი ერის დარჩენილ შტოსთან შესარწყმელად. და „ესესერს“, უთვალავი „HET!“-ის შემდეგ, როგორც იქნა, ვიზა წავგლიჯე. და მაინც, შენი მწუხარება მწუხარებაა ჩემი. როგორ გეძინაო? — მკითხავ „ვოთსაპზე“, ვიდრე მზე თვალს გაახედდეს. ჩემმა სიზმარმა ამ დროს სამყარო მოიარა, გადალახა ოკეანენი, ველნი, ვენახნი, გადაუარა აღმართულ კედლებს, სამშვიდობო შეთანხმებებს, ომის ნანგრევებს.

მიუტევლობა საუბრობდა უცხო ენებზე. მხოლოდ სიყვარული ლაპარაკობდა ერთ ენაზე. და მეც მომდევდნენ არჩილები. მეც მსხვერპლი ვარ. დირიჟორის ნიღაბს ვატარებ. წერე, პოეტო! წერე ყველაფერი! შენ მელანში ცრემლი ვღვარე და შენი ცრემლით დავსვი წერტილ-მძიმე ჩემ ლექსებში. პოეზია არის ერთადერთი ავტონომია ამ ბნელეთით მოსილ ქვეყანაზე. თავისუფლების კუნძულიც ერთი. საშველიც ერთი. (თუმცა, შენ ხომ არ იცი — რაა ცხოვრება), ვინაიდან ხარ ანარქისტი, გჯერა მხოლოდ ხელის გულზე ნაიარევის და სიყვარულის. და მაინც, შეხვედრა გინდა ჩემთან — შენ ისტორიულ მტერთან.

„როგორ გეძინა, ჩემო კარგო?“
 „ჭამე რამე?“
 „რას აკეთებ?“
 „შენ რას აკეთებ?“
 „პიანინოზე ვუკრავ, შემომხედე?“
 „მე ფლეიტაზე — მომისმინე?“
 ვისაუბრებთ.
 ვისაუბრებთ.

დაგიუბი მოხუცი

უკვე პირველი საათი ხდება — დილიდან ბაზარში დგას, თუმცა ჯერ მხოლოდ 4 ცელოფანი გაყიდა. ყველანაირი აქვს — დიდი, პატარა, საშუალო ზომის. ყველა ფერის — შავი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი. ხალხი ჭრელია, ზოგს როგორი მოსწონს, ზოგს როგორი, რას გაუგებ. ხელები გაეთოშა, მაინც ჯიუტად დგას, აბა, რა ქნას?! ამ კაპიკებით პურს თუ იყიდის მხოლოდ. მესამე დღეა, სხვა არაფერი უჭამიათ, კიდევ კარგი ცხელი ჩაი მაინც აქვთ სახლში. 6 საათამდე კიდევ რამდენიმეს როგორ ვერ გავყიდო, ფიქრობს.

— გამარჯობა, — ეუბნება ვიღაც გოგო, — ცელოფნები მინდა, 30 ლარის.

მოხუცს ჯერ გონია, რომ მოესმა, ამ ბოლო დროს ყურთ დააკლდა, ისე კარგად აღარ ესმის.

— რომელი გინდა? — ეკითხება გოგოს.

— ყველა მინდა, ყველა, — ეუბნება გოგო და უღიმის, — 30 ლარის მინდა.

— აქ სულ რაც მაქვს 10 ლარისაც არ იქნება, — ეუბნება მოხუცი.

ფიქრობს — ნეტავ მეტი რატომ არ წამოვიღეო — აბა, რა ვიცოდით, პასუხობს თავის თავს ფიქრებშივე.

— არა უშავს. მომეცით რამდენიც გაქვთ ყველა.

ყველა მომეცით? ასე ეუბნება ნამდვილად. ხელები გაყინული აქვს თუ აღელვებისგან უკანკალებს, ვერ ხვდება, ძლივს ითვლის ცელოფნებს — ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს, თვლა ერევა, ისევ თავიდან იწყებს. გოგო კი უყურებს და უღიმის, თითქოს დიდად არც აინტერესებს რამდენი ცელოფანი აქვს მოხუცს. ხომ არ დამცინისო, ფიქრობს მოხუცი, გულიც კი უჩქარდება. რას გაუგებ ამ ახალგაზრდებს, აბა, ამდენი ცელოფანი რად უნდაო. გოგოს უყურებს, ის კი დგას და უღიმის. არა, თუ ადამიანებში რამე გამეგება, არ უნდა მატყულებდესო...

— აი, სულ ეს არის, — დათვალა როგორც იქნა, — სულ 7 ლარის და 50 თეთრისაა.

— კარგით, მომეცით, — გამოართვა გოგომ, ყველა ერთ ცელოფანში მოაქცია და 30 ლარი გაუნოდა.

— ამდენის არ არის, — გაუმეორა მოხუცმა.

— ჩავთვალეთ, რომ არის, — მხარზე ხელი დაადო გოგომ, — მშვიდობაში მოგახმართო, — გაუღიმა და წავიდა.

ეს რა დღე გამითენდაო, გაიფიქრა მოხუცმა — ჯერ პირველიც არ არის და მე კიდევ ყველა გავყიდე და თან ეს ფულიც მაქვს — ფულს დახედა — ახლა წავალ სახლში და ჩემი ქალი გაცივებული დარჩება, ადრე რომ დაუბრუნდებო. ნეტავ ხომ არ გაბრაზდება, ასე რომ გამოვართვი ვიღაცას ფული, თავს შეურაცხყოფილად ხომ არ იგრძნობსო? მაგრამ რატომ უნდა გაბრაზდეს, თვითონაც რამდენჯერ დახმარებია ადამიანებს, აბა, სხვა რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ ვინმეს გზა არ გავუნათეთო, გაიფიქრა და უცებ გული დაწყდა, იმ გოგოს მადლობაც კი ვერ ვუთხარიო. ოდესმე ალბათ ისევ გადაიკვეთება ჩვენი გზები, უკვალოდ ვის სიკეთეს ჩაუვლია, ჩვენ თუ ვერ დაუბრუნეთ უკან სიკეთითვე, ღმერთი ხომ მაინც გადაუხდისო.

წავალ ახლა ჩემს ქალს საქსოვ ჩხირს ვუყიდი, გუშინ რომ გაუტყდა. როგორ ეწყინა, არ კი შეიმჩნიაო; კიდევ, აი, იმ წითელ ვაშლებს ვუყიდი, რამდენიმე დღის წინ როგორი გულისტკივილით მოიგონა ჩვენი ეზოს წითელი ვაშლები, მოენატრა ალბათ ჩვენი სახლი, ჩვენი მთა, ჩვენი კერა. ეჰ, მთის ქალი მართლა წვალბებისთვის ყოფილა გაჩენილიო — გაიფიქრა მოხუცმა. რამდენს გაუძლო ჩემმა ქალმა, გვერდიდან არ მომცილებია და ჩემსავით წვალბებს და შრომობს, ახალგაზრდაც და მოხუციც, აბა, განა მაგას არ დაამშვენებდა ფარჩის კაბები, მაგრამ სად ეცალა მაგისთვის, დღედაღამ შრომასა და ჯაფაშია, თუმცა მაინც ყველას სჯობს, ჩემი ქალი ყველაზე მშვენიერიო — გაიფიქრა მოხუცმა.

ბაზარი შემოიარა. როგორც იქნა, მიაგნო იმ წითელ ვაშლებს, რომლებსაც ეძებდა. 3 ცალს წავიღებო, გაიფიქრა ჯერ, მაგრამ იქნებ კიდევ მოუნდესო, ორიც დაამატა.



ნინო დიღმელაშვილი

— პარკი გაქვთ, თუ მოგცეთ, — ჰკითხა გამყიდველმა.

ეს რა დღე გამითენდაო, გაეღიმა მოხუცს, ცელოფნებს ვყიდი და ცელოფანი არ მაქვსო...

მომეცითო, ეუბნება გამყიდველს, დღეს ყველა გავყიდეო.

ვაშლებს საგულდაგულოდ არჩევს, ცელოფანში აწყობს.

სულ რაღაც 1 წელი და 4 თვე დარჩა და ჩვენი ბიჭიც გამოვარო — ფიქრობს მოხუცი — ისე, ჩვენი ბრალია, იქნებ რას დავაძაღვთ ეს უმალღესი, ყოფილიყო იქ მთაში, საკუთარი შრომით ეჭამა პური. ახლა კი შეპირდა, აღარ მოვიპარავ, წამოვალ და სოფელში ვიცხოვრებო. მთის შვილია, სიტყვას აღარ გატყვას, ფიქრობს მოხუცი. ერთი შეცდომისთვის შვილის მიტოვება, აბა, როგორ იქნებოდა. როცა შვილები გზას სცდებიან, მაშინ უნდათ ჩვენი გვერდზე დგომა, თორემ ღმერთი ყველა მაგარია. აი, გამოვა ჩვენი ბიჭიც მალე, გავიხარებთ მე და ჩემი ქალიც, დაუბრუნდებით ისევ მთას, თორემ ამ ქალაქში სუნთქვაც მეკვრის, ისევ ფეხზე დაგყენებთ ჩვენს ოჯახს, სახლს შევაკეთებთ. ამას წინათ გოგია იყო ჩამოსული და ღობე გადაიქცა, წვიმაც ჩამოდის. ეზოც აბალახდა, მაგრამ ის წითელი ვაშლები ისევ ისეა, ყოველ წელს ისხამსო. აბა, რა იქნება, ჩემს ქალს ისეთი სიყვარულით დავურგე, სანამ ვიქნებით, არაფერი

დაემუქრება. აღარც არაფერს დავაძაღვებთ ჩვენს ბიჭს, პატიოსნად იშრომოს და თუ უნდა, ნურც უსწავლია იმ უმალღესში. რა, ჩვენ რომ არ ვისწავლეთ, არ ვართ ადამიანები, თუ რა? ჩავალთ, სახლს შევაკეთებთ, საქონელს მოვაშენებთ... განა, ისე რა დამაჩანაყებს ამ ერთ წელში, რომ ოჯახი ფეხზე ველარ წამოვყენო, მერე ბიჭიც ცოლს მოიყვანს, შვილიშვილებს ცხენზე ჯდომას კიდევაც ვასწავლიო — გაეღიმა მოხუცს. ცოტა კი მტკივა მუხლები, მაგრამ მთის ჰაერი უცებ გამომაცოცხლებს, მივალ და ჩამოვჯდები ჩვენი ხის ქვეშ, ჩვენი წინაპრების საფლავებსაც ხომ პატივობთა უნდა, აბა, კერიას ასე მიტოვება სად გავგონილა.

მაინც ეს რა დღე გამითენდა?! დიდება შენდა, ღმერთო, რომ შენს გაჩენილს შენვე დაარჩენ. აი, ცოტა ფულს ჩვენი სახლის ახლოს რომ კაცი მათხოვრობს, იმას მივცემ. საბრალოა, ვინ იცის, დღეს იქნებ არც არაფერი უჭამიაო — გაიფიქრა...

მიაბიჯებდა მოხუცი იმედით სავსე, ცელოფნიდან წითელი ვაშლები მოჩანდა. მიდიოდა და თითქოს ხედავდა თავის სახლს მთაში მარტოდმარტო მდგომს, მოწყენილს. ასე ფიქრობდა მოხუცი, ფანჯრებიდან ალბათ სევდა იხედებო.

მიტოვებული სახლებიც ჩვენ გვგვანან, მოხუცებს — გაუელვა უცებ თავში — ისინიც ყოველთვის ვიღაცის დაბრუნებას ელოდებიანო.



სევდისფერი ემანუელი

მასწავლებელმა ლიბილით მოხვლოთვალი კლასს.

— ესე იგი, დავალება გასაგებია? — იკითხა მშვიდი ხმით, — სულ ორ შეკითხვაზე უნდა გაცეთ პასუხი. პირველი — რა ფერთან ასოცირდებით და მეორე — თქვენი ნება რომ იყოს, რა სახელს აირჩევდით თქვენთვის.

— მსგავსი შეკითხვები პროგრამიდან არ არის, — წამოიძახა მაღალმა ბიჭმა, — რატომ უნდა დავწეროთ?

მასწავლებელმა გაიღიმა: — იმიტომ, რომ უკეთესად გაგიცნოთ.

კლასში ჩურჩული ატყდა. მასწავლებელმა ხელი მაღლა ასწია.

— დამშვიდდით. ამას ჩემთვის წერთ. არ შეგიძლიათ, ჩემთვის გააკეთოთ რაღაც?

ყველა გაჩუმდა.

— ნი, ნი, არ გესმის? — გვერდით მერხზე მჯდარ გოგოს გადასცხა მაღალმა.

— რა გინდა? — შეუბღვირა ნიმ.

— მოინიე, რაღაც უნდა გითხრა. ნი ბიჭისკენ შეტრიალდა.

— დააკვირდი, ეგ რას დანერს, — თვალებით მიანიშნა სათვალთან ბიჭზე, — დარწმუნებული ვარ, რამე უცნაურობას მოიფიქრებს და ვიხალისებთ.

ნის გაეღიმა, მაღალს თავი დაუქანა. სათვალის ნელა და ჩაფიქრებული წერდა.

ნიმ უცებ მიჯდებოდა ორი თუ სამი ხაზი და ბიჭს მიაშტერდა.

სათვალის ნელა დაამთავრა, ფურცელი ფრთხილად გადაკეცა, ხელები მუხლებზე დაიწყო და თავი ჩალუნა.

მაღალმა ნის ხელი გაკრა.

— მაცალე, — შეუბღვირა ისევ ნიმ, მერე სათვალის მიუბრუნდა, — შეიძლება, წავიკითხო, რა დანერე?

სათვალის ნელა დაუბრუნდა, ნის მისი ფურცელი უკვე ხელში ეჭირა.

„მე სევდისფერი ვარ, იმიტომ, რომ რამდენიმე წლის წინ დედა მიგვატოვა...“

ნიმ სათვალის შეხედა. ახლა შეამჩნია პირველად, რომ უჩვეულოდ ფერმკრთალი და გამხდარი იყო, თვალი მთლიანად და კითხვა გააგრძელა:

„სანამ დედა ჩვენთან იყო, ხშირად მიყვებოდა ზღაპარს პატარა ბიჭზე, რომელსაც ემანუელი ერქვა და მისი დედაც ერთ დღეს შორეულ მოგზაურობაში წავიდა, მაგრამ ემანუელი მაინც ყველაზე კეთილი და ძლიერი ბიჭი იყო მთელ დედამიწაზე და ყოველთვის, როცა დედა ენატრებოდა, ჯდებოდა ხის ქვეშ და მღეროდა სიმღერას, რომელიც დედამ ასწავლა. მეც ემანუელს ავირჩევდი სახელად, მეც ავავებდი დიდ გემს და წავიდოდი, დედა რომ მომეძებნა და უკან დამებრუნებინა.“

ნიმ ფურცელი ფრთხილად დაკეცა.

სათვალის ისევ თავჩალუნული იჯდა. ელოდებოდა, როდის მიანვდიდა ნი ფურცელს მაღალ ბიჭს, ის კიდევ სხვას და, როგორც ყოველთვის, მთელი კლასი მის სიტყვებზე სიცილს დაიწყებდა, იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ ის სამყარო, სადაც სათვალისი ცხოვრობდა; მათ არ ესმოდათ არაფერი იმის გარდა, რაც ცხვირწინ ქონდათ. შეჩვეული იყო სათვალის მათ დაცინვას, მაგრამ ყოველ ჯერზე მაინც ყელში რაღაც ეჩხირებოდა, რაღაც ბურთის მსგავსი; ახლაც ასე იყო, სუნთქვა ეკვროდა.

— რა წერია? — ჰკითხა ნის მაღალმა, — დროზე ამოღერდე.

— არაფერი, — უთხრა ნიმ და ფურცელი ისევ იქ დადო, საიდანაც აიღო.

— როგორ თუ არაფერი? — ფურცლიკენ ხელი წაიღო მაღალმა.

— ხელი განიე, — შეუბღვირა ნიმ, — თუ არ გინდა, ჩანთა სახეში მოგხვდეს.


— დღეს რა ბიჭმა გიკბინა, — გაოცდა მაღალი, — უბრალოდ გავერთობით და ეგაა.

— ხელი განიე-მეთქი.

ნიმ ჯიუტი იყო. ეს იცოდა მაღალმა, ამიტომ ხელები მაღლა აწია (კითხვების ნიშნად) და გვერდით მჯდომს მიუბრუნდა.

სათვალისმა თავი ასწია. ნი მას უყურებდა; ისე უყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა. ამდენი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ისეთს ხედავდა, როგორც სინამდვილეში იყო.





2019 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ ლექსო ქურხულის სადებიუტო ნიგნი — მოთხრობების კრებული „მენამუცხადი პლანეტა მარსი“ — გამოსცა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსო კარგა ხანია, წერს და მისი მოთხრობები პერიოდულად „ლიტერატურულ გაზეთშიც“ იბეჭდება, არის რამდენიმე კონკურსის გამარჯვებული, ნიგნის გამოცემას, თითქოს, არ ჩქარობდა. საბოლოოდ, საკითხისადმი ასეთმა დინამიკამ და სერიოზულმა დამოკიდებულებამ დადებითი შედეგი გამოიღო — მოთხრობების ნაკრებისას მკითხველს ერთხელაც არ დაუფლავს განცდა იმისა, რომ დებიუტანტი ავტორის ნაწერებს კითხულობს. ვინც მის პროზას იცნობს, დამეთანხმება, რომ ლექსო ქურხულს აქვს საკუთარი სტილი, თხრობის თუ ფაბულის აგების თავისებური მანერა, ინდივიდუალიზმი და თვითმყოფადობა... ამავდროულად, გვთავაზობს ლიტერატურულ ტექსტებში სამყაროს რეპრეზენტაციების საკუთარ მოდელს, რასაც, უმთავრესად, ვიზუალური სახე-ხატების ორიგინალური ვერბალური გადწყვეტით აღწევს.

სოფო ნულაია ნიგნი ჩარჩობს მიღმა...

როცა მისი მოთხრობების კითხვას ვინც ვხვდებით, თავიდან შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ეგრეთ წოდებული ჟანრული პროზა იტაცებს, თუმცა მიმანია, რომ უსამართლობა იქნებოდა, კრებულში შესული 7 მოთხრობიდან რომელიმესთვის „ჟანრული“ გვეწოდებინა ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ავტორი, თითქოს, ქმნის ახალ, დამოუკიდებელ ჟანრს, რომელიც, თავის მხრივ, პოლიჟანრობითა და ექსპერიმენტურობით გამოირჩევა. ჟანრების აღრევებში ახალი და უჩვეულო არაფერია, თუმცა დამეთანხმებით, თანამედროვე ქართული პროზა ნამდვილად არ არის განვითარებული ისეთი ტექსტებით, სადაც ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის ირონიულ-პაროდული ნაკადი, სატირა, სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტები, კიბერპანკის გარკვეული მტრისებრი, მაგიური თუ სიურრეალიზმი, ექსცენტრიკა, აბსურდის ხელოვნება...

ერთ-ერთ მოთხრობაში ჟანრებსა და მიმდინარეობებზე მსჯელობისას ლექსო თავის პერსონაჟს ასეთ რამეს ათქმევინებს: „ხელოვნების მთელი მულამი ის არის, რომ ჩარჩოებში არ ეტყევა... ერთადერთი განსაზღვრება, რომელიც თვითონ ჰგავს პოეზიას, „მაგიური რეალიზმი...“ ახალი მიმდინარეობაც დაიბადება და „აბსურდულ რეალობად“ შერაცხავენ“ — ეს მოსაზრება, თითქოს, საკუთარი შემოქმედების ირიბი შეფასებაა, რეცენზიის ოსტატური შენაკადი მხატვრულ ტექსტში და, მართლაც — მოთხრობა-დისტოპია „მენამუცხადი“ — ეტყევა მარსში“ აღუზიებენ „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთმანეთს სწორედ აბსურდის ელემენტებით უკავშირდება, პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალობის პარალელურად კი, თითქოს, ნარატივს დაბალ ხმაზე აუღერებულ მელოდიასავით გასდევს ხალასი იუმორი, თხრობის სიმსუბუქე, სისადავე, სილაღე, ზოგჯერ სიანცე, ბავშვურობა, ინფანტი-

ლიზმი... ამ ყველაფერს კი სიღრმეს სძენს მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ცნობიერების ნაკადის მოზღვაობა, მეხსიერების ფრაგმენტულობის პროცირება, ინტელექტუალური დისკურსები... მიმანია, რომ სტილის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება, ჩაითვალოს თხრობის პროცესში არქაიზმებისა და ნეოლოგიზმების გამოყენების მონაცვლეობა, ასევე, ზომიერების გრძობა სკაბრეზის გამოყენებისას.

ისევ ეგრეთ წოდებულ „მაგიურ რეალიზმს“ მივუბრუნდეთ, რომელიც პირადად მე სტილი უფრო მგონია, ვიდრე მიმდინარეობა — მიმანია, რომ ლექსო თავისი სტილით, მხატვრული აზროვნებით, თხრობის ტემპო-რიტმით, განწყობით, შინაგანი ენერგეტიკით მაგიური რეალიზმის ფუნქციონირების — გაბრიელ გარსია მარკესისა და ხულო კორტასარის — შემოქმედებაზე მეტად ო'ჰენრის პროზის სულიერი მემკვიდრეა და ეს თავადაც აღუნიშნავს თავის ტექსტებში თუ ინტერვიუებში.

ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი სტენლი კუბრიკი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აღნიშნავდა: „შევეცადე, ჩამომეყალიბებინა საკუთარი სტილი და შემექმნა ისეთი კინოფილმები, რომლებიც ადამიანების ცნობიერებაზე იმოქმედებდნენ ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კუთხით... ის, რაც სცილდება ადამიანის ცნობიერების ფარგლებს, სასწაულია და მეც სწორედ ეს სასწაული მიზიდავს“. ლექსო ქურხულის აღნიშნულ კრებულთან მიმართებით კუბრიკი შემთხვევით არ გამხსენებია — კინორეჟისორის საკულტო ფილმი „კოსმოსური ოდისეა — 2001 წელი“ სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის კლასიკადაა მიჩნეული. არტურ კლარკის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებულ კინოსურათში ტექნიკური პროგრესი და ხელოვნური ინტელექტი აღქმულია როგორც აპოკალიფსის ერთ-ერთი, სხვა-

თაშორის, საკმაოდ რეალური შესაძლო ვერსია.

სამეცნიერო ფანტასტიკის დაკვირვება პანკის შერწყმა გვხვდება ლექსოს მოთხრობაშიც „მენამუცხადი პლანეტა მარსი“. ტექსტში ჟანრებისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებების პარალელურად ჩანს ორივე ჟანრის საზღვრების გაფართოების სურვილი, ასევე, აქტუალური პრობლემების, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის ახლებული გააზრებისა და მასზე კონტროლირებასა თუ ლიტერატურაში დამკვიდრებული უკვე საკმაოდ მოძველებული შეხედულებების გადაფასების მცდელობა. მოთხრობაში ავტორი გვთავაზობს პოსტაპოკალიფსურ დისკურსს, სადაც ხელოვნური ინტელექტის ცნებას კუბრიკისეული ბოროტების მანტია, თითქოს, შემოცლილი აქვს და წარმოჩენილია შედარებით პოზიტიური კუთხით. ჩემი აზრით, ხელოვნური ინტელექტისადმი ლექსოს დამოკიდებულება სტენლი კუბრიკზე მეტად აიხვე აზიმივისას ემთხვევა: „რობოტს არ შეუძლია, ადამიანს ზიანი მიაყენოს, კანონის მცირედი დარღვევის განაჩენი დემონტაჟის სახით“ — წერს აზიმივი თავის საკულტო რომანში „მე რობოტი ვარ“. ლექსოს მოთხრობაშიც „მანქანა სახელად ვახტანგი“ მთავარი გმირისა და, ზოგადად, კაცობრიობისადმი თანაგრძობით უფროა გამაჰყვალული, ვიდრე მათი განადგურების სურვილით.

წერილს ლირიკული გადახვევით დავასრულებ: ერთხელ, როცა ლექსოს ნიგნი ახალი გამოსული იყო, ნიგნის მალაზიაში შევედი და ლექსო ქურხულის მოთხრობების კრებული ვიკითხე. კონსულტანტმა ბექა ქურხულის „სკანდარა“ მომიტანა... ლექსო, როგორც პროზაიკოსი, თავის უფროს ძმას საერთოდ არ ჰგავს და ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. მჯერა, რომ მისი, როგორც მწერლის, შემდგომი ნაბიჯები ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც დებიუტი აღმოჩნდა. ჩემი მოკრძალებული აზრითვე, ეს კრებული მცირე პროზის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

დასასრული

სათვლიანს ხელები გაუფლიანდა, გული გამალეხილ უცემდა.

— გინდა, ნაკითხო მე რა დავწერე? — კითხა ნიმ.

სათვლიანმა უარის ნიშნად თავი გააქნია. იმ წამსვე ინანა, ასე რატომ მოვიქეციო, მაგრამ სიტყვა აღარ გადათქვა. ნიმ სახეზე ჩამოყრილი თმები გაისწორა. ასე იცოდა, როცა ნერვიულობდა. სათვლიანს ზურგი აქცია, სადაც სივრცეში დაიწყო ყურება.

გრძელი, ცეცხლისფერი თმები ქონდა ნის და დიდი, ნათელი თვალები.

სათვლიანი დაფას მიაშტერდა — რაღაც უხაროდა უსაზღვროდ. პირველად, დიდი ხნის შემდეგ, სურვილი ქონდა, სიხარულით ეხტუნა, ვინმეს ჩახუტებოდა, ეცინა — ეცინა ისე, რომ მთელ სამყაროს გაეგო.

ნიმ ჩუმად გააპარა თვალი ბიჭისკენ. სათვლიანი იღიმოდა.

ოხ, ლიმილიც შეძლებიაო, გაიფიქრა და უფრო გაიბუსხა. თავს ვერაფერი მოუხერხა. ხედავდა, ბიჭს ხელები მაგიდაზე დაეწყო. გრძელი და თხელი თითები ქონდა სათვლიანს.

გაკვეთილები დამთავრდა. სათვლიანი, როგორც ყოველთვის, მარტო გავიდა კლასიდან. მიდიოდა და სამყაროს გრძნობდა, ყველაფერს გრძნობდა, რაც კი ირგვლივ იყო.

— ემანუელ, ემანუელ, — გაიგონა უცებ.

ნი უყვიროდა. გაჩერება არ უნდოდა, მაგრამ გაჩერდა.

ნიმ მასთან მიიზრინა.

— მე რა ფერის ვარ, ემანუელ, როგორ გგონია?

ნიმ დიღმელაშვილი სავდისფერი ემანუელი



სათვლიანი უყურებდა. მის წინ ნამდვილად ის იდგა — ნი. ამდენი წლის შემდეგ, ამდენი ფუჭად განვლილი დღეებისა და წამების მერე, ნი მის წინ იდგა და რა მნიშვნელობა ქონდა ახლა, ვინ იყო კლასში ყველაზე ძლიერი ან ყველაზე ლამაზი — ნიმ

ყველა დატოვა, ის მას უყურებდა ისე, როგორც არასოდეს არავისთვის შეუხედავს.

— არ ვიცი, — მიუგო მოგონილი სიმშვიდით, — არ მოვიქრია ამაზე.

— ტყუი, — ხელი მოკიდა ნიმ, — იტყუები.

რა თქმა უნდა, იტყუებოდა. ვითომ არასოდეს დასინებია მასზე ფიქრში, ვითომ არასოდეს შეხებია მის ცეცხლისფერ თმებს სიზმარში, მაგრამ ასე მოუხდება ამ მატრაკვეცა და საშინელ გოგოს. ყველაფერი ერთბაშად გაახსენდა სათვლიანს — ყველა დაცინვა, ყველა მისი სიტყვა, ყველა მის გამო დაღვრილი ცრემლი. ახლა მისი ჯერია. დროა, ყველამ მიიღოს თავისი საზღაური.

სათვლიანმა მხრები აიჩეჩა და ნის ზურგი აქცია. წელი ნაბიჯით გაუდგა გზას.

ველარ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, ნი ისევ იქ იდგა. შორს იყო, მაგრამ თითქოს მის სურნელსაც გრძნობდა. მზის სურნელი ქონდა გოგოს. ნეტა შეძლებოდა ასე ნასვლა, მაგრამ არ შეეძლო.

სათვლიანი შეჩერდა. უკან მიიხედა. ნი შუა გზაზე იდგა, ხელები ულონოდ ჩამოემშვა ძირს, თავი დაეხარა, თმები სახეზე და მზისგან დამწვარ მხრებზე ჩამოშლოდა. მზის ქვეშ იდგა და თვითონაც მზეს გავდა. ასე მონყენილიც კი მაინც რაღაცნაირად დიდებული იყო.

— ნი, შენ შემოდგომისფერი ხარ და ეს ყველაზე ლამაზი ფერია მთელ სამყაროში.

ნიმ თავი აწია. სათვლიანი წაეცა, მაგრამ ნი არ გაკიდებია.

უჩვეულო სითბოს გრძნობდა ნი, ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა, ფერს იცვლიდა.

ცაც და მიწაც, სხეულიც და სულიც ერთი იყო თითქოს.

უყურებდა ნი, როგორ მიდიოდა სევდისფერი ემანუელი და გრძნობდა, სამყაროც მისი გულივით სწრაფად ფეთქავდა.

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
 საქართველოს მხარალთა სახლი
 რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ყურული
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
 ISSN 2346-7940
 9 772346 794004